დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 6 - 12 მარტი

N 11 1475

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## 30 წლის შემდეგ ქიული შარტავა ხელმეორედ დახვრიტეს!



2-3

ეს მოხდა გურამ გაბესკირიას დაბადების დღეს, ქიული შარტავას სახელობის დარბაზში



## გავლენის აგენტები და



26

## გავლენიანი აგენტები

## როგორც 2008 წელს დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა ომი, 2022-შიც ისე დაიწყებდა!

10



11




**ფრიდონ ინჯია:** სააკაშვილი რუსეთთან ომის დაწყების გამო უნდა გასამართლდეს!

**იგორ კვესელავა:**

შევარდნაძის ბანაკში ზვიად გამსახურდიას გასანადგურებლად მუშავდებოდა

## სამი სცენარი!



6-7







20

შვეიცარიის ბანკი ცდილობს, ბიძინა ივანიშვილი ხაზარაძედ და ჭყონიად გადააქციოს!

CREDIT SUISSE

## 27 ევროპელი კომისარი

# 1993 წელს სოხუმში დახვრეტილი ჟიული შარტავა 2023 წელს თბილისში, მისივე სახელობის დარბაზში, ხელმეორედ დახვრიტეს!

***2023 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტში „უცხოეთის გავლენის აგენტებთან“ დაკავშირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაზე ატეხილ გაწევ-გამოწევასა და მტვრევა-მსხვრევას, რომელიც ყველა ქართული ტელეარხის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მთელმა საქართველომ ადევნა თვალი, რის გამოც მის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით.***

სამაგიეროდ, ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე სიმბოლურ და მრავლისმეტყველ გარემოებაზე, რომელთა შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არაფერი უთქვამთ!

დავიწყოთ იმით, რომ პარლამენტის დარბაზი, სადაც კანონპროექტის განხილვისას ნაცოპოზიციის წარმომადგენლები ძალის გამოყენებით შეცვივდნენ, ამაგდარი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ეროვნული გმირის, აფხაზეთის მიწაზე მოწამებრივად აღსრულებული **ჟიული შარტავას სახელს** ატარებს.

2 მარტს **ჟიული შარტავას სახელობის სხდომათა დარბაზი ლევან ხაბეიშვილმა, გიორგი ვაშაძემ და სხვა პოლიტიკურმა შარლატანებმა** ღრიალით აიკლეს, მილეწმოლეწეს და ლამის თავზე დაიმხეს!

**ჭიჭად წოდებულ ვაშაძეს, რომელიც თვალებს აღგზნებული მოზვერივით ქაჩავდა, როგორც ჩანს, თავი ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში კი არა, რუსეთის მოქალაქეებზე გაქირავებულ საკუთარ ბინაში ეგონა და მაგიდა წიხლითააყირავა, რის შემდეგაც მანდატურებმა გარეთ გაათრიეს.**

აღარაფერს ვამბობთ **ჟიული შარტავას დარბაზიდან** გაუძევებელ ნაცლიბერასტ ქალებზე, უფრო სწორად, **ქალის სახედაკარგულ პოლიტიკურ ზომბებზე — სალომე სამადაშვილზე, ანა ნაცვლიშვილზე, ხათუნა სამნიძეზე, თამარ კორძაიასა** და ერთიორ სხვაზეც, რომლებიც პარლამენტის წევრებივით კი არა, **ორღობის დედაკაცებივით** იქცეოდნენ, ისტერიულად გაჰკიოდნენ და ხელებს ისე პარჭყავდნენ, გეგონებოდა, კრუნჩხვამ წამოუარაო!

ყოველივე ამის შემხედვარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ **ნაცოპოზიციური სექტა, რომელსაც თავი პროდასავლურ და ლიბერალურ ძალად მოაქვს, სინამდვილეში წმინდა წყლის ბოლშევიკური წარმონაქმნია, მისი ყველაზე აგრესიული და შავბნელი გამოვლინებით.**

**ვუყურებდით სამშობლოსათვის თავდადებული ეროვნული გმირის სახელობის დარბაზში ატეხილ სამარცხვინო ბაკქანალიას და ვფიქრობდით — ნუთუ ჟიული შარტავამ სიცოცხლე იმისათვის გაწირა, რომ მისი მკვლელობიდან სამი ათეული წლის შემდეგაც კი საქართველო ასეთ პოლიტიკურ ჭაობში ყოფილიყო და ასეთი მდაბიო პოლიტიკური კლასი ჰყოლოდა?!**

**ვუყურებდით ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში პოლიტიკური კუდიანების ამაზრზენ ფერხულს და ვფიქრობდით** — დღეს ჟიული შარტავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეს **კოლექტიური ვაშაძეები, ხაბეიშვილები, ნაცვლიშვილ-სამადაშვილები და სამნიძე-კორძაიები** სისხლს გაუშრობდნენ, კომუნისტურ გადმონაშთად შერაცხავდნენ, კრემლის აგენტად გამოაცხადებდნენ და ქვეყნის სამსახურში დგომის საშუალებას არ მისცემდნენ!

ჰო, **30 წლის წინათ, 1993 წელს, სოხუმში ფიზიკურად დახვრეტილი ჟიული შარტავა დღეს ცოცხალი რომ იყოს, ესენი, ეს ბოლშევიკ-ნაცლიბერასტები სულიერად და პოლიტიკურად მოუნდომებდნენ დახვრეტას!**

პრინციპში, ჩაიდინეს კიდეც ეს საქმე, როცა **ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი** ყვირილ-წივილით აიკლეს და წიხლებით დაარბიეს!

1993 წელს **სოხუმში დახვრეტილი ჟიული შარტავა** 2023 წელს თბილისში, მისივე სახელობის დარბაზში, **ხელმეორედ დახვრიტეს!**

ავბედითად სიმბოლურია ისიც, რომ ნაცბოლშევიკებმა






ნაცბოლშევიკების მიერ დარბეული ჟიული შარტავას სახელობის სხდომათა დარბაზი საქართველოს პარლამენტში. 2023 წლის 2 მარტი



გიორგი ვაშაძე ჟიული შარტავას სახელობის სხდომათა დარბაზში



გურამ გაბესკირია

## ქიულის

## ნაცბოლშევიკებმა საქართველოს პარლამენტში ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი 2 მარტს, აფხაზეთში ჟიული შარტავასთან ერთად დახვრეტილი გურამ გაბესკირიას დაბადების დღეს, დაარბიეს!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

ჩვენ ეს **ომი, მეორე ფრონტი და პროვოკაციები** თავიდან ავიცილეთ.

„ახალი თაობა“



**კახი კახიშვილი**
*პარლამენტარი*

**ირაკლი ღარიბაშვილი** არ არის პრემიერი, რომელიც შაბლონურ განცხადებებს აკეთებს ვიღაცის გულის მოსაგებად ან იმისათვის, რომ ხვალ ან ზეგ მომავალი მოძებნოს, თუნდაც საზღვარგარეთ ან ლექციების წაკითხვისთვის. უცხოელი პოლიტიკოსების ნაწილის დიდი წნეხის, ომში ჩართული ჩვენი მეგობარი ქვეყნის თანამდებობის პირთა მოწოდების, შუღლის გაღვივების და დარტყმების მიუხედავად, პრემიერმა შეძლო და თავის ქვეყანაში უზრუნველყო მშვიდობა. **საერთაშორისო ასპარეზზე ვერ გაიგეს, რაშია საქმე, ვგულისხმობ იმ ევროპარლამენტარების ნაწილს, რომლებიც დღეს კრიტიკით არიან დაკავებული. ისინი არ მოელოდნენ იმ ფაქტს, რომ წლების მანძილზე რევერანსის პოზაში მყოფი საქართველოს ხელისუფლება რაღაცაზე იტყოდა, რომ — არა. მე ვიცი, რა ჯობია ჩემი ქვეყნისთვის, მე ასე გადავწყვიტე და ასე გავაკეთე.** სწორედ ეს მოახერხა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მისი ხალხისა და გუნდის მხარდაჭერით.

**ირაკლი ღარიბაშვილი** პრინციპული ლიდერია, რომელმაც ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შექმნა.

„ახალი თაობა“



**ნედ პრაისი**
*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი*

**უცხოური აგენტის შესახებ კანონპროექტს** ვინც ხმას მისცემს, პასუხისმგებელი იქნება საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის პოტენციურად საფრთხის წინაშე დაყენებაზე.

„პირველი არხი“



**კონდოლიზა რაისი**
*აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი*

**ამერიკამ საქართველოს მიმართ ყურადღება მოადუნა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ნუთუ ჟიული შარტავამ სიცოცხლე იმისათვის გაწირა, რომ მისი მკვლელობიდან სამი ათეული წლის შემდეგაც კი საქართველო ასეთ პოლიტიკურ ქაოსში ყოფილიყო და ასეთი მდაბიო პოლიტიკური კლასი ჰყოლოდა?!



ჟიული შარტავა

საქართველოს პარლამენტში **ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი** 2 მარტს, აფხაზეთში ჟიული შარტავასთან ერთად დახვრეტილი კიდევ ერთი ეროვნული გმირის, **სოხუმის მაშინდელი მერის გურამ გაბესკირიას** დაბადების დღეს, დაარბიეს!

დიახ, **2023 წლის 2 მარტს 76 წლის გახდებოდა გურამ გაბესკირია, რომელმაც 1993 წლის 27 სექტემბერს დაცემულ სოხუმში აფხაზი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების წინაშე არ დაიჩოქა და შერცხვენილ სიცოცხლეს ღირსეული სიკვდილი ამჯობინა!**

ხვალ კი... ხვალ, **7 მარტს, ჟიული შარტავას დაბადების დღეა!** 1993 წლის 27 სექტემბერს დაცემულ სოხუმში აფხაზი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების მიერ ვერდაჩოქებული და დახვრეტილი 49 წლის ჟიული შარტავა **2023 წლის 7 მარტს 79 წლის გახდებოდა!**

გახდებოდა?

იმათი შემხედვარე, ვინც **გურამ გაბესკირიას** დაბადების დღეზე **ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი** დაარბია,

## ბოლოთქმა

და კიდევ: **ხვალ, 7 მარტს, 31 წლის წინათ, ნაპუტჩარ და ძმათამკვლელი ომით სისხლისაგან დაწრეტილ საქართველოში მოსკოვიდან დაბრუნდება ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე!**

ეს იქნება მისი **მეორედ მოსვლა** საქართველოს ხელისუფლებაში! **შევარდნაძის მეორედ მოსვლა,** რომელიც ამა ქვეყნიდან მისი გასვლის შემდეგაც გრძელდება!

ნიშანდობლივია, რომ **საქართველოში, სადაც შევარდნაძის პოლიტიკური სული დღემდე ჰგიებს, ჟიული შარტავას ისევ კლავენ!**

***ჯაბა ხუბუა***

# მკვლელები

გადაჭრით ვერ იტყვი, აცოცხლებდნენ თუ არა დღევანდელ საქართველოში ჟიული შარტავას!

იმათი შემხედვარე, **ვინც გურამ გაბესკირიას დაბადების დღეზე ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი დაარბია,** ძნელია, ვერ დაინახო, რომ დღევანდელ საქართველოში ჟიული შარტავას მკვლელთა აჩრდილები **კოლექტიური ვაშაძე-ხაბეიშვილის** სახით დაბორიალობენ!



შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში. 1992 წლის 7 მარტი

## საქართველოში, სადაც შევარდნაძის პოლიტიკური სული დღემდე ჰგიებს, ჟიული შარტავას ისევ კლავენ!

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**, *თბილისის მერი*



ე.წ. უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის **ამერიკული ვარიანტი** საკმაოდ ხისტი და მძიმეა, ხოლო **ქართული ვარიანტი** ლიბერალურია და მხოლოდ გამჭვირვალობას მოითხოვს — გაუგებარია, ოპოზიციონერების დამოკიდებულება და პანიკა.

„ინტერპრესნიუსი"

**ვახტანგ გომელაური**, *შინაგან საქმეთა მინისტრი*



2022 წლის **დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი უპრეცედენტოდ მაღალია** და 62 პროცენტს აღემატება. 2022 წელს დაკავებულია 307 ძებნილი პირი, მათ შორის, 37 პირი იძებნებოდა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

„ახალი თაობა"

**თამარ ჩერგოლეიშვილი**, *„ტაბულას" დამფუძნებელი*



ოპოზიციას, გარდა იმისა, რომ **ბოზები არიან,** თავისი სუტენიორი ჰყავთ **კეზერას** სახით.

„იმედინიუსი"



# ვინ მიგაჩნიათ „უცხოეთის გავლენის აგენტად საქართველოში?"



**ნათია ბერიძე**, ***ჟურნალისტი:*** — დასავლეთიდან და არამარტო იქიდან დაფინანსებული აგენტები არიან ნაცმოძრაობა, მისი სატელიტი ენჯეოები და პარტიები, რომელთა მიზანია, ნებისმიერი საშუალებით არიონ ქვეყნის შიდა თუ გარე პოლიტიკური კლიმატი და გაატარონ უცხოელ დამკვეთთა ინტერესები.



**ხათუნა საგინაშვილი**, ***მართლმადიდებლური ჟურნალ „ქვაკუთხედის" რედაქტორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი:*** — უცხოეთის გავლენის აგენტია დესტრუქციული ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა; მდიდარი ენჯეო სექტორი — ყველა, ვინც იღებს დაფინანსებას უცხოეთიდან შესაბამისი ინსტრუქციებით, ვინც ცდილობს, ებრძოლოს ქართულ მენტალობას და თავს მოგვახვიოს ჩვენი თვითმყოფადობისთვის მტრული ფსევდოლიბერალური ღირებულებები — **ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა, ელგებეტე პროპაგანდა, მარიხუანის ლეგალიზება და გლობალიზაციის სხვა საცდურები!**



**დავით თევზაძე**, ***საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გენერალი:*** — აბა, რა გითხრათ? სუსი მე ანგარიშს არ მაბარებს!



**ირაკლი კაკაბაძე**, ***მწერალი:*** — „გავლენის აგენტი" არის სრული სისულელე. ყველა ვართ რაღაც გავლენის ქვეშ. მე, მაგალითად, მიყვარს ბოდლერი, ან — რილკე, ან — ჰაიდეგერი, ან — ფრანც კაფკა და ჰომეროსი, ან — ესქილე (მაგაზე ვგიჟდები), ან — შექსპირი... გავლენის თვალსაზრისით, 100 პროცენტით ყველა მაგათი აგენტი ვარ. ევტუშენკოვს „ტუხას" ეძახიან, თან, კაბალისტია, ხომ იცით? ჰოდა, მას ჰყავს ახლა მთავარი ქართველი შპიონები „დავერბოვკებული..." **„თავისუფლების ინსტიტუტის" ინიცირებული კანონების განხილვის არანაირი სურვილი არ მაქვს — სულ ხალხის დაჭერა უნდათ. ჯერ ბოკერია აკეთებდა ამას და, ახლა — სოზარი.** ვწუხვარ რომ „თავისუფლების" მაგივრად „დაჭერობანას ინსტიტუტი" გამოდგა. ახლა მაინტერესებს, **თეა თუთბერიძე** რას იზამს — ის ვიღას დაიჭერს...



**მამუკა ტუსკაძე**, ***პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე:*** — უცხოეთის გავლენის აგენტია ყველა ის ორგანიზაცია თუ ფიზიკური პირი, რომელიც ფინანსდება საქართველოს ფარგლებს გარედან და ცდილობს მათი გავლენის წრის გაფართოებას ფინანსების მეშვეობით. უფრო კონკრეტულად კი, **ეკა გიგაური** და მისი არასამთავრობო; ასევე **სოროსის ფონდი** და მის მიერ დაფინანსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, უცხო ქვეყნების საელჩოების გრანტებით დაფინანსებული ორგანიზაციები, ევროკავშირის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ფიზიკური პირები და ასევე ის ადგილობრივი ლიდერები, რომლებიც მათი რეკომენდაციის გარეშე ნაბიჯს არ დგამენ.



**ვასილ ტაბიძე**, ***ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი:*** — მთავარი „უცხოეთის გავლენის აგენტი" „ვივამედში" გვიზის და ყოველდღე წუწუნებს — გამომიშვით, თორემ არ შევჭამო. მისგან გამომდინარე, ყველა ის, ვინც საზღვარგარეთის გავლენიანი ძალების ხელშეწყობით ცდილობს აქ ძალაუფლების მოპოვებას, არის უცხოეთის გავლენის აგენტი. საზღვარგარეთი კი მარტო დასავლეთი არაა — ჩრდილოეთიცაა, აღმოსავლეთიც და სამხრეთიც.



**კახა კალაშოვი**, ***ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი, სამოქალაქო მოძრაობა „პატიმრებისთვის" ლიდერი:*** — აგენტები არიან ნაც-ქოცები; საპარლამენტო დანარჩენი ოპოზიციაც.



**ლალი მოროშკინა**, ***პოლიტოლოგი:*** — ყველა, ვისაც არ უყვარს საქართველო, ებრძვის პატრიარქს, ფულს იხდის ბულინგში, ხოლო დიდ ფულს იღებს რუსეთიდან, ევროპიდან და აშშ-დან. ვითომ უფლებადამცველები, რომლებიც ციხის კადრებზე არ რეაგირებდნენ, ახლა კი ღაწვებს იხოკავენ. ყველა, ვისთვისაც ივანიშვილის ქველმოქმედება მიუღებელია, ხოლო ნაცების მიტაცებული ქონება — მისაღები.



**ირაკლი ზაქარეიშვილი**, ***იურისტი:*** — ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის 100 პროცენტი, ხოლო მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკების 90 პროცენტი უცხოეთის გავლენის აგენტები არიან!



**ელიზბარ ელიზბარაშვილი**, ***ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი:*** — ყველა, ვინც უცხოეთიდან ღებულობს დაფინანსებას და გავლენა აქვს ქართველი საზოგადოების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ლანდშაფტზე. **გიგაური** და ყველა მეინსტრიმული ენჯეოს წევრი არასამთავრობოებიდან, მედიიდან, განათლების სისტემიდან, ხელოვნებიდან... ასევე „ქვიარ-საზოგადოებები" და თბილისი-პრაიდი აგენტურაა!



**გია გაჩეჩილაძე**, ***საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი:*** — ყველა, ვინც ოკუპანტ რუსეთზე მუშაობს და რუსულ პროპაგანდას ეწევა! რაც შეეხება ე.წ. დასავლეთის აგენტურას — ეგ სახელმწიფო უშიშროების საქმეა და დაე, გამოავლინონ!



**ჯუმბერ თავართქილაძე**, ***არარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ერთიანობის კავშირის" თავმჯდომარე:*** — უკლებლივ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია და მედია, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, უცხო ქვეყნის აგენტია. ეს ის პრინციპია — **ვინც იხდის, მუსიკასაც ის რომ უკვეთს.**

***მოამზადა ნინო პაპოშვილმა***

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# რატომ გამოდიან სომეხთა სამოციქულო ეკლესია და მუსლიმთა სასულიერო სამმართველო საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ?



**რახანია, ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი ამერიკის შეერთებული შტატების პროექტს წარმოადგენს და „სამოქალაქო საზოგადოების" სამართავად არის შექმნილი.** საქართველოს ომბუდსმენიც, ფაქტობრივად, ამ უწყების დაქირავებული თანამშრომელია, რომელიც დაფინანსებასა და ინსტრუქციებსაც აშშ-ის საელჩოსგან ღებულობს. **სახალხო დამცველის ოფისის ოფიციალური სპონსორია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია** — ხატოვნად თუ ვიტყვით, **„ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის" ერთ-ერთი რაიკომთაგანი.** „სახალხო დამცველები", უპირველესად, ათეისტების, სექტანტებისა და ჰომოსექსუალისტების უფლებებს იცავენ, **ნაცვლად მართლმადიდებელი და მუსულმანი ჰეტეროსექსუალებისა.**

რელიგიის საქმეთა საბჭო **(ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი)** და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო **(ხელმძღვანელი კობა ჩოფლიანი)** ქმნიან სახალხო დამცველის აპარატთან მოქმედ ე.წ. **ტოლერანტობის ცენტრს,** ასე ვთქვათ, ნებაყოფლობით ფიქტიურ ორგანიზაციას, რომელშიც თითქოს ყველა მსურველი შეიძლება გაერთიანდეს, მაგრამ სინამდვილეში ამ საბჭოების ბირთვს წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ჯერ კიდევ მოქკავშირის დროიდან იკვებებოდნენ დასავლეთის მიერ გამოყოფილი გრანტებით **„ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების დასაცავად"** — ეს კი ათეულობით და ასეულობით მილიონი დოლარია! **ზუსტ ციფრს მალე გავიგებთ, როდესაც ძალაში შევა კანონპროექტი „უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ და თითოეული მოქალაქე შეძლებს, ელექტრონულ რეესტრში მოიძიოს, ვინ რა მსუყე ლუკმას გამოჰკრა ხელი საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ.**

გასულ კვირას ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს 150 წევრიდან ფრაქცია „ხალხის ძალის" მიერ პარლამენტისათვის განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" და „უცხოური აგენტის რეგისტრაციის აქტის შესახებ"** — წინააღმდეგ მხოლოდ საბჭოს 21 წევრი გამოვიდა, რომელთა ნახევარი ცნობილი გრანტიჭამია და ნაცმოძრაობის აპოლოგეტი ბრძანდება, დანარჩენები კი ან ტელეფონით დაიყოლიეს, ან — ფეისბუქით, ზოგი, მოსალოდნელი დიქტატურით დააშინეს და ზოგიც მოსალოდნელი გრანტით დააიმედეს.

ვიმეორებ: **მიუხედავად საბჭოს წევრებზე განხორციელებული წნეხისა, სამარცხვინო განცხადებას კანონპროექტის წინააღმდეგ ხელს აწერს ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მხოლოდ 21 წევრი, ხოლო რელიგიურ უმცირესობათა საბჭოს მხოლოდ 20 წევრი.** სულ ესაა! მეტსაც გეტყვით — **ბევრმა ძალიან ინანა, როცა თავისი გვარი გრანტიჭამია მაფიოზებისა და ნაცების გვერდით იხილა, მაგრამ უკვე გვიან იყო....**

თავში ქვაც უხლიათ — კანონის მიღების კვალდაკვალ ყველა გრანტიჭამიას ჩამოეხსნება ეთნიკურ უმცირესობათა

## საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების საგანგებო განცხადება

სახალხო დამცველთან არსებული **რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოები** გამოვხატავთ უკიდურეს შეშფოთებას საქართველოს პარლამენტში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს მთელი სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციასა და მისთვის მტრული გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი კანონპროექტი ეწინააღმდეგება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოხატულ ურყევ ნებას, საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულ მიზნებს და ადამიანის უფლებებს. მისი მიღება იქნება საგანგაშო და დამანგრეველი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

ინიციირებული კანონპროექტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მედიას, საქველმოქმედო და რელიგიურ გაერთიანებებსაც კი **„უცხოური გავლენის აგენტებად"** აცხადებს და აკნინებს მათ მთელ საქმიანობას და როლს საზოგადოებაში.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, აღნიშნული კანონპროექტი ან რაიმე მსგავსი ინიციატივა არ იქცეს კანონად. **„უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ კანონის** ნებისმიერი ფორმით მიღება უდიდესი ზიანის მომტანი იქნება მთელი ქვეყნისთვის.

კანონის მიღება პირდაპირ გამოიწვევს რამდენიმე უფლების ერთდროულად დარღვევას, კერძოდ, გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლების, რელიგიის თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შელახვას.

კანონი შეაფერხებს საქველმოქმედო, სოციალური, ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანდაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებას, დააზარალებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბენეფიციარებს.

განსაკუთრებითაა ხაზგასასმელი, რომ **„უცხოელი აგენტების" შესახებ** კანონპროექტის (ნებისმიერი ფორმით) მიღება უმძიმეს დარტყმას მიაყენებს სამოქალაქო ინტეგრაციის მთელ პროცესსა და ტოლერანტობის კულტურის განვითარებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, **„უცხოური გავლენის აგენტების"** შესახებ კანონის მიღება მიგვაჩნია დაუშვებლად!

### რელიგიათა საბჭო:

*__1.__ წმინდა სამების პროტესტანტული ეკლესია; __2.__ საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია; __3.__ ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია; __4.__ საქართველოს ევანგელისტური ეკლესია; __5.__ აღდგენილი სამოციქულო ეკლესია; __6.__ საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია; __7.__ დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია; __8.__ მეგობართა საზოგადოება — კვაკერები; __9.__ საქართველოს სომხური კათოლიკური ეკლესია; __10.__ ბაჰაის საზოგადოება; __11.__ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო; __12.__ ხსნის არმია; __13.__ ქართველ მუსლიმთა კავშირი; __14.__ საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია; __15.__ ევანგელური ეკლესია სიცოცხლის სიტყვა; __16.__ საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო; __17.__ საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია; __18.__ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია; __19.__ საქართველოს მაჰმადიანი მუსლიმების გაერთიანება; __20.__ საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია.*

### ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო:

*__1.__ ელნურ ალისოი (ალიევი) — სოლიდარობის მუზეუმი; __2.__ ედგარ ბიტბუნოვი — კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი; __3.__ ქერიმ გუმბათლი — დემოკრატიისა და ინტეგრაციის რესურსები; __4.__ ალექსანდრე ქავთარაძე — საქართველოს უდიები; __5.__ ლილი საფაროვა — ქალთა უფლებების სათემო ინიციატივა; __6.__ ზაზა კალაშოვი — საქართველოს ქურთული ასოციაცია კონაი; __7.__ გიორგი ტუმასიანი — მშვიდობის ფონდი; __8.__ რაშან ზიადალიევი — სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი; __9.__ სამირა ისმაილოვა — სამოქალაქო თანასწორობის პლატფორმა; __10.__ მარი მიქოიანი — ჯენერეიშნ აი; __11.__ ზაურ ხალილოვი — სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი; __12.__ ბაირა ბეპიევი — საერთაშორისო საზოგადოება კავკასიური მოზაიკა; __13.__ რაინა ბელევა — საქართველოს ბულგარელთა სათვისტომო; __14.__. მარი არაქელოვა — ქართველ სომეხთა კავშირი; __15.__ სუსანა ხაჩატრიანი — საქართველოს სომეხ ქალთა ასოციაცია; __16.__ ნონა ხანგოშვილი — სათემო კავშირი „პანკისის კეთილდღეობისათვის"; __17.__. ლეილა მამედოვა — საქართველოს აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა კავშირი; __18.__ აგიტ მირზოევი — ჩართულობის და განვითარების ცენტრი; __19.__ ვალენტინა მარჯანიშვილი — ქართულ-უკრაინული პრესის და წიგნის სახლი; __20.__ ჯეიხუნ ნარზალოვი (მუხამედალი) — წითელი ხიდი; __21.__ არნოლდ სტეფანიანი — საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო".*

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სააკაშვილი შემოიპარა** და რომ არა ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები, არავინ იცის, ვისი ტანკი იდგებოდა ქუჩაში, **დამნაშავის შეფარებით ევროპამ მაშინ მიგვიყვანა ზღვრამდე, როცა შეიძლება, ყოფილიყო სამოქალაქო არეულობა.** აუხსნელია, რატომ იფარებდა ევროპის ესა თუ ის ქვეყანა **სააკაშვილს,** იფარებენ **ქეზერაშვილს, ადეიშვილს,** ვერ ვხვდები, დამნაშავისთვის ხელის დაფარება რომელ ევროპულ ღირებულებაში წერია.

„პირველი არხი"

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის" წევრი, პარლამენტარი*



შეუძლებელია, რომ **ის, რაც კარგია ამერიკული დემოკრატიისთვის და უსაფრთხოებისთვის, ცუდი აღმოჩნდეს საქართველოსთვის.** ეს წარმოუდგენელი ორმაგი სტანდარტია, რომლითაც ჩვენი პარტნიორები და მეგობრები არ უნდა მოგვიდგნენ.

„აიპრესი"

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



სამწუხაროდ, არ მახსენდება არცერთი **დემარში** მაშინ, როდესაც მართლა აწამებდნენ პატიმრებს, როდესაც **სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მართლა არაადამიანური მოპყრობის გამო** კვდებოდნენ პატიმრები.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ნიკა გვარამია**
*პატიმარი*



ის, რაც პარლამენტში ხდება, ხელისუფლების უზურპაციისა და ავტორიტარიზმის სრული კონსოლიდაციის მიზნით მიმდინარე **კონსტიტუციური გადატრიალებაა.** უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ქვეყანა ჩვენი გადასარჩენია, წარუმატებელი ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს!

„ახალი თაობა"

# შეუდარებლად დიდ აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ სიაში არიან...





დამცველის ნიღაბი და ხალხისგან ფურთხს მიიღებს! შეუდარებლად დიდ აღშფოთებას იწვევს, რომ ამ 20 ხელმომწერ სექტანტს შორის — სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიაა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო.

ისმის კითხვა: როდის მერე დაიწყეს **სომხეთის სამოციქულო ეკლესიამ და მუსლიმთა სასულიერო სამმართველომ** საქართველოს ეროვნული ინტერესების, ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა? **შეთანხმებულია თუ არა ეს ქმედება ოფიციალურ ერევანთან და ბაქოსთან?** მითუმეტეს, ახლა, როდესაც სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა იმყოფება აქტიური ინტეგრაციის ფაზაში, მათ შორის, კავკასიური პლატფორმის — 3+3 რეალიზაციის კუთხით და ამ მიმართულებით საყოველთაოდ არის აღიარებული საქართველოს, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის მედიატორის როლი?

**ნუთუ სომხეთისა და მუსლიმთა სულიერ ლიდერებს საქართველოში არ ესმით, რომ კანონპროექტი მოწოდებულია არამარტო ქართველების ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ენის დასაცავად, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ინტერესებისა და მარადიულ ღირებულებათა შეუვალობისათვის, მათი უცილობელი თვითმყოფადობისათვის და უცხოური გავლენების თავიდან ასაცილებლად?**

**ნუთუ ვერ ხვდებიან ჩვენი სომეხი და მუსლიმი ძმები,** რომ საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეტანილი კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსვლით ისინი მხარს უჭერენ **ნეონაცისტების, ლიბერასტებისა და ქსენოფობების** ფრიად საშიშ ნაზავს, რაც შეურაცხყოფს არამარტო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის წინამძღვარს, არამედ თვით სომხებსა და აზერბაიჯანელებსაც? არადა, **სომხეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიას და სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლეს სასულიერო სამმართველოს სათავეში უდგანან საკმარისად განსწავლული სულიერი ლიდერები, რომლებიც, წესით, უნდა ხვდებოდნენ, რომ კანონი „უცხოელ აგენტთა“ შესახებ მათ არაფრით ემუქრება და სიტყვა „აგენტი“ სრულებითაც არ ნიშნავს, მაგალითად, „აგენტ 007“-ს, ანუ ჯაშუშს?** განა რა არის ცუდი იმაში, რომ საქართველოს ეპარქია ბუნებრივად არის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის გავლენის აგენტი საქართველოში, ხოლო მუსლიმთა სასულიერო სამმართველო — ისლამის გავლენის აგენტი ისევე, როგორც ქართული ეპარქიები ამერიკასა თუ ევროპაში წარმოადგენენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის აგენტებს საზღვარგარეთ?

სხვაგვარად, როგორ წარმოგიდგენიათ — **თუ არა ეჩმიაძინისაგან, მაშ, ვისგან უნდა ფინანსდებოდეს სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია? და თუ არა მექადან, საიდან უნდა იღებდეს დახმარებას სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო? განა ზუსტად ასევე არ დააფინანსებს საქართველო ქართული კულტურის ცენტრს, რომელიც იმ წმინდა მიწაზე აშენდება, მდინარე იორდანეს ნაპირას, საქართველოს ამასწინათ რომ გადმოეცა?**

და, საერთოდ, ხომ არ დადგა დრო, დავიწყოთ იმ უცხოელ აგენტთა ფართომასშტაბიანი ლუსტრაცია, რომლებიც სპეკულირებენ საქართველოში არარსებული თემით **ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დაცვის შესახებ.** არსებობს კი სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებისათვის იმაზე დიდი შეურაცხყოფა, როდესაც მათ უმცირესობებად მოიხსენიებენ, გნებავთ, ეს ეთნიკური უმცირესობა იყოს და, გნებავთ — რელიგიური? **სწორედ აქ იმალება ადამიანის უფლებათა ყველაზე გლობალური დარღვევა, ნაციზმი თუ ქსენოფობია, და არა კანონპროექტში უცხოური აგენტების შესახებ!**

საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითს, სადაც ერთიან, ძმურ ოჯახში ცხოვრობდა მრავალეროვანი მოსახლეობა, **ამიტომაც არავის აქვს უფლება, რომ ქართველ სომხებს, ქართველ აზერბაიჯანელებს, ქართველ ებრაელებს, ქართველ ქურთებს, ქართველ იეზიდებს ვინმემ ტოლერანტობა ასწავლოს,** მითუმეტეს ე.წ. **„ტოლერანტობის ცენტრიდან“,** სადაც **ათასი ჯურის მინდიაშვილები და ჩოფლიანები ირევიან,** აჩაღებენ ეროვნებათაშორის შუღლსა და რელიგიურ გაუტანლობას.

დიახ, **ეროვნული და რელიგიური ნიშნით ადამიანების დაყოფა თავისთავად ნიშნავს შუღლის ჩათესვას ქართველებსა და სომხებს, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და ჩეჩნებს, ქართველებსა და დაღესტნელებს შორის, ყველა კავკასიელსა და არაკავკასიელს შორის,** რომლებსაც სულაც არ სჭირდებათ, რომ მათ უფლებებს ჰომოსექსუალისტები და ათეისტები იცავდნენ!

**არავის აქვს უფლება, რომ ქართველ სომხებს, ქართველ აზერბაიჯანელებს, ქართველ ებრაელებს, ქართველ ქურთებს, ქართველ იეზიდებს ვინმემ ტოლერანტობა ასწავლოს, მითუმეტეს ე.წ. „ტოლერანტობის ცენტრიდან“!**

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ანტიკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს ყველა იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელიც **ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს**, ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მიერ არჩეულ გზას.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



**ახლა ხომ მაინც** აღარავის გაქვთ კითხვები, თუ ვინ აფინანსებდა პატრიარქის გინებას? **ახლა ხომ მაინც** ყველამ იცით, თუ როგორ ეზიზღებათ ამათ ყველა და ყველაფერი, რაც ქართულთან არის კავშირში? ესენი არიან ერთი ერთში, **თემური ალასანიას** შეხედულების გამხმოვანებლები.

„იმედინიუსი“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვისაც არ ეზარება, **სულ რუსეთის აგენტებს ეძახიან ერთმანეთს.** მაშინ რატომ არ უნდათ, რომ გავიგოთ, **ვის აძლევს და რამდენს აძლევს რუსეთი?** გეუბნებით რა, რუსეთის აგენტები არიან ყველანი. განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მხარს არ დაუჭერს კანონპროექტს.

„იმედინიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ნუ ყელყელაობენ, ქუჩაში რომ გამოვარდებიან და იძახიან, **„დაგამთავრებთ და იმას ვიზამთ“,** ვერ ამთავრებთ, ხომ ნახეთ? ტატამზე ავლენ, გაილახებიან, ჩამოვარდებიან, კიდევ ავლენ, კიდევ იგივე ხდება. ეს **ხაბეიშვილი** რომ დარბის, მეტი არაფერი იცის და იმიტომ ყვირის სულ ამას. **ადამიანებს არ უნდათ ქუჩაში დგომა,** სხვა ფორმები არსებობს.

„პალიტრანიუსი“



# იგორ კვესელავა: მიხეილ ოსაძე დამპირდა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ უტყუარ დოკუმენტურ მასალებს მომაწვდიდა. რის შემდეგაც საღ-სალამათი კაცი მოკვდა!



მიხეილ ოსაძე

***2023 წლის დეკემბრის მიწურულს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად იურიდიულად დადგენილი ვადა საბოლოოდ იწურება. ამის შემდეგ საქმე ხანდაზმული ხდება და ზვიად გამსახურდიას მკვლელებს სასამართლოს ძალით ვერავინ გაასამართლებს. სხვა საკითხია ისტორიის განაჩენი და მორალური სასჯელი, რაც პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს, თავიანთი შთამომავლების ჩათვლით, საუკუნო წყევლა-კრულვას, ანათემასა და ავადსახსენებელი კახაბერ ყორღანაშვილის სამარცხვინო ბედს უქადის. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ სქელტანიან წიგნს ამზადებს, აცხადებს, რომ პროკურატურის მაღალჩინოსნები და უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომლებმაც მას მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიაწოდეს, ზვიად გამსახურდიას მკვლელად ერთხმად ასახელებენ გენერალ გია გულუას:***

— ზვიად გამსახურდიას ცხოვრება თავიდანვე ისე აეწყო, რომ მისი თითოეული ნაბიჯი, საბჭოთა „კაგებეს" ტოტალური ზემოქმედების წყალობით, თითქოსდა ბუნდოვანი და შეთხზული უნდა ყოფილიყო. **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზვიადი იმ კონსტანტინე გამსახურდიას შვილია, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, ბეთანიის მონასტერში ავიდა და თავის დღიურში ჩაწერა — „ვიყავ ბეთანიას, პატივი მივაგე თამარს!"**

ზვიად გამსახურდიას ბავშვობა არც ჰქონია. 18 წლის ზვიადს ჯერ კიდევ 1957 წელს **კონსტანტინე გამსახურდიამ** თავიდანვე განუსაზღვრა ბედი, როცა მისწერა — **დროა, სერიოზული საქმეებისთვის ემზადო!** ცნობილია ისიც, რომ კონსტანტინემ ზუსტად იწინასწარმეტყველა და გამოიცნო შვილის ბედი და პირდაპირ დაწერა — **ზვიადი არის ძლიერი, პატრიოტი, მაგრამ ის შეეწირება ამ საქმეს, მას რუსები მოკლავენ!** ეს ყველაფერი დოკუმენტებია... რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას მკვლელობას, ეს ამბავი გამოკვლეულია, შესწავლილია და დადგენილიც, მაგრამ ამ ყველაფრის გაცხადებასა და სააშკარაოზე გამოტანას სჭირდება პოლიტიკური ნება!

**— ბატონო იგორ, ეს ჩემთვის ადრეც გაქვთ ნათქვამი... რამდენად სანდოა თქვენი წყარო იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა მართლაც გახსნილია?**

— გვარებსა და სახელებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ თავის დროზე ურთიერთობა მქონდა როგორც გენერალური პროკურატურის, ისე უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნებთან და სწორედ მათგან ვიცი ეს ყველაფერი. მათ მითხრეს — პრეზიდენტის მკვლელობა გამოძიებულია და საქმეს ბოქლომი მხოლოდ და მხოლოდ შევარდნაძის ფაქტორის გამო ადევსო. დიახ, **შევარდნაძე იყო ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზატორი, ხოლო მის უკან იდგნენ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის უშიშროება.** აქედან გამომდინარე,

**ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა და შევარდნაძის, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორის გამოაშკარავება, ჩრდილს აყენებს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც შევარდნაძის მთავარ ლობისტსა და მოსკოვიდან მის ჩამომყვანს!**

კიდევ ერთხელ ვაცხადებ: **სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დარჩენილი იყო ერთადერთი პროცედურა — შევარდნაძესთან უნდა მისულიყვნენ, გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზებაში მისთვის წაეყენებინათ ბრალი და დაედოთ ხელბორკილები, მაგრამ მიშას კაბინეტში ერთი ზარი ვაშინგტონიდან განხორციელდა, ხოლო მეორე — კრემლიდან და ეს საქმე გაჩერდა!**

**— პროკურატურის მაღალჩინოსნების გარდა ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს?**

— ის კაცი გარდაცვლილია და ახლა შეიძლება მისი სახელისა და გვარის დასახელება! ეს პიროვნება გახლდათ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე, გენერალი **მიხეილ ოსაძე.** შემიძლია გითხრათ, რომ მე მასთან ვმეგობრობდი, ძალიან გაწონასწორებული და პატიოსანი კაცი იყო და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდა. **სიკვდილამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე გენერალი მიხეილ ოსაძე დამპირდა, რომ როგორც მკვლევარს, მეგობარსა და ამ საქმით დაინტერესებულ პიროვნებას, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ უტყუარ დოკუმენტურ მასალებს მომაწვდიდა.** ოსაძე ამ დოკუმენტებს ჩემთვის აგროვებდა... მოულოდნელად საღ-სალამათი კაცი მოკვდა!

**— ის მასალები სად არის?**

— კაცმა არ იცის! ასევე სრულიად მოულოდნელად მოკვდა უშიშროების მინისტრის მოადგილე **ავთანდილ იოსელიანი,** რომელიც, როგორც თავად განაცხადა, დევნილობისას ზვიად გამსახურდიას გარემოცვის გარემოცვას აკონტროლებდა! შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უშიშროების მინისტრის ორი მოადგილე — **ავთანდილ იოსელიანი** და **მიხეილ ოსაძე** ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს შეეწირნენ! იგივე შეიძლება ითქვას **ლადო ალფენიძის** შესახებაც, რომელიც შევარდნაძის ძველი მეხოტბე გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს მან მითხრა — შევარდნაძის შესახებ მე რომ ვიცი, იმდენი კაციშვილმა არ იცის, შევხვდეთ და რაც ჩაიდინა, ყველაფერს მოგიყვებიო! ამ ლაპარაკიდან ცოტა ხანში **ლადო ალფენიძეც,** რომელიც მშვენივრად გამოიყურებოდა და ჯანმრთელობას საერთოდ არ უჩიოდა, მოულოდნელად მოკვდა!

**— მიხეილ ოსაძე რას გეუბნებოდათ — გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლაო?**

— **მიხეილ ოსაძისგან** ვიცი, რომ შევარდნაძის ბანაკში ზვიად გამსახურდიას ფიზიკურად გასანადგურებლად მუშავდებოდა სამი სცენარი: *1. ზვიადის თვითმკვლელობამდე მიყვანა, 2. ზვიადის ლიკვიდაცია გარემოცვის მეშვეობით და 3.*



**„ასევე სრულიად მოულოდნელად მოკვდა უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, დევნილობისას გამსახურდიას გარემოცვის გარემოცვას აკონტროლებდა!"**







რობიზონ მარგველანი, ბესარიონ გუგუშვილი, ბაჩუკი გვანცელაძე

**„არც რობიზონ მარგველანი, არც ბაჩუკი გვანცელაძე და, განსაკუთრებით, არც ბესარიონ გუგუშვილი სიმართლეს არ ლაპარაკობენ!"**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**ზვიად გამსახურდიამ** საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენას ჩაუყარა საფუძველი. **ედუარდ შევარდნაძემ** საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში ჩართვით ქვეყანას ახალი ფუნქცია შესძინა. **მიხეილ სააკაშვილი** კი ხანმოკლე რეფორმების შემდეგ, ტიპურ პროვინციელ დიქტატორად ჩამოყალიბდა, ხოლო მისი ტირანული მმართველობის მძიმე შედეგი უამრავმა ჩვენმა მოქალაქემ იწვნია. რა კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში ქვეყნის მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტებმა — **გიორგი მარგველაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა?** ამაზე საუბარი ჭირს, უფრო ზუსტად კი, უბრალოდ, შეუძლებელია, მნიშვნელოვანი კვალის არარსებობის გამო.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**დავით ჭიჭინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის" ლიდერი*



ნაცმოძრაობის ლიდერები, რომლებიც იმ რეპრესიებს ამართლებდნენ და **ყველა ოპონენტს აგენტს ეძახდნენ,** ციხეში უშვებდნენ, დღეს ხმას არ უნდა იღებდნენ. **ქვეყანაში უცხო ქვეყნის აგენტები არ უნდა იყვნენ,** ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა!

„ალია"

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**რევოლუციას ყოველთვის აწყობს იდიოტი ხელისუფალი!** ხელისუფლება, რომელიც კანონის ჩარჩოში ეტევა, ხალხს პატივს სცემს, ძალაუფლებას არ იტაცებს, **არასოდეს ასეთ ქვეყნებში რევოლუციები არ ხდება.**

„ახალი თაობა"

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი-კონფლიქტოლოგი*



უფრო ღრმად შევდივართ **რუსულ ნარატივში.** ასე ვიქნებით, სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ მივიდეს არჩევნებზე და ხმა არ მისცეს „ქართულ ოცნებას".

„ახალი თაობა"

*ზვიადის ლიკვიდაცია უშუალოდ ხელისუფლების სპეცსამსახურების მიერ.* უნდა ითქვას, რომ დღიდან საქართველოში დაბრუნებისა, ზვიად გამსახურდიას თითოეულ ნაბიჯს შევარდნაძის სპეცსამსახურები თავიდან ბოლომდე აკონტროლებდნენ. მოენეთა საშუალებით, შევარდნაძემ ძალიან კარგად იცოდა, სად გადაადგილდებოდა, რომელ სოფელში იყო და ვისთან ათევდა ღამეს ზვიად გამსახურდია. საგულისხმოა, რომ მამაკაცების გარემოცვას, რომელიც პრეზიდენტს მუდამ თან ახლდა, არ შორდებოდა ორი ქალი... აი, მაგალითად, როცა **ჯონსონ ქვარაცხელიას** ოჯახში იყო ზვიადი და მერე სასაკლაოზე წაიყვანეს, ის ორი ქალი, რომლებსაც **ბაჩუკი გვანცელაძე** და **რობიზონ მარგველანი** სიყვარულობანას ეთამაშებოდნენ თუ რა ხდებოდა, ღმერთმა უწყის, მეზობელ სახლში ცხოვრობდნენ. ზვიადი რომ მოკლეს, უშიშროება სწორედ იმ ქალებს მიადგა — პრეზიდენტის გარემოცვა სად არისო?

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ის ქალები ხელისუფლებასთან შეკრული იყვნენ?**

— ცხადია! **ქალები, რომელთა გვარ-სახელებიც ცნობილია, ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძის უშიშროებასთან თანამშრომლობდნენ და პრეზიდენტის მარშრუტის შესახებ ინფორმაციას გადასცემდნენ.** ამიტომ იყო, **ავთანდილ იოსელიანი** რომ გაიძახოდა — ჩვენ პრეზიდენტის გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო! მოკლედ,

**შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია თვით-მკვლელობამდე რომ ვერ მიიყვანა და ვერც გარემოცვის წევრებს ასროლინა, ამის შემდეგ დაიწყო პრეზიდენტის უახლოესი და ერთგული წევრების ჩამოშორებისა და ფიზიკური ლიკვიდაციის პროცესი...**

სწორედ ამ პროცესს შეეწირნენ **ვაჟა ჭინჭარაული** და **ირაკლი გოგაძე**, რომლებიც ვერ გადაიბირეს და მოკლეს!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ, ვინც ზვიად გამსახურდიას ბოლოს შემორჩა, ყველა გაყიდული იყო?**

— არა, მაგას არ ვამბობ და არც ვიტყვი, მაგრამ ერთს კი დავსძენ — **ზვიადის გარემოცვიდან, ვინც დღეს საზღვარგარეთ არის გადახვეწილი, პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ არცერთი სიმართლეს არ ლაპარაკობს!** ხაზგასმით ვაცხადებ — არც **რობიზონ მარგველანი,** არც **ბაჩუკი გვანცელაძე** და, განსაკუთრებით, არც **ბესარიონ გუგუშვილი** სიმართლეს არ ლაპარაკობენ!

მოკლედ, როცა შევარდნაძის ხელისუფლებამ ვერ შეძლო და ზვიად გამსახურდია თვითმკვლელობამდე ვერ მიიყვანა, მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდა მისი ფიზიკური ლიკვიდაცია. მაგრამ ვიდრე შევარდნაძე ზვიადს ესროდა, მისმა სპეცსამსახურებმა ხალხის დეზორიენტაციისა და დაბნევის მიზნით დაიწყეს ხმების გავრცელება. კერძოდ, **უშიშროება, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ზვიადის სიცოცხლეში ავრცელებდა ხმებს, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!** ეს ხმები ვრცელდებოდა 1993 წლის 28 დეკემბრიდან ყოველდღე, ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვა, რომ პირველი პრეზიდენტი სინამდვილეში აღარ იყო ცოცხალი. ყველას ავიწყდება 1993 წლის 31 დეკემბრის ღამე და ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ცენტრალური ტელევიზიით, როცა მან 1994 წლის დადგომა მიულოცა საქართველოს. მაშინ შევარდნაძემ ნართაულად და სატანის ღიმილით განაცხადა — **სულ მალე საქართველოს მოსახლეობა ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიტყობსო!**

**შევარდნაძე გაწონასწორებული კაცი იყო, მაგრამ გამსახურდიას მკვლელობით ისე იყო გახარებული, საკუთარი თავი**



„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1993 წლის 31 დეკემბრის 00:00 საათის მდგომარეობით, შევარდნაძის სპეცსამსახურებს ზვიად გამსახურდია ნამდვილად მოკლული ჰყავდათ!“



**„შევარდნაძის ბანაკში ზვიად გამსახურდიას გასანადგურებლად მუშავდებოდა სამი სცენარი:**

1. ზვიადის თვითმკვლელობამდე მიყვანა;
2. ზვიადის ლიკვიდაცია გარემოცვის მეშვეობით;
3. ზვიადის ლიკვიდაცია უშუალოდ ხელისუფლების სპეცსამსახურების მიერ!“

**გასცა და თქვა ის, რაც მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეთქვა.**

სხვათაშორის, იგივე საბედისწერო შეცდომა მან 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტშიც დაუშვა, როცა მოსკოვიდან ჩამოსულმა თვითმფრინავის ტრაპიდან ქართველ ინტელიგენციას მადლობა გადაუხადა — **მადლობა, რომ იარაღი აიღეთ ხელში და გამსახურდიას ფაშიზმი დაამხეთო!** ცხადია, ზემოხსენებულ სატელევიზიო გამოსვლაში შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას გულისხმობდა... დიახ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1993 წლის 31 დეკემბრის 00:00 საათის მდგომარეობით, შევარდნაძის სპეცსამსახურებს ზვიად გამსახურდია ნამდვილად მოკლული ჰყავდათ!

**— დარწმუნებული ხართ, რომ ზვიად გამსახურდია ნამდვილად კარლო ღურწკაიას სახლში მოკლეს და იქ ზვიადის გვამი არ მიუტანიათ?**

— რეალურად თქვენ იმას მეკითხებით, კარლო ღურწკაიას სახლში ზვიადის ორეული მიიყვანეს თუ არა?

**— ასე ჩათვალეთ! მაგალითად, ბორის კაკუბავამ გარკვევით მითხრა, რომ კარლო ღურწკაიას სახლში სინამდვილეში მიიყვანეს ზვიადის ორეული, რომელიც დღესაც ცოცხალია და სამეგრელოში ცხოვრობს!**

— მაგას გამოვრიცხავ — მეგრელები ორეულს ამას არ აპატიებდნენ და აქამდე მოკლავდნენ!

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ყველაზე მეტად რა გაოცებთ?**

— შემიძლია ვთქვა, რომ ამ საქმეს ვიცნობ და დღემდე მაოცებს ის მიზანდასახულობა, რომელსაც ბეიკერისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ ზურგგამაგრებული შევარდნაძე და მისი სპეცსამსახურები ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის მიზნით იჩენდნენ! **შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას გასანადგურებლად თავიდანვე მიზანდასახული იყო. ზვიადის გარიცხვას მწერალთა კავშირიდან და ლიტერატურის ინსტიტუტიდან შევარდნაძის ზეწოლით აბსოლუტურად ყველამ დაუჭირა მხარი...**

**— აკი ჯანსუღ ჩარკვიანს ხმა არ მიუციაო?!**

— ჯანსუღს ხმა იმიტომ არ მიუცია, რომ მწერალთა კავშირის იმ სხდომას საერთოდ არ ესწრებოდა! ერთადერთი, ვინც ზვიადის გაგდებას ლიტერატურის ინსტიტუტიდან მხარი არ დაუჭირა, ქალბატონი **ლია ანდღულაძე** იყო. ლიას ზვიადმა ეს მართლაცდა გმირული საქციელი დაუფასა და საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში განათლების მინისტრად დანიშნა.

**— მიხეილ ოსაძე და პროკურატურის მაღალჩინოსნები რას გეუბნებოდნენ — ზვიადმა თავი მოიკლა თუ მოკლესო?**

— ოთხივე მაღალჩინოსანი და, განსაკუთრებით, **მიხეილ ოსაძე** ერთხმად მეუბნებოდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს და პრეზიდენტი მოკლეს!

**— ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?**

— ზვიადის მკვლელად ყველა ასახელებდა **გია გულუას** და ამბობდნენ, რომ შევარდნაძემ გულუა სწორედ ამის გამო მოიშორა, როგორც ძალიან საშიში მოწმე! ყველაფერი იცის **ბესო გუგუშვილმა...**

**ისე საინტერესოა, სად წაიღო გუგუშვილმა ის ფული, რომელიც ზვიად გამსახურდიამ გროზნოდან საქართველოში ჩამოიტანა? ამ შეკითხვებს პასუხები უნდა გაეცეს, თუმცა, შეკითხვები სხვაც ბევრია, რომლებსაც ანი გავახმაურებ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

**„სწორედ ამ პროცესს შეეწირნენ ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე, რომლებიც ვერ გადაიბირეს და მოკლეს!“**



ირაკლი გოგაძე



ვაჟა ჭინჭარაული

## კვირგვინოსნები

**ანა წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



**ლევან იოსელიანის** კანდიდატურა ახლა არის **მაშველი რგოლი** „ქართული ოცნებისთვის“, მე მას მხარს არ დავუჭერ.

„იმედინიუსი“

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველობის კანდიდატი*



პარლამენტში **ოპოზიციის ნაწილის მხარდაჭერა მაქვს,** არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციის შესახებ არ ვიცი, ვიმედოვნებ, შევძლებ, **კონსენსუსური ფიგურა** ვიყო.

„იმედინიუსი“

**მურმან დუმბაძე**
*„გაერთიანებული ოპოზიცია — ძალა ერთობაშია“ წევრი*



კაცი გეუბნება, არ მაინტერესებს შენი კანდიდატის სტატუსიო, **ამის თქმას არ ჯობია, ცოცხი გაგიყარონ?**

„TV პირველი“

**თენგიზ ფხალაძე**
*„ჩიპას“ ასოცირებული პროფესორი*



ეს კანონპროექტები **არამხოლოდ აშორებს** ქვეყანას ევროკავშირისა და ნატოსგან, **არამედ ანგრევს** საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ამერიკის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯაცაა — **ელექტროსკამზე აბამენ და კლავენ** — ისიც ხომ არ გადმოვიღოთ?!

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი მუმლაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**რატი ბრეგაძეს** უნდა ვუთხრათ — **როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი პასუხისგება მოუწევს,** რომ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯი და არ გადაარჩინა მესამე პრეზიდენტის სიცოცხლე.

„პირველი არხი“

# 27 ევროპელი

*თითქმის 105 წლის წინათ, 1918 წლის 20 სექტემბერს, კონტრრევოლუციონერმა ესერებმა და ინგლისელმა ინტერვენტებმა აზერბაიჯანის ბოლშევიკური მთავრობის 26 წევრი — 26 სახალხო კომისარი სახალხოდ დახვრიტეს, ხოლო 27-ე კომისარი ანასტას მიქოიანი, რომელმაც თანამებრძოლებს უღალატა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზედაპირზე კიდევ დიდხანს ტივტივებდა. სწორედ 27-ე ბაქოელ კომისარ მიქოიანს, როგორც ხელიდან წასულ მედროვესა და კონფორმისტს, მიუძღვნეს ცნობილი ფუნაგორია — „ოტ ილიჩა, დო ილიჩა, ბეზ ინფარქტა ი პარალიჩა“, ანუ ვლადიმერ ილიჩ ლენინიდან ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევამდე ყველა მთავრობას მოერგო და ყველასთან გემრიელად ძოვაო!*

## ასეთი ბოლშევიკური სულისკვეთება და მიდგომები, როგორსაც 27 ევროპელი კომისარი საქართველოს მიმართ ამჟღავნებს, 27 ბაქოელ კომისარსაც არ ექნებოდა!


საქართველოში **ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ** და **შვედეთის ელჩმა ულრიკ თიდესტრომმა** იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს ევროკავშირის **27 ქვეყნის დემარში** გადასცეს!

**27 ბაქოელი კომისრის** ამბავი აქ და ახლა იმიტომ გავიხსენეთ, რომ **27 ევროპელი კომისარი** საქართველოს ავბედითად უქნევს თითს!

უკეთ თუ ვიტყვით, **27-ე ბაქოელი კომისრის** მიერ ნაღალატევი **26 ბაქოელი კომისრის** დახვრეტიდან 105 წლის შემდეგ, **27 ევროპელი კომისარი** ქართულ სახელმწიფოს პოლიტიკური დახვრეტით ემუქრება!

მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ გასულ კვირას ევროკავშირის წევრმა **27-ივე სახელმწიფომ** საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალური დემარში გამოუცხადა, რაც იუსტიციის მინისტრ **რატი ბრეგაძესთან** შეხვედრაზე ევროკავშირის ელჩმა **პაველ ჰერჩინსკიმ** და შვედეთის ელჩმა **ულრიკ თიდესტრომმა** გააცხადეს. გაახმიანეს.

დიპლომატიურ ურთიერთობებში დემარში გახლავთ საგანგებო ზომა, რომელსაც ერთი სახელმწიფოს მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ან საელჩო მეორე სახელმწიფოს მიმართ თხოვნის, პროტესტის, გაფრთხილების ან მუქარის სახით იყენებს. როგორც ევროკავშირის **ელჩმა ჰერჩინსკიმ** განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოცხადებული დემარშის საფუძველია **ევროკავშირის წევრი 27-ივე სახელმწიფოს** ძლიერი შეშფოთება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით.

ე.ი. **27 ევროპელი კომისარი** სააკაშვილის ჯანმრთელობაზე შფოთავს და ღელავს!

უფრო სწორად, **27 ევროპელი კომისარი** ვითომ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე შფოთავს და ღელავს!

დიახ, ვითომ!

რეალურად, **27 ევროპელ კომისარს** სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ აღელვებდეს, საქართველოს ხელისუფლებას კი არ გამოუცხადებდა დემარშს, არამედ სააკაშვილს ურჩევდა და მოუწოდებდა, ჯანმრთელობის თვითდაზიანება შეწყვიტოს, მკურნალობის კურსს დაემორჩილოს და კალორიული საკვები მიიღოს!

**27-მა ევროპელმა კომისარმა,** რომელიც პატიმარ-პაციენტი სააკაშვილის მდგომარეობას გამადიდებელი შუშით აკვირდება, კარგად იცის, რომ საქართველოს ხელისუფლება მას არათუ არ აწამებს და წესიერი კვებისა და ჯანდაცვის საშუალებას არ უზღუდავს, არამედ იმაზე ბევრად მეტ პრივილეგიას ანიჭებს, ვიდრე ეს კანონით არის გათვალისწინებული.

მიუხედავად ამისა, **27 ევროპელი კომისარი** მაინც ქართულ სახელმწიფოს უბღვერს და უღრენს!

**27 ევროპელი კომისარი** საქართველოს დემარშს უცხადებს იმის გამო, რომ ვაჟბატონ სააკაშვილს პატიმრობა არ მოსწონს, თავისუფლების აღკვეთას ვერ ეგუება და ბადრაგთა დანახვა თრგუნავს!

**27 ევროპელი კომისარი** საქართველოს ხელისუფლებას ეუბნება — სააკაშვილი ციხიდან უნდა გაუშვა, რადგან სააკაშვილს ციხეში ჯდომა არ ეპიტნავება!

**27 ევროპელ კომისარს,** უკაცრავად კი ვართ, სულ ფეხებზე ჰკიდია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს მართლმსაჯულება და საქართველოში სამართლის აღსრულება, რადგან მათთვის საქართველოზე, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხზე მაღლა ერთი კაცი — სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილი დგას!

ასე და ამრიგად, საქართველოსათვის დემარშის გამოც-

### 26 ბაქოელი კომისრის დახვრეტა. ისაак ბროდსკის ნახატი (ფრაგმენტი)



## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



არ მინდა ევროპა, რომელიც მეუბნება — **დამნაშავე უნდა გაუშვა, კონსტიტუცია უნდა დაარღვიო,** კანონი უგულებელყო, მართლმსაჯულებაში ჩაერიო.

„ინტერპრესნიუსი“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელოს“ წევრი*



**მიხეილ ყაველაშვილს** ორ თხას ვერ მიაბარებს ადამიანი — „ხალხის ძალა“ არის **ივანიშვილის** ნების გამტარი, ივანიშვილმა დაწერა ეს პრორუსული ტექსტები.

„ინტერპრესნიუსი“

**თემურ ბასილია**
*ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე*



აშშ-ში მოქმედებს პრინციპი — **ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.** ეს არის საკმაოდ ვრცელი, 12-გვერდიანი ფორმა, რომელშიც **ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დეტალურად უნდა აღწერონ, ვისგან მიიღეს დაფინანსება,** რა ოდენობით და რა მიზნით, რაში დახარჯეს მიღებული თანხები, რა პროექტები განახორციელეს, ვინ არიან ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თანამშრომლები თავიანთი ხელფასების მითითებით. **არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩაერთვებიან კომერციულ ან პოლიტიკურ საქმიანობაში, ავტომატურად კარგავენ თავიანთ სტატუსს.** აქვთ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსგავსი ვალდებულებები?

„GTMEDIA“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



ეს არის წყალგამყოფი, **ამ კანონისთვის ხმის მიცემა ნიშნავს ევროკავშირისა და ნატოს წინააღმდეგ ხმის მიცემას** — როცა დასავლეთიდან დაფინანსებულებს არქმევ აგენტს, ნიშნავს, რომ რუსი ხარ!

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



პრეზიდენტი **ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს** — თუ კონსტიტუცია არ აქვს, შემიძლია, ვაჩუქო და წაიკითხოს თავისი ფუნქციები.

„ინტერპრესნიუსი“

# კომისარი

ხადებით, **ევროკავშირის წევრი 27 ქვეყანა, როგორც 27 კომისარი,** პირდაპირ ეუბნება ქართველ ხალხს, რომ ისინი დგანან არა საქართველოს, არამედ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ბელადის გვერდით; ისინი დგანან **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, გურამ შარაძის, სერგო თეთრაძის, როინ შავაძის, გია კრიალაშვილის, დათო ცინდელიანის, პაატა ქარდავასა** და სხვა უდანაშაულო ადამიანების მკვლელთა მხარეს; ისინი დგანან **კოლექტიური მეგისქარდავასა** და **თემურუბირიასთან** ერთად და მზად არიან, საქართველოს მომავალი სააკაშვილის თავისუფლებას გადააყოლონ!

მაინც რატომ იქცევა ასე ევროკავშირის წევრი **27 სახელმწიფო?**

მაინც რა რჯის **27 ევროპელ კომისარს,** რომელიც დამნაშავე სააკაშვილის დასაცავად ლამის ნაკერავზე იხევა?

საქმე ის არის, რომ ევროპელი კომისრები სააკაშვილზე მეტად თავიანთ თავს იცავენ!

## ევროპელ კომისრებს სააკაშვილის თავისუფლებაზე უფრო თავიანთი შავბნელი წარსულის გათეთრება აინტერესებთ!

ჰო, ესენი ის ევროსახელმწიფოები და ევროკომისრები არიან, რომლებიც სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას" ეძახდნენ და ტაშს უკრავდნენ მაშინ, როცა იგი საქართველოში სისხლის მდინარეებს აყენებდა, მშვიდობიან დემონსტრაციებს არბევდა, მედიასა და სასამართლოს იმორჩილებდა, ბიზნესს ატერორებდა და ციხეებში სისტემურ წამებას ნერგავდა... დღეს კი ევროპელი კომისრები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ — **ან უნდა აღიარონ, რომ წლების განმავლობაში სისხლიან დამნაშავესა და დემოკრატიის მტერს უჭერდნენ მხარს, ან ყველაფერი უნდა გააკეთონ მართლმსაჯულების მარწუხებიდან მის დასახსნელად!**

ჰოდა, აკეთებენ კიდეც, რაც შეუძლიათ!

**27 ევროპელი კომისრის** მიერ ქართული სახელმწიფოსათვის დემარშის გამოცხადება სწორედ იმის დემონსტრირებაა, რომ ყველა დაშვებული და დაუშვებელი მეთოდით შეეცდებიან, სააკაშვილის მიმართ მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის აღსრულება შეაჩერონ!

ასეთი ბოლშევიკური სულისკვეთება და მიდგომები, როგორსაც **27 ევროპელი კომისარი** საქართველოს მიმართ ამჟღავნებს, **27 ბაქოელ კომისარსაც** არ ექნებოდა!

**27-ე ბაქოელი კომისარი ანასტას მიქოიანი,** რომელმაც დანარჩენ **26 კომისარს** უღალატა და **ილიჩიდან ილიჩამდე უინფარქტოდ და უპარალიჩოდ იცხოვრა,** ალბათ, იმაზე მეტს არ კადრულობდა, რასაც დღეს **27 ევროპელი კომისარი** საქართველოსთან მიმართებაში კადრულობს!

სხვათაშორის, **ევროკავშირის 27 სახელმწიფოდან** ერთი — **უნგრეთი** ბოლო წუთამდე ეწინააღმდეგებოდა საქართველოსათვის დემარშის გამოცხადებას, მაგრამ შემდეგ, გაერთიანებული **დანარჩენი 26 წევრის ზეწოლით,** იძულებული გახდა, უკან დაეხია. ყოველ შემთხვევაში, პოლონური მედია სწორედ ასე იუწყება — სააკაშვილთან დაკავშირებით დემარშს უნგრეთი ბლოკავდა, მაგრამ პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ზეწოლის შედეგად წინააღმდეგობა შეწყვიტაო!

გამოდის, რომ **უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა, 27-ე ბაქოელი კომისრის ანასტას მიქოიანისაგან განსხვავებით,** არ უღალატა დანარჩენ **26 კომისარს,** მაგრამ უღალატა სამართლიანობას და საქართველოს წინააღმდეგ უსამართლო დემარშს შეუერთდა!



27-ე ბაქოელი კომისარი ანასტას მიქოიანი

**27-ე ბაქოელი კომისარი ანასტას მიქოიანი, რომელმაც დანარჩენ 26 კომისარს უღალატა და ილიჩიდან ილიჩამდე უინფარქტოდ და უპარალიჩოდ იცხოვრა, ალბათ, იმაზე მეტს არ კადრულობდა, რასაც დღეს 27 ევროპელი კომისარი საქართველოსთან მიმართებაში კადრულობს!**



**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა, 27-ე ბაქოელი კომისრის ანასტას მიქოიანისაგან განსხვავებით, არ უღალატა დანარჩენ 26 კომისარს, მაგრამ უღალატა სამართლიანობას და საქართველოს წინააღმდეგ უსამართლო დემარშს შეუერთდა!**

საბოლოო ჯამში, **27 ევროპელი კომისრის** მიერ დამნაშავე სააკაშვილის გამო საქართველოსათვის დემარშის გამოცხადება კიდევ ერთი მკაფიო დასტურია, რომ პოლიტიკური ევროპა მორალური, ზნეობრივი და ინსტიტუციური ჭაობის ფსკერზე ფართხალებს, საიდანაც, ალბათ, ველარც ამოაღწევს!

**ამიტომაც, საქართველო კარგად უნდა დაფიქრდეს, რამდენად სჭირდება ამ პოლიტიკური და მორალური ჭაობის წევრობის კანდიდატის სტატუსი? საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რას მოუტანს რიგით კომისრად შესვლა კოლექტიური მიქოიანის კამპანიაში?**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

„ხალხის ძალის" მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა **ყველაფერს ფარდა ახადა.** აბა, ვინ დამაჯერებს, რომ, მაგალითად, **ქვირიკაშვილი,** რომელსაც ბოლო საზოგადოებრივი აქტივობა პროფილაქტიკაში საბურავის შეცვლის დროს „უფიქსირდება", გამჭვირვალობის კანონმა აღაშფოთა? კარგია, **ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი!**

„იმედინიუსი"



**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

დემარშით ევროკავშირის ქვეყნებმა მიმართონ სააკაშვილის გარემოცვას, რომ **თავი დაანებონ სააკაშვილის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის სტრატეგიას** — მძევლად აიყვანეს სააკაშვილი და მისი ჯანმრთელობით სპეკულირებენ.

„ახალი თაობა"



**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის" თავმჯდომარე*

**კეზერაშვილის** ფინანსების მფარველობა თავის თავზე აიღო უკრაინის ელიტამ. **დასავლეთისთვის ნაციონალური მოძრაობა ჩამოწერილია.** ერთადერთი, რაც ამ პარტიას გადაარჩენს, ეს არის თვითლუსტრაცია. გამოვიდნენ მისი წევრები და **სიცრუის დეტექტორის გამოყენებით დაამტკიცონ, რომ არ არიან რუსეთის აგენტები.**

„ახალი თაობა"



**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*

**კობახიძემ** თქვა ერთი საინტერესო რამ, **ყველანი გაიგებთ, ნამახვანის პროტესტს ვინ აფინანსებდაო.** ნამდვილად მაინტერესებს, მაგრამ რა საჭიროა ამისთვის კანონების მიღება? ისე არ შეიძლება გვითხრან, ვინ აფინანსებდა **ვარლამ გოლეთიანს?! აგენტებზე ლაპარაკმა წაგვჭამა თავი, უკვე 30 წელია.**

„ახალი თაობა"

# როგორც 2008 წელს დაიწყო სააკაშვილმა ომი, 2022-შიც ისე დაიწყებდა!

***ნინო ანზორის ასულმა ბურჯანაძემ ერთხელ საგაზეთო ინტერვიუში განმიცხადა — ბოკერია და სააკაშვილი ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში აფხაზეთში ომის დაწყებას აპირებდნენ და ამის გაგებისთანავე წივილ-კივილით შევუვარდი მიშას კაბინეტში — არ გაბედო, თორემ ახლავე პრესკონფერენციას მოვიწვევ და ყველაფერს ვიტყვი-მეთქი!***

სააკაშვილი მაშინ დროებით ჩააცხრეს, თუმცა, აწყვეტილი გიჟის საბოლოოდ დაშოშმინება შეუძლებელი აღმოჩნდა და 7 აგვისტოს, სწორედ სააკაშვილის ბრძანებით, რუსული „გრადებით“ დაბომბეს ცხინვალი, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობისგან უკვე კარგა ხნის დაცლილი იყო!

**როგორც ტალიავინის დასკვნასა და ჰააგის ტრიბუნალის საბოლოო ვერდიქტში წერია, რაც შემდეგ მოხდა, იყო მხოლოდ რუსეთის არმიის „კონტრშეტევის შედეგი“, რასაც მოჰყვა ქართველების გენოციდი, ეთნიკური წმენდა და, საერთო ჯამში, 137 ქართული სოფლის ოკუპაცია, რომლებიც ავადმყოფმა სააკაშვილმა ერთ-ერთ უცხოურ გაზეთთან საუბრისას „ქვების გროვად“ გამოაცხადა.**

ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, 2008 წლის 10 ივლისს, ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი **კონდოლიზა რაისი** სასწრაფოდ ჩამოფრინდა თბილისში და რიყეზე, მილიარდერ თორნიკე კოპალეიშვილის რესტორან „კოპალას“ ვერანდაზე, სააკაშვილთან ერთად ისადილა. როგორც ქალბატონი „კონდი“ თავის მემუარებში წერს, მიშა, რომელიც სამგლე გოჭივით იყო ატეხილი, **„ჯიუტად უარობდა დათმობაზე წასვლას“** და სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას, რაც ცხინვალთან კონფლიქტის ესკალაციას იმთავითვე გამორიცხავდა. **მემუარების თანახმად, შექმნილმა მდგომარეობამ კონდოლიზა რაისი აიძულა, უფრო კატეგორიული ყოფილიყო და სააკაშვილს პირდაპირ განუცხადა** — *„ბატონო პრეზიდენტო, რაც უნდა მოიმოქმედოთ, არ დაუშვათ, რომ რუსებმა შეძლონ თქვენი პროვოცირება. გახსოვთ პრეზიდენტ ბუშის სიტყვები, რომელმაც გაგაფრთხილათ, რომ მოსკოვი შეეცდება თქვენს პროვოცირებას და წინდაუხედავ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ დამარცხდებით!“*

მოკლედ, ამერიკულ დიპლომატიასა და სამხედრო-პოლიტიკურ ელიტას 2008 წლის აგვისტოს ომში ხელები პილატესავით აქვს დაბანილი. აკი, თვით კონდოლიზაც კი წერს — **პრეზიდენტი ბუშიც და მეც სააკაშვილს ვაფრთხილებდით, მაგრამ ვერაფერს გავხდით და რა უბედურებაც ქართველებს დაგემართათ, ჩვენ ნუ დაგვაბრალებთო!**

დავსვათ უმარტივესი შეკითხვა — **მილიარდერ თორნიკე კოპალეიშვილის „კოპალას“ ვერანდაზე სააკაშვილმა და კონდოლიზა რაისმა სინამდვილეში რა ილაპარაკეს, მათ გარდა თუ იცის ვინმემ?**

იქნებ კონდოლიზა რაისი პირიქით, აქეზებდა სააკაშვილს და ნართაულად იმაზე მიანიშნებდა, რასაც **ბენ ჰოჯესები, ადამ კინზინგერები** და უკრაინელი ნეოფაშისტები — **დანილოვები, არესტოვიჩები, პოდოლიაკები, გონჩარენკოები, არახამიები** უკრაინაში ომის დაწყების დღიდან ნიადაგ მოგვიწოდებენ — **კარგი იქნება, თუ ცოტას წაგვეშველებით და ამ ომში უკრაინელ ქალებთან და ბავშვებთან ერთად ქართველი ბავშვებიც და ქალებიც დაიხოცებიანო!**

ცხადია, არცერთი ჭკუათამყოფელი და, მითუმეტეს, ამერიკის სახელმწიფო მდივანი თავის მემუარებში ამას არ დაწერდა — **სააკაშვილს 2008 წლის 10 ივლისს თორნიკე კოპალეიშვილის ვერანდაზე რომ შევხვდი, ორლობის მაყვალივით შავი თვალი ჩავუკარი და ყურში ვუჩურჩულე — ჩვენო დემოკრატიის შუქურავ და ჩირაღდანო, მიდი, დაჰკარი, დაებღვენი პუტინს და აუფეთქე ჟანგიანი ტანკები, ამერიკა გვერდით გიდგას და ყველაფერში დაგეხმარებით ზუსტად ისე, როგორც 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ტოტალურ გაყალბებასა და ზურაბ ჟვანიასა და ბადრი პატარკაციშვილის „გასუხარებაში“ დაგეხმარეთო!**

ე.წ. „მემუარებში“ **ლევან ბერძენიშვილმაც** დაიქადნა — ციხეში დისიდენტობის გამო ვიხდიდი სასჯელსო! **აბა, იმას ხომ არ დაწერდა — სინამდვილეში „მთავარი აგენტი“ ვიყავი და ჩემს ძმასთან, ცნობილ გეი-აქტივისტ დავით ბერძენიშვილთან ერთად „კაგებეში“ ჯერ მთელი ეროვნული მოძრაობა „ჩავუშვი“, ხოლო კალამი და საწერი ფურცლები რომ გამითავდა, ძმებმა ერთმანეთიც ჩავაგირავეთო?!**

ჩვენი ღრმა რწმენით, **2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილი სწორედ ამერიკის ინსტრუქციებით მოქმედებდა.** ასე რომ არ ყოფილიყო, ამერიკის ადმინისტრაცია კიდევ ოთხი წლის განმავლობაში არ იგუებდა სააკაშვილის გარყვნილ რეჟიმს და ნაცმოძრაობა თავის ფიურერთან ერთად იმ ხელისუფლებების ბედს გაიზიარებდა, რომლებიც პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, ამერიკის პრეზიდენტთა ბრძანებით, თვალის დახამხამებაში დაამხეს.

**სააკაშვილი რომ ამერიკის ყურმოჭრილი მონა და აგენტია, ეს საბოლოოდ 2011 წლის 26 მაისს დამტკიცდა, როცა რუსთაველის პროსპექტზე მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევას, მკვლელობასა და გუანტანამოს მეთოდებით წამებას ნაცსექტის ცნობილ მწვალებლებთან ერთად სწორედ ამერიკის ელჩი ჯონ ბასი და ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილის „შუშის სასახლიდან“ ონლაინ-რეჟიმში ხელმძღვანელობდნენ!** ეს თავის დროზე დაადასტურეს სააკაშვილმაც და საქართველოში დაკრედიტებულმა ელჩებმაც, რომლებმაც ნაცბანდა გაამართლეს და ყველაფერი ნაცემ-ნაგვემ დემონსტრანტებს გადააბრალეს. **26 მაისს დაღვრილ სისხლსა და სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძის მკვლელობას ოპოზიციას აბრალებდა ამერიკის სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი საქართველოში თამარ მალხაზის ასული ჩუგოშვილიც.** სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **მაშინ შალვა ნათელაშვილმა მთელ ქართველ ერს მოფხანა გული, როცა ამერიკის ელჩ ჯონ ბასს „შაჰ-აბასი“ უწოდა!**

თუ სააკაშვილი ამერიკის სპეცსამსახურების აგენტი არ იყო და 2008 წლის აგვისტოს ომი ვაშინგტონის ნების წინააღმდეგ წამოიწყო, მაშინ 2011 წლის 26 მაისის უპატიებელი დანაშაულის შემდეგ თეთრი სახლის ადმინისტრაციას ჰქონდა ბრწყინვალე შანსი, ნაცფიურერი სამაგალითოდ დაესაჯა და ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალიც აემოქმედებინა. **მაგრამ ამერიკელებმა სააკაშვილი ბოლომდე აყროლებულ მდგომარეობაში შეინახეს, საპრეზიდენტო ვადა ჩაამთავრებინეს, ქვეყანას თავს კოჰაბიტაცია მოახვიეს და მერე თავიანთი აგენტი, მთელ თავის ნაზირვეზირებთან ერთად, უკრაინაში წაათრიეს, სადაც ევროპის უდიდესი ქვეყნის დასაქცევად იდეალური პირობები შეუქმნეს და სამ ნაძირალას — პოროშენკოს, სააკაშვილსა და ზელენსკის ქვეყანა დააქცევინეს კიდეც!**

ახლაც „ვივამედის“ კლინიკაში გამომწყვდეული ნაცფიურერის გათავისუფლებასა და საზღვარგარეთ ვითომდა „სამკურნალოდ“ გაყვანაზე თავს სწორედ ამერიკის მიერ დაფინანსებული და მოსყიდული აგენტები იკლავენ, რათა **მწამებლები და კაცების გამაუპატიურებლები ისევ ხელისუფლებაში მოაბრუნონ და კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნან.**

ამერიკელებმა და მათმა აგენტებმა საქართველოსა და ქართველ ხალხს ვერ გაუგეს ვერაფერი, თორემ ერთი რამ კარგად იციან — ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, როგორც 2008 წელს დაიწყო სააკაშვილმა ომი, 2022-შიც ისე დაიწყებდა!



საქართველოს პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი გორში. 2008 წლის 10 აგვისტო

როგორც სტივენ სპილბერგის კინოშედევრში მთელი ამერიკის სარდლობა იბრძვის მტრის ზურგში მოქცეული მეოთხე ძმის — ***რიგითი რაიანის გადასარჩენად,*** ზუსტად ისე ყველაფერზე მიდიან **აგენტ სააკაშვილის გადასარჩენად,** რათა **დიეტაზე მყოფმა ვერაგმა ნაპრეზიდენტალმა** ერთ მშვენიერ დღეს ეშმაკს არ მიაფურთხოს და არ თქვას ის სიმართლე, რაც კონდოლიზა რაისმა თორნიკე კოპალეიშვილის ვერანდაზე ჩასძახა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ოთარ ჩრდილელი**
*ყოფილი პარლამენტარი, ჟურნალისტი*



2008 წლის ომის შემდეგ **ზელენსკი** დასცინოდა პრეზიდენტ **სააკაშვილს,** ქართველი ხალხის იდენტობას... ნაცებო, რატომ ხართ ლერწამივით დრეკადები, **უთავმოყვარეოები და უპრინციპოები,** გადმოიღეთ ზელენსკის ნებისმიერი გამოსვლა გინდ, „კვარტალიდან“ და გინდ — რუსული KBH-იდან და **ნახეთ, რეებს აკადრებს საქართველოსა და მაშინდელ მთავრობას.**

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



2003 წლის შემდეგ ქვეყანაში **გაქრა ის, რასაც ჩვენ დამოუკიდებელ, არაპოლიტიზებულ უფლებადაცვით საქმიანობას ვეძახდით,** ის ჩანაცვლდა ენჯეოს სახელით მოქმედი ნაცების პარტიული უჯრედებით.

„აიპრესი“

**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე*



აგვისტოს ომზე **ბევრი კითხვა არსებობს,** მათ შორის, სააკაშვილის გუნდმა საქართველოს რატომ დააბრალა ომის დაწყება.

„პირველი არხი“

**ლია მუხაშავრია**
*იურისტი*



პუტინი **ჯერ კიდევ აგვისტოს ომის გამო უნდა გაესამართლებინათ,** მაგრამ მაშინ სამყარო საამისოდ არ იყო განწყობილი და ამან განაპირობა ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება.

„კვირის პალიტრა“

**ჯემალ გამახარია**
*უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე*



**ლუკაშენკოს** აფხაზეთის აღიარება არ უნდა. ჩვენი დაუფიქრებელი, ზღვარგადასული განცხადებებით **არ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ბელარუსმა აფხაზეთი აღიაროს.**

„ახალი თაობა“

*„ევროპელი სოციალისტების“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ ინჯია დაჟინებით მოითხოვს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას და აცხადებს, რომ საქართველოში ე.წ. „მეორე ფრონტის“ გახსნას დღეს სწორედ ის ხალხი ესწრაფვის, რომელმაც იმხანად საქართველოს ტერიტორიები დაკარგვინა:*

# ფრიდონ ინჯია: სხვა სასჯელი არ მაინტერესებს, მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან ომის დაწყების გამო უნდა გასამართლდეს!



— როგორც კი პარლამენტში შემოვედით, რამდენჯერმე გავაჟღერე 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა. ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა უფრო აქტუალური გახადა. საქმე ის გახლავთ, რომ **საქართველომ თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი სააკაშვილის მმართველობის დროს დაკარგა და დღეს კვლავაც ის ხალხი და პარტია ცდილობენ, ომში გაგვხვიონ, რომელიც მაშინ, ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყანას მართავდა.**

**— ბატონო ფრიდონ, დარწმუნებული ხართ, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველო მიზანმიმართულად ჩართო?**

— კომისია და გამოძიება ამას ზუსტად დაადგენს, მაგრამ მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილმა 2008 წლის ომში ქვეყანა მიზანმიმართულად გახვია! აქედან გამომდინარე, სხვა სასჯელი არ მაინტერესებს, **სააკაშვილი რუსეთთან ომის დაწყების გამო უნდა გასამართლდეს!** დიახ, სააკაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ომის დაწყებისა და მისი კატასტროფული შედეგების გამო უნდა მიეცეს პასუხისგებაში, თორემ არაჟნის კონტეინერში რამდენი დღე იჯდა და საქართველოში როგორ შემოაგზავნეს, ეს, ჩემი აზრით, ნაკლებად საინტერესოა!

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოში დამოუკიდებლად მოქმედებდა თუ სხვის კარნახს ემორჩილებოდა?**

— სააკაშვილი დიქტატორი იყო და, ცხადია, ქვეყნის შიგნით არავის მოუსმენდა. ერთადერთი ძალა, რომელსაც მასზე ზემოქმედება შეეძლო და შეუძლია, ამერიკის შეერთებული შტატებია. მოგეხსენებათ, 2005 წელს საქართველოში ჩამოვიდა **პრეზიდენტი ბუში,** რომელსაც სააკაშვილმა განსაკუთრებული დახვედრა მოუწყო, სწორედ ეს გახლდათ იმ თანამშრომლობის წინაპირობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კატასტროფით დასრულდა. დიახ, **სააკაშვილის მიერ გაცხადებული საომარი რიტორიკა, საეჭვო შეიარაღების შესყიდვა და ყველაფერი, რამაც ომამდე მიგვიყვანა, სათავეს სწორედ ბუშის თბილისში ჩამოსვლიდან იღებს.** ღმერთმა უწყის, რას ელაპარაკებოდნენ სააკაშვილს საქართველოში ჩამოსული ამერიკელი მაღალჩინოსნები.




**„რატომ არ შექმნა ხელისუფლებამ მთელი ათი წლის განმავლობაში აგვისტოს ომის დროებითი საგამოძიებო კომისია?“**

**„ვისი ბრძანებით მიატოვეს 2008 წლის აგვისტოში კოდორის ხეობა, რომელსაც ემზარ კვიციანი 18 წლის განმავლობაში იცავდა?“**

**— თქვენ ეჭვობთ, რომ ისინი სააკაშვილს საომრად აქეზებდნენ?**

— მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ ისინი სააკაშვილს ომისკენ უბიძგებდნენ! ამიტომაა, რომ ამერიკა და მთელი მისი სამსახურები ყოველნაირად ცდილობენ, სააკაშვილი როგორმე ციხიდან გამოათრიონ. არსებობს შიში, რომ სააკაშვილმა აგვისტოს ომის შესახებ სიმართლის ლაპარაკი დაიწყოს, რაც ამერიკელებს ხელს არ აძლევთ! არადა, სააკაშვილს 2008 წლის აგვისტოს ომი რომ წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, თუნდაც იქიდან ჩანს, ჯერ კიდევ 2007 წელს ბოკერიასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსიდან „სამშობლოს ღალატის“ მუხლი რომ ამოიღო! **მაგათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებით სამშობლოს ღალატობდნენ და ამიტომაც გააქრეს კოდექსიდან ეს მუხლი!**

**— მაინც რა უნდა გაარკვიოს და გამოკვეთოს საგამოძიებო კომისიამ?**

— მე, როგორც ქართველსა და საქართველოს პარლამენტის წევრს, მაინტერესებს — **ვისი ბრძანებით მიატოვეს 2008 წლის აგვისტოში კოდორის ხეობა, რომელსაც ემზარ კვიციანი 18 წლის განმავლობაში იცავდა?** ვინ გასცა განკარგულება კოდორის ხეობიდან ათასი ჯარისკაცის გამოყვანის შესახებ? რატომ დატოვეს ხელუხლებლად კოდორის ხეობაში შეტანილი იარაღის საწყობები და რატომ ჩაუგდეს მტერს ხელში ამდენი იარაღი? **რატომ არ მოხდა ამ იარაღის განადგურება და ვინ არის ამაში დამნაშავე?** რატომ დატოვეს კოდორი და ახალგორი ისე, რომ ერთი ტყვია არავის გაუსვრია? მე კითხვები ამ ხელისუფლების მისამართითაც მაქვს!

**— ბრძანეთ!**

— რატომ გააუქმა ხელისუფლებამ 2013 წელს სასჯელის შეკრებითობის პრინციპი, რომლითაც სააკაშვილი ხალხს აწამებდა? მთელი ათი წლის განმავლობაში რატომ არ შექმნა ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროებითი საგამოძიებო კომისია და რატომ დაუშვა კოჰაბიტაცია? ჩემი აზრით, ამერიკის ინტერესებში შედიოდა, რომ საქართველოს მუდამ დაძაბული ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთთან, ამისათვის კი 2008 წლის აგვისტოს ომი საუკეთესო საშუალება იყო!

**— მხოლოდ ამერიკის ინტერესებში შედიოდა 2008 წლის აგვისტოს ომი?**

— 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთის გარკვეული წრეების ინტერესშიც იყო. ცნობილია, რომ 2007 წლის ჩათვლით, სააკაშვილმა რუსეთს სტრატეგიული ობიექტები თითქოსდა „ჩალის ფასად“ მიჰყიდა, მაგრამ ამ „ჩალის ფასის“ უკან სინამდვილეში უდიდესი თანხები იდგა!

**— ანუ ოფიციალურ დოკუმენტებში სხვა ფასი მიუთითეს?**

— დიახ, სააკაშვილმა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გაცილებით ძვირად მიჰყიდა, ვიდრე ეს დოკუმენტებშია მითითებული და დანარჩენი ფული ჯიბეში ჩაიდო! აქ ძალიან დიდ თანხებზეა ლაპარაკი და ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა გამოააშკარაოს! ამერიკასა და მის გოშიებს სიმართლის დადგენა იმიტომ არ უნდათ, რომ სიმართლე, როგორც წესი, შერიგებისა და ქვეყნის დაწყნარების საფუძველია, ხოლო მაგათ სურთ მუდმივი ქაოსი და არეულობა!

**— როგორ ფიქრობთ, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ხელისუფლება მხარს დაუჭერს?**

— ზუსტად ვიცი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომზე სიმართლის დადგენა საქართველოს ინტერესებშია. იმედი მაქვს, ეს კომისია შეიქმნება.

**არ შეიძლება, ქვეყანას ამხელა ტერიტორიები ჰქონდეს დაკარგული, მოღალატე გვერდით გყავდეს და კაციშვილი არ დაისაჯოს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზაალ საყვარელიძე**
*ფილოსოფოსი*



მიშას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთმა რუსმა ექსპერტმა, რომელიც პუტინის მომხრე არ იყო, ჩემს კითხვაზე: **ვინ გირჩევნიათ საქართველოს ხელისუფლებაში — სააკაშვილი თუ ვინმე სხვა,** ასე მიპასუხა: რა გითხრათ, **მიშამ იმდენი გააკეთა რუსეთისთვის, პუტინი რომ დაესვათ მის ადგილას, ამდენს ვერ შეძლებდაო!**

„საერთო გაზეთი“

**კახა გოგოლაშვილი**
*რონდელის ცენტრის მკვლევარი*



არ გამოვრიცხავ, **კაპიტულაციის შემთხვევაში პუტინი მაინც დარჩეს რუსეთის ხელისუფლებაში.** მაგალითად, **სადამ ჰუსეინი,** როდესაც ქუვეითში შეიჭრა და შემდეგ ის ამერიკამ განდევნა ქუვეითიდან, ამის მერე კიდევ 13 წელი იყო ხელისუფლებაში.

„FOR.GE“

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



ჩვენთან **მშვიდობა არის იმიტომ, რომ** დღეს უკრაინელები იბრძვიან.

„TV პირველი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება **ცილისწამების, შეურაცხყოფისა და პოლიტიკური ზეწოლის უპრეცედენტო კამპანია — FREE MISHA!** ვერ ეღირსებით!

„ტვიტერი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



რასაც **კეზერაშვილი** შოულობდა, რითიც ამ ადამიანებმა ხელი მოითბეს, ამ **საშინელი კორუფციული სქემების** სათავეში ყოველთვის **მიხეილ სააკაშვილი** იდგა.

„TV იმედი“

*მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტართა ბინძურ მოთხოვნებს უმრავლესობამ „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტი დაუპირისპირა, ერთ ხმაში აკრიახდნენ ე.წ. ლიბერალები და მათი ნასყიდი დამქაშები. პოლიტოლოგი და პიარტექნოლოგი* **ლალი მოროშკინა** *თვლის, რომ ნამდვილად არ ღირს თავის გაგიჟება იმ ევროკავშირში შესასვლელად, რომელიც უკვე დაშლის პირასაა:*



## ლალი მოროშკინა:

# სად უნდა შევიდეთ – იმ ევროკავშირში, რომელიც იშლება?!

— 30 წლის მანძილზე ვფიქრობდით, რომ ამერიკა და ევროპა გვეხმარებოდა, რეალობა კი სხვა ყოფილა — ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ გამოეზარდათ საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ქართულ კულტურას, მენტალიტეტსა და ზნეობას დაიმონებდა. მათი გათვლებით, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი უნდა ყოფილიყო, რაზეც შევარდნაძემ ჯერ კიდევ 30 წლის წინათ დაიწყო მუშაობა და მოგვიანებით სააკაშვილმა განაგრძო. ყველაფერი სცენარის მიხედვით წარიმართა და

**რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, სააკაშვილი საბოლოოდ მოსპობდა საქართველოს და მოხდებოდა ის, რასაც ახლა უკრაინაში ვხედავთ.**

**— ხალხს სხვანაირი ევროპა და ამერიკა წარმოუდგენია, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული თითქოს ქვეყნის განვითარებაში გვეხმარება...**

— **ამერიკა-ევროპის დახმარების ლომის წილი არასამთავრობო სექტორზე და, ზოგადად, ტვინის გამორეცხვაზე მიდიოდა. მათი მიზანი იყო, საქართველო უსახური და უფლებააყრილი ქვეყანა ყოფილიყო!** თუ ვინმეს უყვარს ევროპა და მისი ჭეშმარიტი ფასეულობები, მე და ჩემი მეგობრები ვართ, რომლებმაც ევროპაში ვისწავლეთ, მაგრამ არცერთი კაპიკი არ მიგვიღია იმისათვის, რომ ქართული მენტალიტეტი დაგვენგრია. **დღეს თითქოს ყველა გველი ერთდროულად ამოძვრა კასრიდან. ევროპული ღირებულებების დაცვას გვასწავლიან ისინი, რომლებიც წლების განმავლობაში დონორი ორგანიზაციებიდან იკვებებოდნენ.**

**— მოდით, პირდაპირ გკითხავთ, არ უნდა შევიდეთ ევროკავშირში?**

— სად უნდა შევიდეთ, იმ ევროკავშირში, რომელიც იშლება?! **ევროპა საკუთარ ფესვებს უბრუნდება და თავად ამბობს უარს იქ გაერთიანებაზე.** ამ საქმის პიონერი **ბორის ჯონსონი** გახლდათ, რომელმაც 2020 წელს ბრიტანეთი ევროკავშირიდან გამოიყვანა და მას „მობერებული, არაფრის მაქნისი“ კავშირი უწოდა. დღეს მსოფლიოს დიდ ქალაქებში ევროკავშირიდან გამოსვლის მოთხოვნით მრავალათასიანი მიტინგები იმართება, სადაც მშვიდობას, ომის შეწყვეტას და უკრაინისთვის იარაღის მიწოდების შეჩერებას ითხოვენ. მრავალათასიან მიტინგებს გერმანელი პოლიტიკოსი, ქალბატონი **სარა ვაგენქნეხტი** ხელმძღვანელობს, რომლის თქმითაც, გერმანიამ ერთხელ უკვე დაუთმო სარბიელი ფაშისტებს და ეს აღარ უნდა განმეორდეს. **ჩვენ ასევე ვიხილეთ იტალიაში ევროკავშირის დაგლეჯილი დროშებიც.** ყველა ევროპელი ხვდება, რომ ჯობს, თავის ფუძეს დაუბრუნდეს, თავისი ქვეყნის განვითარებაზე იზრუნოს, ვიდრე საერთო ბიუჯეტიდან უკრაინის შეიარაღებაზე დაიხარჯოს ფული. მოკლედ, ჩვენ თვალწინ იცვლება მსოფლიო და, როგორც ჩანს, საბოლოოდ მივიღებთ გახლეჩილ ევროპას — გერმანია და საფრანგეთი ერთ დაჯგუფებაში იქნება, პოლონეთი კი ბრიტანულ ანკლავში მოექცევა.

ტვინგამორეცხილი ადამიანების აზრით, საქართველო ევროპაზე უარს ამბობს, სინამდვილეში კი იმ ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით ვსვამთ კითხვებს, რომელიც დაშლის პირასაა. საბედნიეროდ, ჩვენ ძალიან სწორ გზაზე ვდგავართ — გვინდა მშვიდობა კავკასიაში და მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება!

**— გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა გაითვალისწინოს ევროპარლამენტართა მოთხოვნა?**

— ეს არის შანტაჟი, რომელიც რომელიმე ევროპული ქვეყნიდან კი არ მოდის, არამედ დაშლის პირას მდგარი ევროკავშირიდან და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული! **ბარემ, უარი ვთქვათ სასამართლო ინსტიტუციასა და დამოუკიდებლობაზეც, გვაღიარონ 51-ე შტატად და დაამყარონ ნაცების ხუნტა!** ასევე დაუშვებელია სააკაშვილის განთავისუფლება, მეტიც, იგი ჩვეულებრივ საკანში უნდა იქნეს გადაყვანილი, სადაც სასჯელს სხვა პატიმრები იხდიან. ამ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციაზე იქნება მისი კვების პასუხისმგებლობაც. აი, ნახავთ, ერთ კვირაში თურაშაულის ვაშლივით იქნება!

სააკაშვილის ქმედება, შიმშილობად რომ აცხადებენ, არის ჩვეულებრივი ავანტიურა. **თავის მოკატუნების ამ მეთოდს სადაზვერვო სკოლებშიც ასწავლიან.** თავის დროზე იგივე მეთოდს მიმართა **ტიმოშენკომაც,** ვითომ ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს ინვალიდის სავარძლით, დღეს კი 20 წლის გოგონასავით დაკუნტრუშობს. სააკაშვილს ისე უყვარს თავისი თავი, მერწმუნეთ, სიცოცხლეს ასე ადვილად არ დათმობს!

კიდევ ერთხელ ვამბობ —

**წლების განმავლობაში დიდი ფული იხარჯებოდა ლობიზმში საქართველოს წინააღმდეგ. ახლა ჩნდება საშიშროება, რომ ეს თემა აბსოლუტურად გამჭვირვალე გახდეს და გამოაშკარავდეს, ვის რა ფული აქვს გადახდილი პირადად ბიძინა ივანიშვილის, მთავრობის მეთაურის თუ ჩვენნაირი უფლებადამცველის გაშავებაში. ამიტომაც აეწვათ ასე!**

**— ანუ კანონპროექტი „უცხოური გავლენის აგენტის“ შესახებ, რომლის გამოც არნახული აჟიოტაჟია ატეხილი, არ დაგვაშორებს ევროპასთან?**

— პირიქით, ვითომ უფლებადამცველებსა და არასამთავრობოებს, რომლებიც წლების განმავლობაში იკვებებოდნენ უცხოელებისგან და ანგრევდნენ საქართველოს, ნიღაბი ჩამოეხსნებათ. ამ კანონის მიღებით გაირკვევა, ვინ რომელი უცხოური ფონდიდან ფინანსდებოდა და ვისი მესიჯბოქსით ხელმძღვანელობდა.

სხვათაშორის, **რა წუთშიც განეიტრალდა პოლიტიკური ოპოზიციური ისტებლიშმენტი, ეს საქმე თავის თავზე მედიაჯგუფებმა აიღეს, რომელთაც სინამდვილეში არაფერი აქვთ საერთო ჟურნალისტიკასთან, სადამსჯელო ორგანიზაციებად იქცნენ და ყველა არასასურველი პირისა თუ პოლიტიკური პროცესის გაშავებით არიან დაკავებული.** რაც მთავარია, ამას შენიღბვით აკეთებენ, თითქოს პრორუს ხელისუფლებას ებრძვიან. დღეს მთავარია, შეჩერდეს ეს **ზონდერმედიები!**

ლუსტრაციის კანონი დროზე რომ მიგვეღო, 1937 წელს წახალისებული ბოლშევიკების შვილიშვილები, ლენინის პორტრეტის შემქმნელები და მლოცველები არ გვეყოლებოდა ენჯეოებში, ოპოზიციასა და პარლამენტში! **ამ კანონის მიღებით ყველა დაინახავს, ვინ ვის აყრის თვალებში ნაცარს და კვებავს ტყუილებით!**

## „თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი კანონპროექტს ვეტოს დაადებს, ხელისუფლებამ მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დააყენოს!“



## „გადაიყვანეთ სააკაშვილი ჩვეულებრივ საკანში და ერთ კვირაში თურაშაულის ვაშლივით იქნება!“

**— და მაინც, შესაძლოა, ამ კანონპროექტს პრეზიდენტმა ვეტო დაადოს...**

— პრეზიდენტისაგან, რომელიც 28 დეკემბერს თავის ამომრჩეველს შეხვდა სიტყვებით — **რას მომივარდითო** — ყველაფერია მოსალოდნელი. თუ კანონპროექტს ვეტოს დაადებს, ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ერთად მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დააყენოს და კარიერა დაასრულებინოს არა პრეზიდენტის, არამედ საქართველოდან გაგდებული ფრანგი ემიგრანტის რანგში!

კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას, ეს კანონპროექტი უსათუოდ მისაღებია!

აქვე გიხდით მადლობას, რომ აგვაცილეთ ომი, რასაც მომავალი თაობა აუცილებლად დაგიფასებთ! უკრაინელებმა ღიად აღიარეს, რომ ბანდერას გზით მიდიან, ჩვენ მოლაპარაკების გზით უნდა ვიაროთ. **მარტო „ასავალ-დასავალის“ ხმალამოღებული ბრძოლა და მასში დაწერილი სიმართლე საკმარისი არ არის!**

*ესაუბრა*
**ნატო ფოცხიშვილი**

## კვირგვინოსნები

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



გერმანული ფონდების ფული, რომლებიც 30 წელია, აქ გაიხსნა, მიდის **ლადო ჭანტურიების, პაპუაშვილების, კობახიძეების** გამოზრდაზე. „ერჰარდის ფონდია“ გახსნილი. კიდევ ათასი სხვა გერმანული ფონდები. **აწყობილი აქვთ ეს „ატკატის“ სისტემა,** ამათ აქ მისცემენ ფულს, ნაწილი იმ გერმანელ მაფიოზებთან რჩება, მიდის გაყოფა-გამოყოფა. რამდენიმე ოჯახის ხელში აღმოჩნდა ეს გრანტები — **ხიდაშელებთან, უსუფაშვილებთან, ბერძენიშვილებთან.** 30 წელია, ოჯახები ჭამენ ამ გრანტებს.

„ალია“

**ანდრო ბარნოვი**
*პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი*



**გოცირიძე** პატიოსანი კაცივით რომ **გაიძურწა** ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, ალბათ, იმედი აქვს, პარლამენტში დარჩება. არავის უნდა შევარგოთ ეგ ხელფასი, ვინც თავს ოპოზიციონერს უწოდებს. **ყველამ უნდა დატოვოს პარლამენტი** ან ოფიციალურად შეუერთდნენ „ოცნებას“ და მოღალატეების სიას!

„ალია“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



შენ რომ **გაიძურწე,** ღვინის ბიზნესს უნდა მიხედო, როგორაა საქმე ღვინოში? პარტიიდან **გაძურწული** რომ სხვებს ამუნათებ, ჯერ შემოდი პარტიაში. ისე, სიმართლე ისაა, რომ **გაგაგდეს მიშას ბიბლიოთეკიდან,** როგორც უსაქმური.

„ალია“

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს“ დეპუტატი*



კანონპროექტი, რომელსაც ჰქვია **„კუდიანებზე ნადირობის“** პროექტი, საქართველოს საერთაშორისო იზოლაციას უქადის.

„რეზონანსი“

# ლევან მამალაძე:

# მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსებული ჯგუფები ყურებზეც კი გაივლიან, ეს კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ!



***უცხოური გავლენის აგენტების გამომზეურება არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს მის მისაღებად. ეს იქნება ერთგვარი საზომი იმისა, ბოლო 30 წლის განმავლობაში, გაიზარდა თუ არა საზოგადოება და შეემატა თუ არა სიმწიფე ჩვენს სახელმწიფოს — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან მამალაძემ:***

— კანონის მიღება უცხოური დაფინანსების აკრძალვას არ გულისხმობს, უბრალოდ, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რომელი ქვეყანა რა მიმართულებას აფინანსებს და არის თუ არა საქართველოსთვის საფრთხის შემცველი.

**— საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი აცხადებს, რომ კანონი რუსულია და ძირს უთხრის საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.**

— დააკვირდით, ვინ გამოდიან ამ კანონის წინააღმდეგ — თვითონ სახელმწიფო დეპარტამენტი და მათ მიერ დაფინანსებული ჯგუფები. არ უნდათ, რომ გამჭვირვალენი იყვნენ და საზოგადოებამ იცოდეს, რა კონკრეტულ დავალებათა შესასრულებლად ფინანსდებიან.

## დიახ, შეერთებულ შტატებს, ევროკავშირსა თუ რუსეთს ამ კანონის მიღებით ჩვენს ქვეყანაში გავლენის საშუალებები ეკვეცებათ. რაც მთავარია, ისეთ აბსურდამდე მივიდნენ, რომ უკვე ამერიკულ კანონს რუსულს ეძახიან.

გაიხსენეთ, რისთვის დააკავეს ევროპარლამენტის ვიცე-სპიკერი **ევა კაილი?** ყატარიდან თანხები იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით იქნა მიღებული, რომლებიც მისი ეგიდით იყო ჩამოყალიბებული, ანუ ყატარის მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების მეშვეობით ხდებოდა ევროპარლამენტარების მოსყიდვა და იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ყატარს სჭირდებოდა. ამის ფონზე გამოვიდა ევროპარლამენტის სახალხო პარტიის წარმომადგენელი — კანონი უნდა მივიღოთ, რომ ევროპაში შემოსული ყველა დაფინანსება გამჭვირვალე გახდესო, ანუ ზუსტად იგივე საკითხი დააყენა, რაც დღეს ჩვენთან დგას. რა გამოდის — მათთვის მისაღებია ასეთი კანონის მიღება და ჩვენ გვავნებს?!



ნაცლიბერასტული ოპოზიციის ქინთვები „უცხოეთის გავლენის აგენტებთან" დაკავშირებული კანონპროექტის განხილვისას. 2023 წლის 2 მარტი

**— და მაინც, მავანთათვის იგი ასოცირდება ლუსტრაციის კანონთან, რომელიც დღემდე ბევრს აშინებს...**

— თუ **აგენტი** ხვდებათ ყურში, სხვა სახელი დაარქვან, რა მნიშვნელობა აქვს? ისე კი, აბსოლუტურად სხვადასხვა რამ გახლავთ **ლუსტრაციის კანონი** და **უცხო ქვეყნების ზეგავლენის გამჭვირვალობა.** კიდევ ერთხელ ვამბობ — ეს კანონი ეხება ღია გავლენის ჯგუფებს, არასამთავრობოებს, მედიასაშუალებებს და ა.შ. ვინც საზღვარგარეთიდან 20 პროცენტზე მეტ დაფინანსებას იღებს.

ლუსტრაციის კანონი სპეციფიკურია და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ეს იმ ადამიანებს შეეხებათ, რომლებიც სხვა ქვეყნებზე მუშაობენ, მათ დაზვერვას ემსახურებიან. ჩვენი საზოგადოება ასეთი პირებითაც არის გადატენილი და ლუსტრაციის კანონიც აუცილებლად უნდა მივიღოთ. **ეს არის ის საკითხები, რომლებიც მეხუთე კოლონას აიძულებს, ჩარჩოში მოექცეს, საიდანაც სახელმწიფოს ველარ ავნებს.** როგორც კი ამ კანონებს მივიღებთ, ნაკლები საფრთხის წინაშე დავდგებით და დასავლეთსაც ჩვენი მეტი პატივისცემა ექნება!

**— მოისმენდით სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ამ კანონპროექტზე ვეტოს დადებასთან დაკავშირებით. მიიჩნევს, რომ დასავლეთს გვაშორებს...**

— თვითონ ევროპა ცდილობს მსგავსი კანონის მიღებას და ჩვენ გვაშორებს ევროპას?! სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ვერ ვიხსენებ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. **დღეს ამ კანონის წინააღმდეგ ის ადამიანები გამოდიან, რომლებიც თვითონ არიან ზეგავლენის აგენტები. არ გამოვრიცხავ, კანონის მიღების შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილიც ამ რეესტრში მოხვდეს.** მას ეშინია ამ სიაში მოხვედრის. თუ პრეზიდენტი კანონს ვეტოს დაადებს, კიდევ ერთხელ მოახდენს საკუთარი თავის ლუსტრაციას!

> „დღეს ამ კანონის წინააღმდეგ ის ადამიანები გამოდიან, რომლებიც თვითონ არიან ზეგავლენის აგენტები. არ გამოვრიცხავ, კანონის მიღების შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილიც ამ რეესტრში მოხვდეს!"

მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსებული ჯგუფები ყველაფერს გააკეთებენ და ყურებზეც კი გაივლიან, ეს კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ! დიახ, დასავლეთიც, რუსეთიც და ნებისმიერი სხვა ქვეყანაც ჩვენ მიმართ პარტნიორულ დამოკიდებულებას უნდა მივაჩვიოთ!

## თავადაც ნახავთ – ამ კანონის მიღების შემდეგ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება უფრო მკაფიო იქნება და ზეწოლებიც შესუსტდება.

**— რაც შეეხება ევროპარლამენტარების მოთხოვნას სააკაშვილის განთავისუფლებასთან დაკავშირებით. ვის აწყობს ეს და რატომ?**

— ევროკავშირი, ფაქტობრივად, პირდაპირ გვეუბნება — გადათელეთ კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სააკაშვილი გაანთავისუფლეთო. **ასე კოლონიებს ექცევიან და არა პარტნიორებს. დღეს ჩვენ პარტნიორული დამოკიდებულების დამკვიდრების ფაზაში ვართ და საქართველომ ამ ბრძოლას უნდა გაუძლოს.**



მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია და სალომე ზურაბიშვილი

მომაკვდავი სააკაშვილის სახე თავად სჭირდებათ. მისი განკურნება კი არა, გამოყენება სურთ ისევ!

**— ხომ არ გეცოდებათ?**

— სენტიმენტების განწყობა სააკაშვილის მიმართ ნამდვილად არ მაქვს. ჩემმა ოჯახმა ძალიან ბევრი გადაიტანა მის გამო. უფროსი თაობის კაცი არ დარჩა ოჯახში, რომელიც რეჟიმს არ შეეწირა. დღეს ამ დიდ თამაშში ის ჭანჭიკის როლშია. სამარცხვინო სპექტაკლებს ადგმევინებენ. პრეზიდენტს, ყოფილ მთავარსარდალს ნეკნების ჩვენება და ლოგინიდან გადმოცოცება უწევს. მართლაც ცოდოა! **მისგან განსხვავებით, ნიკა გვარამია კაცურად იხდის სასჯელს, უკადრებელი არ უკადრებია.** მრცხვენია, სააკაშვილს ერთ დროს მთავარსარდალი და პრეზიდენტი რომ ერქვა!

> **«მრცხვენია,** სააკაშვილს ერთ დროს მთავარსარდალი და პრეზიდენტი რომ ერქვა!"

სააკაშვილს 1992 წლიდან ვიცნობ. მაშინაც ასეთი იყო. რამდენჯერ ვუთხარი — წავიდეთ საგიჟეთში, ერთად შევმოწმდეთ-მეთქი და ტელევიზიიდან გამექცა. **პრეზიდენტი რომ გახდა, პირველი, რაც გააკეთა, ასათიანზე საგიჟეთი დაანგრია. დასკვნები თავად გააკეთეთ!**

*ესაუბრა* ***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ეკა ბესელია** *პარტია „სამართლიანობის" თავმჯდომარე*



პარტია „ქართულ ოცნებას" როდესაც ვქმნიდით, რაც ძალიან სახიფათო საქმე იყო მაშინ, **ოხანაშვილი, მათიკაშვილი, კობახიძე, მდინარაძე, თალაკვაძე** და ეს ხალხი იმ დროს იყვნენ სწორედ მეორე მხარეს, იმ ბანაკში, სადაც მოკალათებულნი იყვნენ მედროვენი და კონფორმისტები. დღეს ესენი დაეპატრონნენ ძალაუფლებას. **ბიძინა ივანიშვილის** პასუხისმგებლობა მარტო იმაშია, რომ ამათ დაუტოვა ქვეყანა საჯიჯგნად, ამდენის უფლებას აძლევს. „ალია"

**კახა მიქაია** *პოლიტიკოსი*



აქტიურობენ ისინი, **ვინც სააკაშვილის** მმართველობის პირობებში შიშით ჩირგვებში იმალებოდა და პრეზიდენტის კანცელარიაში კაბინეტიდან კაბინეტში ქაღალდებს დაატარებდა **მერაბიშვილიდან კეზერაშვილამდე.** „ქართული ოცნება" ამ კანცელარიის ვირთხებით არის სავსე. აბა, **მათიკაშვილს, კობახიძეს, ოხანაშვილს, მდინარაძეს, თალაკვაძეს** გაებედათ და ერთხელ საჯაროდ გაეკრიტიკებინათ სააკაშვილი. დარწმუნებული ვარ, **ბიძინა ივანიშვილი** ძალაუფლების ყველა ბერკეტს რომ დაკარგავს, **ისევ ეს ხალხი გალანძღავს ივანიშვილს** ახალი ხელისუფლების საამებლად და თავის გადასარჩენად. „ალია"

**თინა ხიდაშელი** *ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის" თავმჯდომარე*



თუ აქამდე ზოგიერთი მედია **აგენტებად** მხოლოდ ხალხურ სიტყვიერებაში მოგვიხსენიებდნენ, ამის შემდეგ **ლეგიტიმური საფუძველი ექნებათ, რომ ამ სიტყვით არამარტო მოგვიხსენიონ, დასავლეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების ჭიშკრებთან აქციებიც გამართონ.** თუ ასე მოხდება, საპარლამენტო უმრავლესობას პრობლემები შეუმცირდება, რაც ძალიან სჭირდება. უფრო მეტად კი სურთ, **ყველა წინააღმდეგობრივმა ძალამ დავტოვოთ ქვეყანა,** მაგრამ იმედია, ეს არ მოხდება. „კვირის პალიტრა"

**მამუკა არეშიძე** *ექსპერტი*



დასავლეთი საქართველოზე უარს არ და ვერ იტყვის, რადგან **დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპისთვის საქართველოს,** შავი ზღვის პოლიტიკასა და, საზოგადოდ, რეგიონს. „კვირის პალიტრა"

# ჩინელი პარტმუშაკი ვანგ ი და ჭ კლასის ქართველი პოლიტიკოსები

***მაშინ, როცა ჭ კლასის ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთის რიგებში რუსეთისა და დასავლეთის აგენტებს ეძებენ, გეოპოლიტიკის დიდ საჭადრაკო დაფაზე მნიშვნელოვანი სვლები კეთდება, რაც ხშირად ქართველი საზოგადოების სათანადო ყურადღების მიღმა რჩება, რადგან ქართული ტელესივრცე იაფფასიანი პოლიტიკური სანახაობებით არის წალეკილი.***





ვანგ ი ვლადიმერ პუტინთან და სერგეი ლავროვთან ერთად

მაგალითად, **ჭ კლასის ქართველი პოლიტიკოსების** მიერ ატეხილი გნიასისა და გამიშვიგამატარეს ფონზე, ქართულ მედიასივრცეში დრო და ადგილი აღარ დარჩა იმისათვის, რომ საფუძვლიანად გაანალიზებულიყო, თუ რატომ ჩავიდა მოსკოვში ჩინეთის მმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის აპარატის უფროსი და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჩინეთის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი **ვანგ ი,** რომელიც პუტინსა და ლავროვს შეხვდა.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩინეთის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელი რუსეთს ოფიციალური ვიზიტით პირველად ეწვია, რაც, ბევრ რამესთან ერთად, იმის დემონსტრირებაც გახლავთ, რომ მსოფლიო ლიდერების მიერ გარიყული პუტინი მთლად ბოლომდე გარიყულიც არ ყოფილა და რუსეთი, როგორც სამხედრო აგრესორი და ინტერვენტი, საერთაშორისო იზოლაციაში მთლად ბოლომდე არ მოქცეულა.

მოგეხსენებათ, **ჭ კლასის ქართველ პოლიტიკოსებს,** განსაკუთრებით კი, ნაცლიბერასტ ოპოზიციონერებს, მსოფლიო პოლიტიკის არსთა გამრიგედ მხოლოდ ამერიკა და მისი პრეზიდენტი, **რეინკარნირებული ჩერნენკო — ჯო ბაიდენი** მიაჩნიათ, ხოლო დედამიწის ზურგზე ყველაზე მზარდი ეკონომიკის მქონე უზარმაზარ ჩინეთსა და მის პოლიტიკურ ლიდერებს სათვალავშიც არ აგდებენ.

კი, **ჭ კლასის ქართველი პოლიტიკოსები** და მათი ყველაზე უფრო ბოგანო ქვეკატეგორია — ნაცლიბერასტები ფიქრობენ, რომ მზე ვაშინგტონიდან ამოდის, ბრიუსელში ჩადის და დანარჩენ სამყაროს არ ეფინება, მაგრამ გონიერი ხალხი შესანიშნავად აცნობიერებს, თუ რას ნიშნავს რუსეთისა და ჩინეთის ერთმანეთთან კიდევ უფრო დაახლოება და როგორი ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიძლება, შექმნას ამ ორ მონსტრ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებამ.

სწორედ ჩინეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი მოსკოვში ჩასულმა **ვანგ იმ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ჩინეთი მზადაა, რუსეთთან თანამშრომლობა გააძლიეროს. მისივე თქმით, ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობა სხვა ქვეყნების მხრიდან ზეწოლას არ დაემორჩილება.

თავის მხრივ, **რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა** საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჩინეთის პრეზიდენტის მთავარ მრჩეველ **ვანგ ისთან** შეხვედრაზე განაცხადა, რომ რუსეთ-ჩინეთს შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადადის და დასძინა: ***„ჩვენი ურთიერთობა სწორედ ისე ვითარდება, როგორც გასული წლების განმავლობაში ვგეგმავდით. ის წინ მიიწევს. რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის“.***

მართალია, **ჭ კლასის ქართველ პოლიტიკოსებს** თავიანთი ვიწრო პარტიული მიზნებისა და თბილი სავარძლების მოპოვების გარდა არაფერი აღელვებთ, მაგრამ ჩინეთისა და რუსეთის ბოლოდროინდელი პოლიტიკური შური-მური მსოფლიო მოთამაშეებში შეშფოთებასა და შიშს იწვევს. ისინი ვარაუდობენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომში, რაც, რეალურად, რუსეთისა და კოლექტიური დასავლეთის, ანუ რუსეთისა და ნატოს ომია, ჩინეთი ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩენას აღარ აპირებს და კონფლიქტის მხარედ დაფიქსირდება, ცხადია — რუსეთის სასარგებლოდ. შესაბამისად, **ევროპის შუაგულში მიმდინარე ომი, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ ინარჩუნებს რუსულ-უკრაინული დაპირისპირების სახეს, მალე შესაძლოა, ღიად გადაიზარდოს გაცილებით დიდ მასშტაბში: ერთ მხარეს — ამერიკა და ნატო, მეორე მხარეს — რუსეთი და ჩინეთი!**

ამიტომაც არის, რომ აშშ-ის ხელისუფლება განგაშის ზარებს არისხებს — ჩინეთი რუსეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევასა და ლეტალური იარაღის მიწოდებას გეგმავსო! **პრეზიდენტ ბაიდენის** მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში **ჯეიკ სალივანი** პეკინის მისამართით იმუქრება კიდეც — **თუ რუსეთს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს, ამისათვის რეალური ფასის გადახდა მოუწევსო!**

გარდა ამისა, როცა ჩინეთი უკრაინაში მიმდინარე ომის კონტექსტში გააქტიურდა, ჩინეთის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი **ვანგ ი** მოსკოვში ჩავიდა და პუტინთან ერთად ჩინურ-რუსული ურთიერთობების გაღრმავებაზე ალაპარაკდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უმალ გაახმიანა ახალი ბრალდება ოფიციალური პეკინის მიმართ. კერძოდ, ამა წლის 1 მარტს აშშ-ის **გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა კრისტოფერ ვრეიმ** განაცხადა, რომ კორონავირუსის ახალი შტამი — **კოვიდ-19,** რომელიც სამი წლის წინათ მთელ მსოფლიოს პანდემიურად მოედო, სავარაუდოდ, ჩინეთის მთავრობის მიერ კონტროლირებად ლაბორატორიაში იყო შექმნილი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სანამ საქართველო **ჭ კლასის პოლიტიკოსთა** დოღს შესცქერის, ვითარცა უფასო სანახაობას, მსოფლიო ახალი, სრულიად განსხვავებული და სახიფათო რეალობის წინაშე დგება, რაც უსათუოდ იქონიებს გავლენას ქართული სახელმწიფოს ბედსა და მომავალზე!

მსოფლიოს ახლებური გადანაწილებისა და საერთაშორისო წესრიგის ფორმირების პროცესში საქართველომ არამხოლოდ პროგრამა მინიმუმის შესრულება, ანუ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება უნდა შეძლოს, არამედ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს, რაც, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში შეიძლება, გამოიხატოს!

ამიტომაც, საქართველოს ხელისუფლებამ **ჭ კლასის პოლიტიკოსებთან** გაუთავებელი კინკლაობისა და **ვაშაძე-ხაბეიშვილთა** მოგერიების ნაცვლად, მთელი თავისი დრო და რესურსი იმაზე უნდა დახარჯოს, რომ ქვეყანა ახალი გეოპოლიტიკური ქარტეხილიდან არამხოლოდ გადარჩენილი, არამედ გაძლიერებული გამოიყვანოს!

**დროა, საქართველომ ჭ კლასის პოლიტიკოსთა მიერ შექმნილი დღის წესრიგით ცხოვრება შეწყვიტოს და მათ სამუდამოდ მიუჩინოს კუთვნილი ადგილი პოლიტიკურ ნაგავსაყრელზე!**



ჭ კლასის პოლიტიკოსთა ხმაური და მძვინვარება საქართველოს პარლამენტში, 2023 წლის 2 მარტი



## ბოლოთქმა

მეგრულ ენაში, რომელშიც ერთასოიანი სიტყვები მრავლად გვხვდება, **ჭ** ნაწლავს ნიშნავს. დაე, **ჭ კლასის ქართველ პოლიტიკოსებს** ერთმანეთთან ძიძგილაობაში **ნაწლავების გადახლართვა** მოსვლიათ, მთავარია, საქართველო არ გაიხლართოს გეოპოლიტიკურ აბლაბუდაში, რომელიც დღეს იქსოვება, მათ შორის, **ერთასოიანი გვარის მქონე ჩინელი პარტმუშაკის** — **ვანგ ის** მონაწილეობით!

***ჯაბა ხუბუა***

# ჯენერალისიმუსი

№14 (182) ★ 2023 წლის 6 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

***გუშინ, ზუსტად 70 წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, კუნცევოს სამთავრობო აგარაკზე, ოფიციალური ვერსიით, 21:50 საათზე, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში აღესრულა პროლეტარიატის დიდი ბელადი და თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერიის მესაძირკვლე, ფაშიზმის დამსამარებელი, გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.***



ეპოქა დასრულდა! ★
ეპოქა დაიწყო!

1933
1953

# 5 მარტი სტალინის მკვლელობისა და ადოლფ ჰიტლერის კორონაციის დღეა, 20-წლიანი ინტერვალით!



**სტალინის** გარდაცვალებით დაიწყო კომუნისტური იმპერიის ნგრევა, რომელიც 1991 წლის დეკემბერში საბოლოოდ **ბელოვეჟის ხელშეკრულებით** დასრულდა, როცა **ბორის ელცინმა, ლეონიდ კრავჩუკმა და სტანისლავ შუშკევიჩმა** ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის დაშლას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას.

**თუ 5 მარტი ერთი იმპერიის გარდაცვალების დასაწყისია, იგივე დღე უპირობოდ უნდა მივიჩნიოთ მეორე ზემძლავრი და კბილებამდე შეიარაღებული იმპერიის დაფუძნების თარიღად.** კერძოდ, **სტალინის გარდაცვალებამდე ზუსტად ოცი წლით ადრე, 1933 წლის 5 მარტს,** გერმანიაში გამართულ რაიხსტაგის არჩევნებში, ფაქტობრივად, მოხდა ფიურერის კორონაცია, როცა ადოლფ ჰიტლერის გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ ხმათა 43,9 პროცენტი მიიღო და 17 მილიონ 277 ათას 180-მა გერმანელმა ფაშისტებს დაუჭირა მხარი. ამ არჩევნებით გერმანიის პარლამენტში 288 ადგილი დაისაკუთრა ადოლფ ჰიტლერმა, რომელიც 1933 წლის 30 იანვარს პრეზიდენტ **პაულ ფონ ჰინდენბურგს** ყოველგვარი არჩევნების გარეშე უკვე ისედაც დანიშნული ჰყავდა **გერმანიის კანცლერად** და თან უმდიდრესი მაგნატების — **სიმენსის, კრუპისა** და **ტისენის** წინაშე მისთვის პირობაც ჰქონდა ჩამორთმეული — ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში გერმანიაში კომუნისტების პარპაშს აღვკვეთო! არადა, ცნობილია, რომ **ლენინმა და ტროცკიმ** საბჭოთა კავშირი სწორედ გერმანელების იმედად შექმნეს! კერძოდ, გერმანელი კომუნისტები ათაშანგიან ვალოდიასაც და ჟიდომასონ ლეიბასაც არწმუნებდნენ, რომ, თუ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური წყობა მთელ გერმანიაზე გავრცელდებოდა, მაშინ კომუნისტური გერმანია აუცილებლად გაწევრიანდებოდა საბჭოთა კავშირში, რაც იმის გარანტია იქნებოდა, რომ იაფი და ამოუწურავი რუსული ნედლეულით უზრუნველყოფილი გერმანული მრეწველობა მთელ მსოფლიოზე გაბატონდებოდა და დაჩქარდებოდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია, რაც ლენინისა და განსაკუთრებით, ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკის ავადმყოფურად აკვიატებული იდეა-ფიქსი გახლდათ!

მოკლედ, **გუშინდელი დღე — 5 მარტი სტალინის სიკვდილისა და ჰიტლერის ზეობის დღეა. სწორედ 1933 წლის 5 მარტს მოიპოვა ფიურერმა რეალური ძალაუფლება, როცა პრეზიდენტ პაულ ფონ ჰინდენბურგთან ერთად კოალიცია შეკრა და კომუნისტებს ისეთი ჯოჯოხეთი მოუწყო, რომ 1933 წლის 14 ივლისის მდგომარეობით, გერმანიაში ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური ძალა მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური პარტია იყო!**

ისტორია ადასტურებს, რომ ყველა დიდი მმართველი და დიქტატორი ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და პოლიტიკური მტრების განადგურებას დაახლოებით ერთი და იმავე მეთოდით ცდილობს. მაგალითად, **1933 წლის 27 თებერვლის ღამეს** სწორედ ასე მოხდა ბერლინში, როცა **ჰიტლერის საიდუმლო ბრძანებით, გერმანიის რაიხსტაგის შენობაში ხანძარი გააჩინეს და მერე ეს ყველაფერი კომუნისტებს დააბრალეს!** გერმანელმა სამართალდამცავებმა ალმოდებულ შენობაში მართლაც იპოვეს **ჰოლანდიელი კომუნისტი, ვინმე მარინუს ვან დერ ლიუბე,** რომელიც სასამართლო პროცესებზე ნარკოტიკებით ისე ჰყავდათ გაჭყეპილი და „დამუშავებული“, ახალგაზრდა კაცი დორბლს ვერ იკავებდა.

**1973 წლის 9 მაისს** თბილისის ოპერის თეატრში გაჩენილ ხანძარს, რომლის უკანაც, სავარაუდოდ, **ედუარდ შევარდნაძე** იდგა, უდიდესი მოცეკვავის — **ვახტანგ ჭაბუკიანის** კარიერული განადგურება და ქართული სახელოვნებო ელიტის „მოთვინიერება“ მოჰყვა. ამიერიდან ყველა გახდა შევარდნაძის მონა და მეხოტბე, რაც ედუარდ ამბროსოვიჩმა მთელი თავისი ხანგრძლივი, მაგრამ საქართველოსთვის დამანგრეველი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ და საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად არაერთხელ წარმატებით გამოიყენა!

**ჰიტლერმაც, შევარდნაძის მსგავსად, რაიხსტაგის ხანძრის შემდეგ, მთელი გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ელიტა დაიმონა. ვინც გერმანიაში დარჩა, გახდა ფიურერის პირისფარეში, ხოლო, ვინც გაასწრო, დაიწყო ბრძოლა და დაელოდა 1945 წლის გაზაფხულს.**

საისტორიო ბედისწერით თუ უბრალო დამთხვევით, **სწორედ 1917 წლის 27 თებერვალს იფეთქა ხანძარმა პეტროგრადშიც, როცა თვალუწვდენელი რუსეთის იმპერიის დედაქალაქში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო და ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადააგდეს!**

რაიხსტაგის ხანძარს მოჰყვა ჰიტლერის პოლიტიკური აღმასვლა და ფაშისტური მოძრაობის გაძლიერება ზუსტად ისე, როგორც **ნაძირალა სააკაშვილისა და ზელენსკის მიერ ატეხილ ომებს** — მათი დამპალი რეჟიმების გამყარება და გაფურჩქვნა. **ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის გარყვნილი ხელისუფლება ხრწნილების უკანასკნელ სტადიაში შევიდა და საპატიმროებში კაცების გაუპატიურებაც კი დაიწყეს,** ხოლო ბოროტმა მასხარამ — **ზელენსკიმ** ქვეყანაში ყველა ოპოზიციური პარტია აკრძალა და რუსეთ-უკრაინის ომზე სიმართლის ლაპარაკი, ფაქტობრივად, სახელმწიფო ღალატად გამოაცხადა.

სწორედ ასე, რაიხსტაგის ხანძრის შემდეგ ფიურერი მთელი ქვეყნის მასშტაბით კომუნისტებს დაერია და, ფაქტობრივად, ოპოზიცია მოსპო. დაახლოებით იგივე სცენარი გათამაშდა საბჭოთა კავშირშიც, როცა **1934 წლის 1 დეკემბერს** ლენინგრადის საოლქო კომიტეტის შენობაში ყოფით ნიადაგზე მომხდარი საბედისწერო გასროლა და **სერგეი კიროვის** მკვლელობა სტალინმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ქვეყანაში ის რეპრესიები დაიწყო, რომლის გარეშეც, მსოფლიოში აღიარებული ყველა სერიოზული მკვლევარისა და ისტორიკოსის შეფასებით, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევდა!

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ **სერგეი მირონის ძე კიროვი, რომელიც საყვარლის ქმარმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა, სინამდვილეში გვარად კოსტრიკოვი იყო და 1920 წლის 29 მაისს საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.** ეს ის კიროვია, რომელიც გადაგვარებულ სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, 1921 წლის იანვარში დაუყოვნებლივ ითხოვდა საქართველოს ოკუპაციასა და ქვეყნის გაწითლებას.

სხვათაშორის, **სტალინსა და ჰიტლერს** ისევე, როგორც **ნაპოლეონს,** მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი მმართველებისგან ერთი რამ განასხვავებთ — **არცერთი მაღალ სოციალურ ფენას არ ეკუთვნოდა და სამივე ლიდერი ხალხის წიაღიდან იყო გამოსული!** ჰიტლერსა და ნაპოლეონზე რომ არაფერი ვთქვათ, **1907 წელს სტალინს იმის ფულიც კი არ ჰქონდა, ბაქოს რკინიგზის სადგურში საყვარელი მეუღლისთვის ტიფის გამომწვევი ბაქტერია სალმონელათი დაბინძურებული წყალი არ ეყიდა.** როგორც მკვლევართა უმეტესობა ვარაუდობს, სტალინის პირველი და უკანასკნელი სიყვარულის სიცოცხლე სწორედ იმ წყალმა შეიწირა.

**არც ჰიტლერს, არც სტალინს და არც ნაპოლეონს** პირადი კომფორტი ცხოვრების საზრისად არ გაუხდიათ! სამაგიეროდ, **ორმა ჯიბის ჰიტლერმა — სააკაშვილმა და ზელენსკიმ** იმდენი მოიხვეჭეს და ჭამეს, ერთის მიერ გადამალული მილიარდებისა და ამერიკასა თუ ევროპაში ნაყიდი სრა-სახლების შესახებ ყოველკვირეულად ახალ-ახალ ამბებს ვგებულობთ, ხოლო მეორემ უკვე იმდენი იარაღი „გაასუხარა“, ამერიკის კონგრესში კომისია შექმნეს და უკრაინისთვის გამოგზავნილი სამხედრო დახმარების დანიშნულებისამებრ გამოყენებას საგანგებოდ სწავლობენ!

**სტალინს, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობამ არ დააფასა და მის საფლავს ნაგავი მიაყარა, ჰიტლერი დიდად აფასებდა და ღირსეულ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა... სხვათაშორის, თავის მხრივ, სტალინი „დიდ ადამიანს“ უწოდებდა მუსოლინის.**

ჰიტლერის პოლიტიკური კორონაციიდან სტალინის მკვლელობამდე **20 წლის** სავალია...

**20 წელი გვაშორებს** „ვარდების რევოლუციასაც“, რომელსაც ერთ დროს ტრიუმფატორი სააკაშვილი გაცხადებული სიგიჟის ზღვარზე ხვდება — ტრუსიკით, კიტრით, ფეკალიებისგან დამზადებული „ბურთებით“ და **გიული ალასანიას მიერ მომზადებული სტაფილოიანი წუმპით!**

## რა მსგავსებაა კიროვის მკვლელობას, რაიხსტაგის ხანძარსა და თბილისის ოპერის თეატრის დაწვას შორის?

***დიტო ჩუბინიძე***



## სვიმონ მასხარაშვილი:

# დარწმუნებული ვარ, ივან ხრუსტალიოვის ნაცვლად სტალინის პირადი დაცვის უფროსი ნიკოლაი ვლასიკი რომ ყოფილიყო, სტალინი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა!



ნიკოლაი ვლასიკი და იოსებ სტალინი



ივან ხრუსტალიოვი

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინის დაკრძალვის დღეს აღწერს და საგანგებოდ აცხადებს, რომ სტალინის მკვლელობის შესახებ სრული და ობიექტური სურათის შექმნა მომავლის საქმეა:***

— ის ფაქტი, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ძალიან მალე, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ბელადის პირადი დაცვის სამსახურის უფროსი **ივან ხრუსტალიოვი** და გაქრა მომვლელი ქალი **მატრონა ბუტუსოვა,** მრავლისმთქმელია. ხრუსტალიოვი ის კაცია, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციით, 1953 წლის 1 მარტს კუნცევოს აგარაკის მცირე სასადილო ოთახში იატაკზე დაგდებული სტალინი ნახა. მთელი 12 საათის მანძილზე იგი ვერ ბედავდა სტალინთან შეხებას და განგაშის გამოცხადებას, ხოლო, როცა მიიღო გადაწყვეტილება, რაღაც მოემოქმედებინა, ექიმებს კი არ დაურეკა, თავზარდამცემი ამბავი პოლიტბიუროს წევრებს ამცნო. დარწმუნებული ვარ, **ივან ხრუსტალიოვის** ნაცვლად სტალინის პირადი დაცვის უფროსი **ნიკოლაი ვლასიკი** რომ ყოფილიყო, სტალინი 1953 წლის მარტში არ მოკვდებოდა.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამას მალაპარაკებს **ვლასიკის** პროფესიონალიზმი და სტალინისადმი ერთგულება. ამასთანავე, როცა ვინმეს იცავ, ექსტრემალურ სიტუაციაში ვალდებული ხარ, დაივიწყო სიმორცხვე, მორიდება, ხათრი, თუნდაც ზრდილობა და იზრუნო დასაცავი ობიქტის გადასარჩენად. დებულების თანახმად, **ივან ხრუსტალიოვი და პირადი დაცვის სხვა წევრები** ვალდებული იყვნენ, სტალინის მაქსიმალურად დისტანცირება მოეხდინათ იმ პირებისგან, რომლებიც რანგირებით ბელადთან ყველაზე ახლოს იდგნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა **გიორგი მალენკოვს,** არადა, იმ საბედისწერო დღეებში სტალინის პირადი დაცვის სამსახურის მოქმედება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს! სხვათაშორის, სტალინის მკვლელობიდან სულ რამდენიმე დღეში, 1953 წლის 14 მარტს, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის ლიდერი **კლემენტ გოტვალდი.** ერთ-ერთი ვერსიით, მან კუნცევოს აგარაკზე, სადაც სხვებთან ერთად იმყოფებოდა, თავისი ცხვირსახოცით სტალინს ის დუჟი მოწმინდა, რომელიც მომაკვდავს პირიდან გადმოსდიოდა. **გოტვალდმა** ეს ცხვირსახოცი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, რაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ბელადის დაკრძალვიდან მეხუთე დღეს მოულოდნელად გარდაცვლილიყო!

**— გოტვალდთან დაკავშირებული ეს ისტორია ვერსიაა თუ დადასტურებული ფაქტი?**

— ფაქტია, რომ **კლემენტ გოტვალდი** სტალინის ბუნებრივ სიკვდილს ეჭვის თვალით უყურებდა და არ მალავდა, რომ ბელადი მოკლეს! იგივე ეჭვები ჰქონდა **მაო ძედუნსაც.**

**— ამიტომ არ ჩამოვიდა სტალინის დაკრძალვაზე?**

— კომუნისტური ჩინეთის ლიდერის აზრით, ბელადი მოკლეს! მაომ სტალინის დაკრძალვაზე გამოგზავნა თავისი მარჯვენა ხელი, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჩჟოუ ენლაი.** მეორე მიზეზი, რის გამოც **მაო ძედუნი** სტალინის დაკრძალვაზე არ ჩამოვიდა, მისი ამბიცია იყო — იგი ყოველთვის ფიქრობდა, რომ სტალინის შემდეგ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ლიდერი 700-მილიონიანი ჩინეთის მამა უნდა ყოფილიყო. **მას შემდეგ, რაც 1949-1950 წლების დეკემბერ-იანვარში, მოსკოვში 65-დღიანი სტუმრობის დროს, სტალინისგან ჩინეთის საბჭოთა კავშირში გაწევრიანებაზე უარი მიიღო, მაო მიხვდა, რომ ჩინეთს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა.** მოგვიანებით ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვი,** თავისი რანგიდან გამომდინარე, ბელადს მოსაკლავად ვერ მიუახლოვდებოდა, მაგრამ მან გადამწყვეტი და უდიდესი როლი შეასრულა როგორც ბელადის მორალურ და პოლიტიკურ მკვლელობაში, ისე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დანგრევა-დისკრედიტაციაში!

**— მაშ, ვინ მოკლა სტალინი, გიორგი მალენკოვმა?**

— **გიორგი მალენკოვს,** თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ცუდის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მას არ ჰქონდა იმის გაქანება, სახელმწიფო თავის თავზე მოერგო. ის არ იყო ლიდერი, მაგრამ იყო კარგი შემსრულებელი. ლიდერი რომ არ იყო, უმალ გამოჩნდა, რადგან 1953 წლის სექტემბერში ძალაუფლება გაუნახევრდა, ხოლო 1955 წლის დასაწყისში **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ხავერდოვანი გადატრიალება მოუწყო და ძალაუფლება მთლიანად დაეკარგვინა.

სტალინის გარდაცვალების მომენტში ყველაზე უფრო დაბოღმილი და ჩასაფრებული **მიხეილ სუსლოვი** იყო, რომელიც 1952 წლის 5 ოქტომბერს ბელადმა ახლადშექმნილ 25-კაციან პრეზიდიუმში შეიყვანა. **სუსლოვი** ითვლებოდა იმ სფეროს ასად, რომელშიც სინამდვილეში ძალიან ცუდად ერკვეოდა! მოგეხსენებათ, სუსლოვი საბჭოთა კავშირში იდეოლოგიის ფრონტს უძღვებოდა და ჯიბეები გამოტენილი ჰქონდა ბლოკნოტებით, რომლებიც სხვადასხვა მოაზროვნეების გამონათქვამებითა და ციტატებით იყო სავსე. სუსლოვი იყო ასკეტური პიროვნება, რომელმაც მოახერხა, თვით სტალინისთვისაც კი შეეყარა თვალში ნაცარი და ბელადის სიცოცხლეშივე იდეოლოგიური მიმართულების განყოფილების გამგე გახდა. ამასთან, სუსლოვი გახლდათ ძალიან მზაკვარი პიროვნება ისევე, როგორც **ოტო კუუსინენი.**

**ისტორიკოსის თვალით**

**აი, ამ ორმა ბოროტებამ – მიხეილ სუსლოვმა და ოტო კუუსინენმა შექმნეს ნიკიტა ხრუშჩოვი და დაანგრიეს და**



## „ბედის ირონიით, სტალინის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ხრუშჩოვი იყო!“









ოტო კუუსინენი

## ,,სტალინის გარდაცვალების მომენტში ყველაზე უფრო დაბოლმილი და ჩასაფრებული სუსლოვი იყო!“


მიხეილ სუსლოვი

**დაღუპეს საბჭოთა კავშირი.**

ირკვევა, რომ იმ არეულობების მთავარი ავტორი, რომელიც სტალინის სიკვდილის შემდეგ გერმანიაში დაიწყო, სწორედ **მიხეილ სუსლოვი** იყო!

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— იმ ფაქტით, რომ სტალინის გასვენებაში წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად სინამდვილეში 126 კი არა, დაახლოებით ათასამდე ადამიანი დაიღუპა, **ლავრენტი ბერიას** ყურადღება ვერ მოადუნეს, მაგრამ **მიხეილ სუსლოვმა და ოტო კუუსინენმა** 1953 წლის ივნისში ბერლინში გამოიწვიეს არეულობები, რის გამოც მოსკოვიდან გერმანიაში სასწრაფოდ გაფრინდა ლავრენტი ბერია. აი, აქ მოდუნდა მისი ყურადღება და 1953 წლის 26 ივნისს ბერია ან საკუთარ სახლში დახვრიტეს ანდა გერმანიიდან ჩამოსული თვითმფრინავის ტრაპზე დააპატიმრეს! სხვათაშორის, 1953 წლის 5 მარტს, სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, კრემლში გამართულ სასწრაფო თათბირზე სწორედ ბერიასთვის შეიქმნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ერთადერთი თანამდებობა; ბერიას ინიციატივით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა **მალენკოვი** და ერთადერთი ცეკას მდივანი, რომელსაც თანამდებობა შეუნარჩუნეს, იყო **ხრუშჩოვი.**

**— როგორ იქცეოდნენ სტალინის დაკრძალვის დღეს მისი შვილები — ვასილი და სვეტლანა?**

— ვასილი ჭირისუფალთა წინა რიგში არ ყოფილა, რადგან დადასტურებით შეიძლება იმის თქმა, რომ კუნცევოს აგარაკიდან მოყოლებული, სადაც უგონო მდგომარეობაში მყოფი მამა ნახა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამტკიცებდა, რომ სტალინი მოკლეს! სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მამის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში ვასილი დააპატიმრეს... რაც შეეხება **სვეტლანას,** ის სტალინის კუბოსთან იდგა, სამძიმარსაც იღებდა და ცდილობდა, სიტუაციას მორგებოდა. სამწუხაროდ და საუბედუროდ, სვეტლანა, რომელიც სტალინს გამორჩეულად უყვარდა, მამის მკვლელების გვერდით დადგა და ზნეობრივ კომპრომისზე წავიდა. ვასილისგან განსხვავებით, მას ხმა არ ამოუღია და ბელადის უეცარი სიკვდილი არ გაუპროტესტებია. არადა, ყველაზე მეტი სალაპარაკო მას ჰქონდა!

**— რას გულისხმობთ?**

— ერთ-ერთი ვერსიით, 1953 წლის 1 მარტს სვეტლანა მამამ ბავშვებთან ერთად კუნცევოს აგარაკზე დაპატიჟა. 1 მარტს სვეტლანა მამას ურეკავდა, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში სტალინს ყურმილი არ აუღია... ამის გამო სვეტლანას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს და არ უკითხავს — 1 მარტს აგარაკზე რა ხდებოდა, ყურმილი ვინმემ რატომ არ აიღო, მამაჩემი რას აკეთებდაო? სვეტლანა ხეირის ქალი იყო და მთელი ცხოვრება ასე იცხოვრა...

**— 1953 წლის 9 მარტს, სტალინის დაკრძალვის დღეს, ვინ იქცეოდა ყველაზე საეჭვოდ?**

— სტალინის დაკრძალვის დღეს კრემლში ყველაზე მზაკვრულად იქცეოდა ის, ვინც სულ მალე გადატრიალება მოახდინა და ძალაუფლება ხელში აიღო! თანამედროვე რუსი ისტორიკოსები — **ჟუკოვი და სპიცინი** წერენ და ამტკიცებენ, რომ გერმანიაში ანტისაბჭოთა გამოსვლების ორგანიზება **მიხეილ სუსლოვმა** სტალინის გარდაცვალებისთანავე დაიწყო.

**— საკუთრივ სტალინის დაკრძალვის ცერემონიალი როგორ და რა განრიგით ჩატარდა?**

— 1953 წლის 9 მარტს, დილის 7 საათიდან უკვე გაკეთდა დაცვის ჯაჭვი იმ გზის გასწვრივ, რომელიც კავშირების სასახლიდან გამოსვენების დროს სტალინის ცხედარს მავზოლეუმამდე უნდა გაევლო. 8 საათზე წითელ მოედანზე უკვე მოწყობილი იყო 4400 ჯარისკაცი სასულე ორკესტრითა და საპატიო ესკორტით. 9 საათზე დაახლოებით 12 ათასი მშრომელი წითელ მოედანზე უკვე იდგა, ხოლო მავზოლეუმის თავზე ორი სახელი ეწერა — **,,ლენინი, სტალინი“.** რეპროდუქტორიდან ისმოდა სამგლოვიარო მუსიკა და ლეგენდარული **იური ლევიტანის** ხმა — *,,ლაპარაკობს მოსკოვი, კავშირების სასახლის სვეტებიანი დარბაზი...“* 10:15 საათზე **გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია, ვიაჩესლავ მოლოტოვი, კლიმენტი ვოროშილოვი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ნიკოლაი ბულგანინი, ლაზარ კაგანოვიჩი და ანასტას მიქოიანი** სტალინის კუბოს შეუდგნენ, რომელიც სინამდვილეში ჯანმაგარ ოფიცრებს ეჭირათ და ნელი სვლით დაიძრნენ გასასვლელისკენ. 10:23 საათზე კუბო სამხედრო ლაფეტზე დადეს. ასე დაიძრა პროცესია მავზოლეუმისკენ. პროცესიას მიაცილებდა უკვდავი ჰანგები — შოპენის მეორე სონატის — ,,სი-ბემოლ მინორის“ მუსიკა.

**— სტალინის ორდენები და მედლები ვის მოჰქონდა?**

— ცნობილია, რომ მარშლებსა და გენერლებს ატლასის ბალიშებით მოჰქონდათ სტალინის ორდენები და მედლები. მაგალითად, **ბუდიონს** მოჰქონდა მარშლის ვარსკვლავი; **სოკოლოვსკისა და გოვოროვს** — ,,გამარჯვების“ ორდენები; **კონევს, ტიმოშენკოსა და მალინოვსკის** — ლენინის სამი ორდენი; **მერეცკოვს, ბოგდანოვსა და კუზნეცოვს** — წითელი დროშის სამი ორდენი, ხოლო არმიის გენერალ **ზახაროვს** — სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენი. მედლები მოჰქონდათ — ვიცე-ადმირალ **ფოკინს,** მარშალ **ვერშინინს, ბაგრამიანს, ნედელინსა და მოსკალენკოს.** კუბოს უკან მიჰყვებოდნენ პრეზიდიუმის წევრები, შედეგ სტალინის ოჯახის წევრები, ხოლო შემდეგ ცეკას წევრები, წევრობის კანდიდატები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეგობარი ქვეყნების კომპარტიის წევრები და საპატიო სამხედრო ესკორტი.

10:45 საათზე სტალინის კუბო სამხედრო ლაფეტიდან გადმოდგეს და მავზოლეუმის წინ, წითელ პოსტამენტზე დადგეს. დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი. ბედის ირონიით, სტალინის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე **ნიკიტა ხრუშჩოვი** იყო!

ზუსტად 12 საათზე კრემლის თავზე გაუშვეს საარტილერიო სალუტები, ხოლო სამგლოვიარო მუსიკის ფონზე არ წყდებოდა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმო-დაწესებულებათა საყვირების ხმა. ამის შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩამოდგა მდუმარების 5 წუთი. 12:10 საათზე მავზოლეუმის წინ ჩაიარა ჯარმა, ხოლო წითელი მოედნის თავზე მწყობრად გადაიფრინეს სამხედრო თვითმფრინავებმა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



მამა-შვილი: იოსებ სტალინი და სვეტლანა ალილუევა


გიორგი ჟუკოვი

## «ერთი ვერსიით – 1953 წლის 26 ივნისს ბერია პირადად ჟუკოვმა დახვრიტა!

## მეორე ვერსიით – ჟუკოვი ნინა გეგეჭკორს ატყობინებდა, რომ ბერიას მოკვლას უპირებდნენ და ფრთხილად ყოფილიყო!“

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს სტალინის მთავარი შეცდომა?



ვოროშილოვი, მოლოტოვი, სტალინი და ეჟოვი მოსკოვ-ვოლგის არხზე

ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით, **სტალინის მთავარი შეცდომა გახლდათ 1939 წელს სსრკ-სა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტის დაურღვევლობის რწმენა, ჰიტლერთან ომისთვის მოუმზადებლობა, ომის დასაწყისში სამხედრო ოპერაციების უხეირო ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც გერმანელებმა მოსკოვამდე და სტალინგრადამდე მიაღწიეს.**

ჩვენი აზრით, ეს სწორი არ არის. **სტალინი** მართლაც დარწმუნებული იყო, რომ გერმანია **1941 წლის** ზაფხულში სსრკ-ზე თავდასხმას ვერ გაბედავდა, მაგრამ არა თავდაუსხმელობის პაქტისადმი ერთგულების გამო. **ჰიტლერი** მაშინ ინგლისთან ომობდა და **სტალინი** სრულიად საფუძვლიანად ფიქრობდა, რომ ამ ომის დამთავრებამდე იგი ახლის დაწყებას არ გარისკავდა. რაც შეეხება ომისათვის მოუმზადებლობას, ეს **სტალინის** არაკეთილმოსურნეთა მიერ გაბუქული მითია. **1941 წლის ივნისში** სსრკ-ის სამხედრო ძლიერება არაფრით ჩამოუვარდებოდა (თუ არ უსწრებდა) გერმანიისას, ხოლო ცოცხალი ძალით ბევრად სჯობნიდა მას. სხვა საქმეა, რომ ეს ძალა დროულად არ იქნა მობილიზებული, რამაც ომის საწყის პერიოდში გერმანელთა წარმატება განაპირობა. მაგრამ, როგორც ცნობილია, **1941 წლის დეკემბერში** ისინი მოსკოვიდან გარეკეს, ხოლო სტალინგრადის შემდეგ ჰიტლერელთა არმია წელში ვეღარც გაიმართა.

**მაშ, რა არის ი. ბ. სტალინის მთავარი შეცდომა?**

ისტორიკოსი და სოვეტოლოგი **აბდურაჰმან ავტორხანოვი** თავის წიგნში **„ძალაუფლების ტექნოლოგია“ სტალინს „ძალაუფლების უდიდეს ოსტატს“** უწოდებს და ამბობს, რომ მან ამ ხელოვნებაში ისტორიისათვის ცნობილი ყველა მმართველი უკან ჩამოიტოვა. არადა მთავარი, მე ვიტყოდი, საბედისწერო შეცდომა **სტალინმა** სწორედ ესოდენ კარგად ათვისებულ ხელოვნებაში დაუშვა. ამაზე იგივე ავტორხანოვი წერს თავის უკანასკნელ ნაშრომში **„სტალინის სიკვდილის საიდუმლო.“**

**რაში მდგომარეობდა ეს საბედისწერო შეცდომა?**

ცნობილია, რომ **სტალინი** (ისევე, როგორც ყველა დიქტატორი) პოლიტიკური ლიდერობის მთელი პერიოდის განმავლობაში ხანგამოშვებით შეაჯანჯღარებდა ხოლმე **„სახელისუფლო დერეფნებს“** და პარტიული თუ სახელმწიფო ნომენკლატურის ყველა ეშელონში საკადრო წმენდას აწყობდა. ომის შემდეგ **სტალინმა** მორიგი წმენდა, უფრო სწორად, საკადრო რევოლუცია განიზრახა. მისი ჩანაფიქრით, **„მოხუცების“** ადგილი ხელისუფლებაში ახალგაზრდა კადრებს უნდა დაეკავებინათ. თანაც ეს პოლიტბიუროს ყველა **„მოხუც“** წევრს შეეხებოდა — **მოლოტოვს, ვოროშილოვს, ხრუშჩოვს, კაგანოვიჩს, ბერიას** და ა.შ. მიზნის განსახორციელებლად ორი სავალალოდ ცნობილი საქმე შეითხზა — **„მკვლელი ექიმების“** და ე. წ. **„მეგრელთა საქმე“.** პირველი კრემლის მედიკოსებს ეხებოდა, რომელთა უმრავლესობა პოლიტბიუროს წევრთა პირადი ექიმები გახლდნენ. მეორე კი — იმ დროს საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივნის **მ. ბარამიას** ჯგუფს, რომელიც თითქოსდა მექრთამეობას მისდევდა და მეგრულ სეპარატიზმს ქადაგებდა. პირველი საქმე პოლიტბიუროს ყველა **„მოხუცი“** წევრის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეორე — პირადად **ბერიას** წინააღმდეგ. დაპატიმრებულ **„ექიმ-მკვლელებს“** (რომლებიც ვითომდა უცხოეთის დაზვერვას ემსახურებოდნენ) და სეპარატისტ მეგრელებს, რომლებიც ორგანოებში **„დაამუშავეს“,** თავიანთი მფარველების წინააღმდეგ უნდა მიეცათ ჩვენებები. დანარჩენი ჩეკისტური ტექნიკის საქმე იყო.

მაგრამ **ბერია** და დანარჩენი **„მოხუცები“ სტალინს** ჩანაფიქრს მიუხვდნენ. ისინი ხომ მისი მოწაფეები და მსგავსი საკადრო **„თამაშების“** ასევე გაწაფული ოსტატები იყვნენ. და აი, **1953 წლის იანვრის** ბოლოს **„პრავდამ“** განაცხადა, რომ **„ექიმთა საქმე“** უახლოეს ხანებში დასრულდება, თბილისში დასასრულს უახლოვდება **„მეგრელთა საქმეც“.**

იმავე წლის 5 მარტს კი **სტალინი** მოულოდნელად ინსულტით გარდაიცვალა. ავტორხანოვი დარწმუნებულია, რომ ბელადი პოლიტბიუროს **„გასაწმენდმა“** წევრებმა მოწამლეს. ბუნებრივია, ამის პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს. მაგრამ **სტალინის** დაკრძალვიდან მცირე ხანში ექიმებს სრული რეაბილიტაციით ათავისუფლებენ. პრესაში ქვეყნდება შსს-ს კომუნიკე, რომელიც იუწყება, რომ მათ მიმართ **„ძიების დაუშვებელი მეთოდები“,** სხვაგვარად რომ ვთქვათ, წამება გამოიყენებოდა. ათავისუფლებენ დაპატიმრებულ მეგრელებსაც. ხოლო ერთ-ერთი მათგანი (ალიოშა მირცხულავა) **აკაკი მგელაძის** ნაცვლად საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტსაც იკავებს.

ასე პასუხობს ავტორხანოვი შეკითხვას — რა იყო **სტალინის** მთავარი შეცდომა? შეგვიძლია, ვერწმუნოთ ან არ ვერწმუნოთ მას, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული ვერსია ლოგიკურია.

## ამასწინათ ერთ-ერთ წიგნში წავიკითხე, რომ სტალინის ბებია დედის მხრიდან გვარად ხომიზურაშვილი იყო, სოფელ ფლავიდან. მაინტერესებს, სადაური და რა გვარისა იყო მისი ბებია, და, საერთოდ, ქრონოლოგიურად რომელ მუხლამდე შეიძლება სტალინის წინაპრებისთვის თვალის მიდევნება?



სტალინის დედა, ლავრენტი ბერია, ნესტორ ლაკობა და იოსებ სტალინი

**ი. ბ. სტალინის დედა ეკატერინე ჯუღაშვილი 1858 წელს დაიბადა სოფელ გამბარეულში. მისი მამა ყმა გლეხი გიორგი (გლახო) გელაძე იყო.** დედა, როგორც თქვენ ბრძანებთ, ასევე გლეხი **ხომიზურაშვილი. მისი სახელი, დაბადების და გარდაცვალების წლები** (ისევე, როგორც მისი ქმრის) **უცნობია.** დედის მხრიდან **სტალინის** ბებიის ქალიშვილობის გვარმა პირველად ამერიკელი ჟურნალისტის **ქნიკერბოკერის** სტატიაში გაიელვა, რომელმაც **1931 წლის შემოდგომაზე ე. გ. ჯუღაშვილს** ინტერვიუ ჩამოართვა. **1864 წელს,** ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, **გლახო გელაძის** ოჯახი ქ. გორში გადაბარგდა. აქ **1876 წელს ეკატერინე ჯუღაშვილი** ცოლად გაჰყვა მეწაღე **ბესო ჯუღაშვილს.** მათ სამი ვაჟი ეყოლათ — **მიხეილი, კონსტანტინე** და **იოსები** (ორი შვილი პატარაობისას დაეღუპათ). **ე. ჯუღაშვილი 1937 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა.**

რაც შეეხება **ბესო ჯუღაშვილის** დედის ქალიშვილობის გვარს, ზოგიერთი მონაცემით, იგი **არსოშვილი** იყო. სახელი უცნობია. წარმოშობით (ასევე, სავარაუდოდ) სოფელ **გერიდან** იყო, საიდანაც მისი მშობლები დიდ ლილოში გადასახლდნენ და იგი იქ მცხოვრებ **ივანე ჯუღაშვილზე, ი. ბ. სტალინის ბაბუაზე გათხოვდა.** ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი ისტორიკოსი **ბ. უნბეჰაუნი** თავის წიგნში **„რუსული გვარები“** ასეთ მონაცემებს გვაწვდის იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ **ბესო ჯუღაშვილს არსოშვილის გვარის ბიძაშვილები ჰყავდა.** ამასვე წერს თავის წიგნში **აინო კუუსინენი.**

სხვათაშორის, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი **ნუგზარ არსოშვილი** (დაიბადა 1940 წელს) დღემდე დიდ ლილოში ცხოვრობს. მას სამი შვილი ჰყავს: **გიორგი (დაიბადა 1964 წელს), მანანა (1965 წელს) და კობა (1975 წელს). ნუგზარ არსოშვილის სახლი ზუსტად იმ ადგილას დგას, სადაც ოდესღაც ჯუღაშვილთა ოჯახის საგვარეულო სახლი იდგა.**

**ი. ბ. სტალინის** გენეალოგიური ხის აგება მეტისმეტად რთული ამოცანაა. საქმე ის არის, რომ **სტალინი** (პროლეტარული ბელადებიდან ერთადერთი) მართლაც წმინდა პროლეტარული წარმოშობისა გახლდათ. **მარქსი შეძლებული ადვოკატის შვილი იყო, ენგელსი — მდიდარი ფაბრიკანტის, ლენინი — ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკის** (სამოქალაქო გენერლის). **სტალინის** წინაპრები კი ორივე მხრიდან **უბრალო გლეხები იყვნენ,** რომლებსაც, როგორც ცნობილია, საგვარეულო ნუსხა არ გააჩნიათ. ამიტომ ქრონოლოგიურად თვალის მიდევნება მხოლოდ **ბესო ჯუღაშვილის** ბაბუამდე — **ზაზა ჯუღაშვილამდეა** შესაძლებელი. ამ ადამიანზე ცოტა რამ არის ცნობილი. ივარაუდება, **რომ ისიც გორის მაზრის სოფელ გერში დაიბადა. 1805 წელს გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ტფილისის მეტეხის ციხეში ჩასვეს. ზაზას** ორი ვაჟი ჰყავდა — **ივანე** (ი. ბ. სტალინის ბაბუა) და **ნიკოლოზი.** მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ამის შემდეგ მისი შვილები გერიდან დიდ ლილოში გადასახლდნენ.

## რეზო ჭეიშვილის წიგნიდან „რკინის სახკომი“ ვიცით, რომ ბერიამ ფიზიკურად გაანადგურა სერგო ორჯონიკიძის ყველა ნათესავი, სულ 40 ადამიანი. დახვრიტა სერგოს ძმა პაპულია და მისი ცოლი – ოთხი შვილის დედა. გაქვთ თუ არა რაიმე ინფორმაცია ბერიას მიერ ჩადენილი ამ ბოროტმოქმედების შესახებ?

**სერგო ორჯონიკიძემ 1937 წლის 18 თებერვალს საკუთარ ბინაში ტყვიით მოისწრაფა სიცოცხლე.** ერთი ვერსიის თანახმად, მან ეს საბედისწერო ნაბიჯი თბილისში თავისი ძმის — **პაპულიას** დაპატიმრების გამო გადადგა. მეორე ვერსიით, ამის მიზეზი გახდა ის, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, შინსახკომელებმა **„ტროცკისტების ბუდე“** გამოავლინეს **სერგოს** მოადგილის **პიატაკოვის** მეთაურობით. არსებობს მესამე ვერსიაც — **სერგო ორჯონიკიძემ,** რომელსაც გულის ასთმის მწვავე შეტევები ტანჯავდა, თავი ამ წამებისაგან თავის დასაღწევად მოიკლა. სავსებით შესაძლებელია, რომ **ორჯონიკიძე** თვითმკვლელობამდე სამივე ფაქტორმა მიიყვანა.

**სერგოს** უფროსი ძმის **პაპულიას** დაპატიმრებას **ბერიას** ბიოგრაფი ნიკოლაი რუბინი ასე ხსნის. **პაპულია,** რომელსაც იმ დროს ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელის პოსტი ეკავა, უწესრიგო ცხოვრებას ეწეოდა, ბევრს სვამდა, საჯაროდ ლანძღავდა უკანასკნელი სიტყვებით **სტალინს** და თავის უმცროს ძმას. ამ ნიადაგზე ძმებს უთანხმოება ჰქონდათ. საკმარისია ითქვას, რომ **სერგო** თბილისში ჩამოსვლისას **ბერიას** ბინაში ცხოვრობდა და არა **პაპულიასთან.** ასეა თუ ისე, უფროსი ძმის დაპატიმრება **ორჯონიკიძეზე** მაინც ძალიან იმოქმედებდა. მაგრამ ამაში მხოლოდ **ბერია** არ უნდა დავადანაშაულოთ. **პაპულია ეჟოვის** (შინაგან საქმეთა მაშინდელი სახალხო კომისრის) მოთხოვნით დაპატიმრეს, რომელმაც ეს საკითხი **სტალინს** შეუთანხმა.

ახლა **ორჯონიკიძის** სხვა ნათესავებზე ვისაუბროთ. ზოგიერთ ნაშრომსა და მემუარში ვკითხულობთ, რომ **სერგოს ქვრივიც კი რეპრესირებული იყო.** მაგრამ ეს ასე არ არის. **ზინაიდა გაბრიელის ასულ პავლუცკაია-ორჯონიკიძეს რეპრესია არ შეხებია, ისევე, როგორც მათ ნაშვილებს — ეთერს** (დაიბადა 1923 წელს). **პაპულიას** დახვრეტის შემდეგ მისი ქვრივი მართლაც დააპატიმრეს და გადაასახლეს. **მას 10 წელი მიესაჯა, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრს.** მათი ოთხი შვილი ბავშვთა სახლში აღმოჩნდა. ზოგი მონაცემით, **პაპულია ორჯონიკიძის ქვრივი ჩრდილოეთ ყაზახეთში, გადასახლებაში გარდაიცვალა. 1938 წელს** რეპრესირებული იქნა **სერგოს** კიდევ ერთი ძმა — **ივანე. მისი მეუღლეც გადაასახლეს. 1941 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს მესამე ძმა — კონსტანტინე.** რეპრესირებული იყო აგრეთვე **სერგოს დისშვილი,** მაკეევის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **გიორგი გვახარია.** რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ ციფრს — **40 ადამიანს, მისი არც უარყოფა შემიძლია, არც — დადასტურება.** ასეთი მონაცემები არ გამაჩნია. უეჭველია მხოლოდ, რომ ამ ბოროტმოქმედებათა მთლიანად **ლავრენტი ბერიასთვის** გადაბრალება არ შეიძლება, ასეთი გახლდათ იმ ულმობელი ეპოქის **„თამაშის წესები“.** საკმარისია ითქვას, რომ შორეულ ბანაკებში იყვნენ გამწესებული საბჭოთა **„პრეზიდენტის“ კალინინის** და **№ 2 კომუნისტის მოლოტოვის ცოლები.** ხალხის მტრებად გამოაცხადეს **სტალინის** თანამოსაგრის — **კაგანოვიჩის ორივე ძმა.**



სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე ოციან წლებში

რა თქმა უნდა, **სერგო ორჯონიკიძის** თვითმკვლელობა (რასაც უნდა გამოეწვია იგი) **სტალინისთვის** საშინელი დარტყმა იყო. ვიწრო წრეში მან ამ აქტს **„ღალატი“** უწოდა. შესაძლოა, **სერგოს** ნათესავების წინააღმდეგ რეპრესიები გარკვეულწილად **სტალინის** ამ განრისხებამ გამოიწვია. ალბათ, ამითვე შეიძლება აიხსნას **ქალაქ ორჯონიკიძისთვის** (ახლანდელი ვლადიკავკაზი) **ძაუჯიკაუს, ორჯონიკიძებრადისთვის — ბეჟიცას, კიდევ ერთ ქალაქ ორჯონიკიძისთვის — ენაკიევოს, ხოლო ქალაქ სერგოსთვის — კიდიევკას დარქმევა.** თუმცა, მაგალითად, საქართველოში **ხარაგაული** კვლავ **ორჯონიკიძის** სახელს ატარებდა. მისი სახელობისა იყო ქვეყნის ბევრი ქალაქის ქუჩები, საწარმოები, ორგანიზაციები. თავად სერგო კი საბჭოთა ხელისუფლების მთელ პერიოდში ერთ-ერთ მთავარ ბოლშევიკ ბელადად დარჩა.

ნათქვამს იმასღა დავამატებთ, რომ **სერგო ორჯონიკიძეს** და **ბერიას** პაპულიას დაპატიმრებამდე საუცხოო ურთიერთობა ჰქონდათ. ბერია **სერგოს** მუდამ უფროს მეგობრად და დამრიგებლად თვლიდა და თავის ერთადერთ ვაჟს სწორედ მის პატივსაცემად დაარქვა **სერგო.**

2023 წლის 6 მარტი, № 14 (182)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com

ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

*მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლია, მიიჩნევს, რომ დროა, სააკაშვილი საავადმყოფოდან საპყრობილეში გადაიყვანონ, რადგან ხალხს უკვე ამ დადგმულ სპექტაკლებზე გ(ი)ული ერევა:*





# ანრი ბიბინეიშვილი:

# ხალხს უკვე გ(ი)ული ერევა სააკაშვილის ჭამაზე გამუდმებული საუბრების გამო!

— 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეულთაგან ერთ-ერთი მეც გახლავართ და არასოდეს დამავიწყდება, ხალხისათვის დადინებული სისხლი როგორ გადარეცხეს აღლუმის ჩასატარებლად. აი, ამ დამნაშავე კაცზე, რომელიც დღეს კერძო კლინიკის პენტჰაუსის ორ ოთახში ნებივრობს და ელექტრონულ სიგარეტს ეწევა, ამბობენ — ექიმები აწამებენ, ჩაგრავენ და კლავენო... არადა, მას თავზე ევლებიან და ისეთი მოზღვავებული ენერგია აქვს, რომ ექიმებს სხვადასხვა ნივთებს ესვრის. დასკვნა ერთადერთია: სააკაშვილი უნდა გადაიყვანონ საპყრობილეში, ხოლო, თუ კლინიკა ესაჭიროება, მხოლოდ — ფსიქიატრიული.

**— გიული ალასანიამ განაცხადა, რომ მისი შვილი კატასტროფულ მდგომარეობაშია და ამაზე უარესი მხოლოდ მისი გარდაცვალებაა...**

— გიული ალასანია ლამის წელიწადნახევარია, ამბობს — ჩემი შვილი კვდებაო, მაგრამ კვდება? ფაქტია, რომ კარგად არის და მხოლოდ იმას ეუბნებიან, რომ ჭამოს! თუმცა, ალასანიას შვილისთვის რა საჭმელიც მიაქვს, არა მგონია, იმას მომაკვდავის მოსასულიერებელი საკვები ერქვას. პირველად ვნახე, ავადმყოფ და პატიმარ შვილთან მისულ დედას ქუჩაში ასე სათითაოდ ამოელაგებინოს საჭმელი და ხალხისთვის ეჩვენებინოს. ის მწირი საკვები, თხელი სუფი თუ სალათის ფურცელი, ციხის გარეთ მყოფმა ჯანმრთელმა ადამიანმაც რომ ჭამოს, წონაში სასტიკად დაიკლებს. ეტყობა, ვიღაცამ დაუნიშნა ეს რაციონი, რომ არც მოკვდეს და არც გამომჯობინდეს. **ჩემთვის გაუგებარია — ნუთუ დედა ამ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლში იღებს მონაწილეობას?** ხალხს მობეზრდა სააკაშვილის ჭამაზე საუბარი, გული ერევათ ამ სიტუაციაზე და უკვე ფრთიან ფრაზად იქცა გამოთქმა გ(ი)ული გვერევაო!

სააკაშვილის რეჟიმის დროს ბევრ გამწარებულ დედას რეჟიმის მიერ გამწარებული თავიანთი შვილებისთვის უკანასკნელი თანხებით მომზადებული საჭმელი მიჰქონდათ და მხოლოდ იმას ამბობდნენ, ოღონდ შვილები ცოცხლები დაგვიბრუნდნენ და საკვებს არ მოვაკლებთო. ამ ქალს კი, ხალხის ბიუჯეტით გამდიდრებულ დედას, რომელსაც პროდუქტის შესაძენი თანხა არ უჭირს, პურის ორი ნაჭერი მიაქვს პატიმარი შვილისთვის.



„ნუთუ ეს იყო საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც მამაკაცური ღირსების არაფერი სცხია!“

## „სააკაშვილმა ისევე უნდა მოიხადოს სასჯელი, როგორც სხვა დამნაშავე პრეზიდენტებმა, ისიც გაიხსენოს, ხალხი როგორ სჯიდა დიქტატორებს!“

**— ბოლო ინფორმაციით, პოლონელი ექიმები აპირებენ სააკაშვილის მონახულებას...**

— სააკაშვილს ძალიან კარგად მკურნალობენ ქართველი ექიმები, აქ მართლა საჭმლის მიღება-არშერგებაზე კი არ არის საუბარი, პატიმარს გათავისუფლება და ძველებურად პარპაში უნდა. **სულხან მოლაშვილიც ნაწამები იყო და ახლა სააკაშვილსაც ნაწამები ჰქვია?** გაიხსენონ, როგორ დაასახიჩრეს **კობა დავითაშვილი,** რომელიც საბოლოოდ შეიწირეს. ძალიან კარგად გვახსოვს, როგორები იყვნენ სააკაშვილის დროს ნაწამები, დასახიჩრებული და მოწამლული პატიმრები. უფრო მეტიც, სამარცხვინოა, დღის განმავლობაში დედა რამდენჯერმე რომ აკითხავს. ნუთუ ეს იყო საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც მამაკაცური ღირსების არაფერი სცხია!

მიმაჩნია, რომ სააკაშვილმა ისევე უნდა მოიხადოს სასჯელი, როგორც სხვა დამნაშავე პრეზიდენტებმა, ისიც გაიხსენოს, ხალხი როგორ სჯიდა დიქტატორებს.

**— „ვივამედში“ სააკაშვილის სპექტაკლის პარალელურად პარლამენტში მოწყობილი ცირკიც ვნახეთ, რაც ე. წ. აგენტების შესახებ კანონპროექტების განხილვის დაწყებას მოჰყვა. თვლით, რომ ამ პროცესებს შეიძლება სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვეს?**

— ეგენი, მგონი, საწოლშიც კი ვეღარ ტრიალებენ. ერთადერთი, რაც შეუძლიათ, ეს არის, ყავის დალევის შემდეგ ჭიქა გადაატრიალონ, იქნებ ვინმემ უმკითხაოს. ესენი დაკავებული არიან ხალხის შეცდომაში შეყვანით, 10 კაცი ძლივს გაჰყავთ აქციაზე და ათასი მოვიდაო, ამბობენ. ახლა ამ ლუსტრაციის კანონს ეწინააღმდეგებიან. არადა, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის, რუსულ ფულზე გაჰყვირიან და მერე ირკვევა, რომ სწორედ რუსეთიდან ერიცხება ფული **ელენე ხოშტარიას, გიორგი ვაშაძეც** რუსეთს ლანძღავს, მაგრამ ბინა რუსებისთვის მიუქირავებია. პარლამენტარი ქალბატონებიც, რომლებიც სხვებს უწუნებენ საქციელს, ყოვლად შეუფერებელ ფრაზებს ისვრიან. ესენი ყველანი უნდა გამომჟღავნდნენ — ვისთან აქვთ კავშირი, რომელი ორგანიზაცია საიდან ფინანსდება... როგორც გიული ალასანიას მიერ ლობისტებისათვის გადახდილი მილიონი გამოაქვეყნა ამერიკულმა მხარემ, ასევე უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაციები საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების დაფინანსებაზე. **არ გვინდა, ვიყოთ რუსეთის გუბერნია, მაგრამ არც ევროპა-ამერიკის კოლონია უნდა გავხდეთ!**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**იტალიის ფაშისტი დიქტატორი ბენიტო მუსოლინი და მისი საყვარელი კლარა პეტაჩი ხალხმა ტრანსპორტის გაჩერებაზე ჩამოჰკიდა**

## კვირგვინოსნები



**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*

დამისაბუთონ, **სად მაქვს და რა მაქვს მოხვეჭილი.** თვითონ რამდენი აქვთ მოხვეჭილი, ის დაითვალონ.

„ახალი თაობა“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

დიდი მადლობა ყველას, **ვინც გამოვიდა მთელ მსოფლიოში** ჩემ მხარდასაჭერად.

„ახალი თაობა“



**შალვა ხაჭაპურიძე**
*ადვოკატი*

**სასამართლო სისტემას რაც დამართა სააკაშვილის ხელისუფლებამ,** ჩემზე კარგად იცით. იმ პოლიტიკის შედეგია ის სასამართლო, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს საქართველოში. **სააკაშვილის წინააღმდეგ არაერთი საჩივარი მაქვს შედგენილი, ალბათ, ყველაზე მეტიც კი.**

„თბილისელები“



**თამარ დვალიშვილი**
*მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მკურნალი ექიმი*

**მიხეილ სააკაშვილს** ციხეში ჯდომა არ უნდა და ცდილობს, ციხიდან გავიდეს. რამდენიმე თვეა, რაც პაციენტი ჩვენს კლინიკაშია და **სულ ამბობენ, კრიტიკულად მძიმეაო.** ჩემი გამოცდილებით, **რვა თვე კრიტიკულად მძიმე პაციენტი არ მინახავს.** პაციენტის მდგომარეობა რომ არ დამძიმდეს, ყველაფერი ავუხსენი და ყველაფერზე უარს გვეუბნება. **როდესაც პაციენტი იღებს ბულიონს, მოხარშულ კვერცხს, ჭამა რომ არ შეეძლოს და ვერ ჭამდეს, ამასაც ვერ მიიღებდა.**

„პალიტრანიუსი“



**პეტრე მამრაძე**
*„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი*

**სააკაშვილ-ალასანიას** დროს საქართველო სრულიად ლეგალურად ყიდულობდა იარაღს და **შემდეგ ეს იარაღი რატომღაც ჩნდებოდა სადმე აფრიკაში, სირიაში და ა.შ.**

„TV იმედი“

*საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დაშანტაჟების ოპერაცია, რომლის ინსტრუმენტადაც შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისსია“ გამოყენებული, აბსურდის ახალ სიმაღლეებს იპყრობს.*

# შვეიცარიის ბანკი ცდილობს, ბიძინა ივანიშვილი ხაზარაძედ და ჭყონიად გადააქციოს!



საქმე ის არის, რომ შვეიცარიული ბანკი, რომელმაც ივანიშვილი ჯერ გაძარცვა, შემდეგ კი მასთან სასამართლო დავაში დამარცხდა, მეტად ორიგინალურ მიზეზებს იგონებს, რათა საკუთარ კლიენტს მიყენებული ფინანსური ზარალი — დაახლოებით **2 მილიარდი ამერიკული დოლარი** არ აუნაზღაუროს.

როგორც იცით, გასული წლის ბოლოს შვეიცარიულმა ბანკმა 308 ევროპარლამენტარის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია დაიხვია ხელზე და განაცხადა — ბერმუდის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აღვასრულებ და ივანიშვილს კუთვნილ თანხას არ გადავუხდი, რადგან ევროდეპუტატები მის შესაძლო რუსულ კავშირებზე საუბრობენ და სამომავლოდ პერსონალური სანქციების დაწესებასაც არ გამორიცხავენო!

ამით შვეიცარიულმა ბანკმა აშკარად აღიარა, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ ორგანიზებულ პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობს და კულუარული დირექტივების მიხედვით მოქმედებს. აკი, ევროპარლამენტარმა **ვიოლა ფონ კრამონმაც** პირდაპირ განაცხადა — რეზოლუციაში ივანიშვილის შესაძლო სანქცირების შესახებ ჩანაწერი ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მოვამზადეთ და ამან შვეიცარიულ ბანკზე ეფექტი უკვე მოახდინაო!

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ივანიშვილს ყველა დასავლური მედიასაშუალების კარი ერთდროულად ჩაურაზეს და მისი ინტერესების დამცველ იურიდიულ კომპანიას საშუალებას არ აძლევენ, შვეიცარიული ბანკის უკანონო ქმედებათა მამხილებელი წერილები გამოაქვეყნოს.

მოკლედ, **ივანიშვილს პოლიტიკურ და ფინანსურ ტერორს უწყობენ იმის გამო, რომ მან „ქართულ ოცნებაზე“ საკუთარი გავლენა არ გამოიყენა და ხელისუფლება არ აიძულა, უკრაინაში შეჭრილი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაეხსნა, ანუ საქართველო ომის ქარცეცხლში გაეხვია.**

სამაგიეროდ, შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისსი“ გასაოცარ მზრუნველობას იჩენს ბიძინა ივანიშვილის შვილების მიმართ, რომლებსაც მფლანგველი და უპასუხისმგებლო მამის ხელში უგროშკაპიკოდ დარჩენა ემუქრებათ, რადგან იგი, როგორც **გამოუსწორებელი მეცენატი, საქველმოქმედო პროექტებში უზარმაზარ ფულს ხარჯავს და საკუთარი შთამომავლების მომავალი არც კი ანაღვლებს!**

კიდევ კარგი, დედამიწაზე არსებობს კეთილშობილი და გულისხმიერი ორგანიზაცია — შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისსი“, რომელიც ივანიშვილს ქველმოქმედებას უზღუდავს, თორემ მის შვილებს — უტას, ბერას, ცოტნესა და გვანცას შიმშილით სული გასძვრებოდათ!

არ გჯერათ?

აბა, წაიკითხეთ ამონარიდი ივანიშვილის ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანიის წერილიდან, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა:







თემურ ჭყონია და მამუკა ხაზარაძე

*„ბანკის მენეჯმენტის მხრიდან ბატონი ივანიშვილის შანტაჟმა არაერთი კომიკური სიტუაცია წარმოშვა: მათ იმაზე მეტი „ზრუნვა“ დაიწყეს ბატონი ივანიშვილის ოჯახის წევრებზე და მემკვიდრეებზეც კი, ვიდრე უშუალოდ ოჯახის უფროსმა. მხოლოდ ერთი მაგალითის სახით: ყოველთვის, როდესაც ბატონი ივანიშვილი ახორციელებდა თანხის გადარიცხვას ტრასტიდან, უთითებდა შესაბამის დანიშნულებას. ახალ რეალობაში კი, როდესაც ბენეფიციარმა მორიგი გადარიცხვის დანიშნულებად მიუთითა ქველმოქმედება, მან „კრედიტ სუისსის“ ტრასტისგან მიიღო პასუხი, რომ ბატონი ივანიშვილი არასტანდარტულად დიდ თანხებს ხარჯავდა ქველმოქმედებაში და ამით საფრთხეში აგდებდა საკუთარი მემკვიდრეების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს. ამიტომ ტრასტის მენეჯმენტი მიუთითებდა, რომ ამგვარი ხარჯების გაწევა მიზანშეუწონელი იყო და ამ დანიშნულებით თანხას ვერ გადარიცხავდა... დაახლოებით ასე ანეკდოტურად გამოიყურება ბანკის მენეჯმენტის მხრიდან „ზრუნვის აქტები“ ბატონი ივანიშვილის ოჯახისა და მემკვიდრეების მიმართ“.*

გესმით?

ქველმოქმედებაში **„არასტანდარტულად დიდ თანხებს“** ხარჯავო!

ე.ი. შვეიცარიული ბანკი ეუბნება ივანიშვილს — **ამ შენს ფულს სხვებს რომ ახარჯავ, საკუთარ შვილებზე საერთოდ არ ფიქრობო? რით ვერ გაძეხი ამ ქველმოქმედებით, რით ვერ დაამთავრე შენება და მერე აშენებულის სახელმწიფოსათვის ჩუქება, რით ვერ დაუსვი წერტილი სკოლების, უნივერსიტეტების, თეატრების, მუზეუმებისა და საავადმყოფოების რემონტს, ეკლესია-მონასტრების რესტავრაციასა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობას, გეყოფა, გაჩერდი, შენს შთამომავლობას მიხედეო!**

მოდი და ნუ დაეთანხმები შვეიცარიულ ბანკს!

მართლა და მართლა, ბიძინა ივანიშვილო, რა ამბავია ქველმოქმედებაში ამდენი ფულის ხარჯვა? ზომა-წონა არ უნდა იცოდე, შე კაი კაცო? **შეხედეთ, აგერ, ხაზარაძეს, ჭყონიასა და სხვა ქართველ მილიარდერებს, როგორ ზრუნავენ თავიანთ შვილებსა და შთამომავლობაზე, როგორ უფრთხილდებიან თითოეულ გროშს! შეყენებული პისტოლეტით რომ დაადგე თავზე, გახვრეტილ შაურიანს ვერ გააგდებინებ, იმიტომ, რომ ფულის ყადრი იციან! აბა, ქველმოქმედება კარგი რომ იყოს, ხაზარაძესა და ჭყონიას თქვენ დაასწრებდით?**

არა, ძალიან დიდი მადლობის ღირსია შვეიცარიის ბანკი, რომელიც ცდილობს, უტა, ბერა, ცოტნე და გვანცა ივანიშვილები ზედმეტად ქველმოქმედი მამის ანაბარა არ დატოვოს და შიმშილისათვის არ გაწიროს!

და განა მარტო ბიძინა ივანიშვილის შვილებზე ზრუნავს შვეიცარიის ბანკი? როგორ გეკადრებათ! შვეიცარიის ბანკი ივანიშვილის ჯერ არდაბადებული შთამომავლების მომავალზეც ზრუნავს!

ნახეთ კიდევ ერთი ამონარიდი ივანიშვილის ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანიის წერილიდან:

***„ბანკის მენეჯმენტმა დაიწყო ზრუნვა ბატონი ივანიშვილის შვილების დაუბადებელ შვილებზე. მეტიც, ბანკმა დაიწყო დაუბადებელი შთამომავლების დაცვა ბატონი ივანიშვილის ქმედებებისგან, რომ მან ისე არ გააკეთოს, შთამომავლები დაიბადონ და თანხა არ დახვდეთ. ბატონი ივანიშვილის დაუბადებელ შთამომავლებს ადვოკატები დაენიშნათ, მათ თანხას ბატონი ივანიშვილი უხდის, თუმცა, ისინი მის ინსტრუქციებს არ ემორჩილებიან და დაუბადებელთა ინტერესებს დამოუკიდებლად იცავენ. აი, ამ აბსურდში მივედით საბოლოოდ“.***

მოკლედ, შვეიცარიული ბანკის მენეჯმენტი ირწმუნება — ივანიშვილს თავის ფულს იმიტომ კი არ ვუყინავ, რომ რაფინირებული ყაჩაღი ვარ, რომელიც ევროპელი და ამერიკელი პოლიტმაფიოზების დაკვეთით მოქმედებს, არამედ კეთილი სამარიტელი გახლავართ და ივანიშვილის შვილების მომავალზე ვზრუნავ, „არასტანდარტულად ქველმოქმედმა“ მამამ უპოვრებად რომ არ დატოვოსო!

**ასე და ამრიგად, თუ ბიძინა ივანიშვილი ხაზარაძესა და ჭყონიას არ დაემსგავსება, ჭკუას არ ისწავლის და ქველმოქმედებაში მილიონების ხარჯვას თავს არ დაანებებს, გამორიცხული არ არის, მისი შვილების ბედზე მჭმუნვარე შვეიცარიის ბანკმა სასამართლოში სარჩელი აღძრას და ივანიშვილისათვის მამობის უფლების ჩამორთმევა მოითხოვოს!**

**და მაინც, გამოვა რამე ამ საქმიდან?**

**როგორც ბრილიანტი ვერ იქცევა ქაქად, ისე ბიძინა ივანიშვილი ვერ იქცევა მამუკა ხაზარაძედ და თემურ ჭყონიად!**

**ცხადია, თავის მხრივ, ვერც ხაზარაძე და ჭყონია იქცევიან ბიძინა ივანიშვილად, ზუსტად ისე, როგორც ქაქი ვერ იქცევა ბრილიანტად!**

ეს შვეიცარიის ბანკმა და მის უკან მდგომმა ევრო-ამერიკელმა პოლიტმაფიოზებმა კარგად უნდა იცოდნენ!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელო“, თავმჯდომარე*



ახლა გაბუტვების დრო დამთავრდა, საქართველოს სერიოზული საფრთხე ემუქრება — **როდესაც „ქართული ოცნება“ რუსულ კანონპროექტს სხდომაზე დასამტკიცებლად გაიტანს,** მასშტაბური საპროტესტო აქციები დაიწყება.

„ინტერპრესნიუსი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ამაზე დიდი პარადოქსი და საზოგადოების დაცინვა რა უნდა იყოს, როდესაც **ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს ვინმეს მიმართ წამების შეჩერებას.** საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო და ნებისმიერი სასჯელი უნდა აღსრულდეს.

„TV იმედი“

**ჯუანშერ ბურჭულაძე**
*თავდაცვის მინისტრი*



ჩემი მინისტრობის პერიოდში **არცერთ სამოქალაქო პირს „აიფონი“ საჩუქრად არ მიუღია,** მობილურები გადაეცათ ბორჯომში ხანძრის ლიკვიდაციაში მონაწილე სამხედროებს და რამდენიმე დაშავებულ სამხედროს.

„პირველი არხი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაზე მეტად **რუსული საქმის მკეთებელი** ძალა, პრაქტიკულად, ამ ქვეყანას არ ჰყოლია.

„იმედინიუსი“

**არჩილ გამზარდია**
*ანალიტიკოსი*



ივანიშვილი ყველაფერს აკეთებდა, რომ **ამერიკელებთან ახლოს** ყოფილიყო.

„GTMEDIA“



*—საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ამერიკის მხარდაჭერის იმედზეა და ამიტომაც აცხადებს, ე.წ. კანონზე აგენტების შესახებ ვეტოს დავადებო. არადა, ჯერ უნდა დაასაბუთოს, რა არ მოსწონს. ისე არ მოიქცეს, როგორც ადრე, მკვლელები რომ შეიწყალა და მერე არკვევდა, ვის ვინ ჰყავდა მოკლული, — აცხადებს ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი.*

## ჯეფრი სილვერმანი:

# გახსოვდეთ, ჯერ კიდევ გამოუძიებელია სააკაშვილის დანაშაული 2008 წლის აგვისტოს ომში!

**— პრეზიდენტის, ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა ამ კანონის მიღების წინააღმდეგია ამერიკის ყავლგასული ელჩი კელი დეგნანიც...**

— ძალიან მარტივად რომ ვთქვა, ეს კანონპროექტი ზღუდავს საქართველოში დასავლეთის დივერსიულ ქმედებებს. პირადად მე ძალიან მომწონს კანონი უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ და რაც უფრო მალე მიიღებს მას საქართველოს პარლამენტი, მით უფრო მალე დაადგება საქართველო სწორ გზას. ხშირად ხდება, რომ აქ მომუშავე უცხოელი პირები მთავრობასთანაც მუშაობენ, ოპოზიციასთანაც, ორ ბატონს ემსახურებიან, ამათგანაც ფულს იღებენ და უცხოელი მთავრობებისგანაც და საბოლოოდ საქმეს სერიოზულად აფუჭებენ. ასეთ ტიპებს ამერიკის კანონმდებლობა დარეგისტრირებას ავალდებულებს, მათი საქმიანობა გამჭვირვალე რომ იყოს. ამ ადამიანებმა ძალიან ბევრი საიდუმლო იციან და ხშირად მთავრობებსაც კი აშანტაჟებენ. ამის მაგალითად შემიძლია, დავასახელო **სემ პატენი,** რომელიც სააკაშვილთანაც მუშაობდა და დღევანდელ მთავრობასთანაც. ამიტომ **აუცილებელია, რომ ლობისტები დარეგისტრირდნენ საქართველოში და, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო სახელმწიფოდ შედგეს.**

აქვე დავამატებ: საქართველოსთვის შემოთავაზებული ეს დოკუმენტი ეფუძნება ამერიკულ კანონს და არა რუსულს. აშშ-ში უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი მოქმედებს 1938 წლიდან და სავსებით ნორმალური მოვლენაა. დღეს, როდესაც ძალიან ბევრი ფული შემოდის მედიაში და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც რევოლუციური ტალღის აგორებას ცდილობენ, ეს კანონი სწორედაც რომ მისწრებაა. ამათი მთავარი მიზანი ხომ ფულის ჭამაა, პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა, შემდეგ პროექტებით მანიპულირება და გრანტების მოპოვება. ზოგიერთი მათგანი ძალიან ახლოსაა უცხოური დაზვერვის სპეცსამსახურებთან.

**— მალე საქართველოში ამერიკის ახალ ელჩს ვიხილავთ...**

— მნიშვნელობა არა აქვს, აქ **კელი დეგნანი** იქნება, თუ ახალი ელჩი **რობინ დანიგანი,** რადგან იგივე თამაშები გაგრძელდება. ახლა ვმუშაობ დანიგანის არაოფიციალურ ბიოგრაფიაზე და დეტალურად გიამბობთ მისი საქმიანობის შესახებ. პროფესიონალი დიპლომატი აქ მხოლოდ **რიჩარდ მაილსი** იყო, რომელიც კარგად ასრულებდა თავის საქმეს, იმის შემდეგ ამერიკაშიც დაიძაბა სიტუაცია და ძალიან მძიმე შედეგი მივიღეთ.

**— რას გულისხმობთ?**

**– ამერიკა ინფლაციამ მოიცვა, დიდი ფინანსები გაედინება უკრაინაში, გაძვირებულია პროდუქტი. ამერიკელთა უმრავლესობა ხელფასიდან ხელფასამდე მომუშავე ხალხია და უკრაინაში მიმდინარე ომი მათ აკოტრებს.**



**რასაც ამერიკა სხვა ქვეყნებში აკეთებდა – ვითომ ეხმარებოდა და სინამდვილეში დესტაბილიზაციას იწვევდა – ბაიდენის ადმინისტრაციაც ასე იქცევა.**

როგორც კი ხალხის გამოღვიძებას იგრძნობს, მაშინვე ლაპარაკს იწყებს უცხო მტერზე და თავი ამით გააქვს. ყურადღების გაფანტვის მიზნით შეიძლება ააფეთქონ ფაბრიკები, როგორც ეს მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათ ოჰაიოს შტატში. **ბაიდენი და მისი კრიმინალური ბანდა არღვევს ამერიკის კონსტიტუციას და მგონია, რომ ვადის ამოწურვამდე დატოვებს თანამდებობას, მაგრამ ეცდება, ამერიკა ჩართოს რუსეთთან და ჩინეთთან სრულმასშტაბიან ომში.** რეკორდული ინფლაციაა გერმანიაშიც, ევროპის მასშტაბით გაზრდილია ფასები ენერგორესურსებზეც და აქ კიდევ უკვირთ, რატომ სურს ამერიკას საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე გახსნილია, უბრალოდ, ოფიციალურად არ არის გამოცხადებული.

**— იქნებ დასავლეთის მიერ კონტროლირებადი ოპოზიციის ლიდერები ამიტომაც ითხოვენ ასე გამალებით სააკაშვილის გათავისუფლებას და ეს ყველაფერი ხდება ამერიკასთან და ევროკავშირთან შეთანხმებით?**

— ამ ღალატში მონაწილეობას იღებენ ქართული ლეგიონის წევრები, რომლებიც მთავრობის დამხობით იმუქრებიან და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. იმედი მაქვს, საქართველოს დემოკრატიულად არჩეული მთავრობა და **ირაკლი ღარიბაშვილი** გაითვალისწინებენ იმას, რასაც ახლა ვამბობ. უბრალოდ, ვიცი, როგორ მუშაობენ უცხოეთის სპეცსამსახურები და რა არეულობის შექმნა შეუძლიათ სხვა ქვეყნებში.

**— მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ოპოზიციას ხალხის მხარდაჭერა არა აქვს. უმრავლესობას არც სააკაშვილის გათავისუფლება სურს...**

**– ქართული ოპოზიცია, ძირითადად, გაბრაზებული ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებისაგან შედგება, რომლებსაც გაძლიერებული ფინანსური მადა აქვთ. დღევანდელ მათ მოძრაობას ჰქვია ღალატი!**

რაც შეეხება სააკაშვილს, მისი ოჯახის მხრიდან დაფინანსებული ლობისტები კვლავაც ეცდებიან მის გაყვანას კლინიკიდან, მაგრამ მთავრობა მყარად უნდა იდგეს. გახსოვდეთ, ჯერ კიდევ გამოუძიებელია სააკაშვილის დანაშაული 2008 წლის აგვისტოს ომში!

## „მნიშვნელობა არა აქვს, დეგნანი იქნება თუ დანიგანი, იგივე თამაში გაგრძელდება!“





*ესაუბრა*
*ქეთევან ხამიცაშვილი*

## კვირგვინოსნები

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



„ქართული ოცნება“ **საბჭოთა კავშირში** დაგვაბრუნებს.

„ახალი თაობა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



გამოვფხიზლდეთ, თორემ ისევ **ივანიშვილი** მოვა თავისი **კობახიძეებით.**

„ახალი თაობა“

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*მწვანეთა პარტიის ლიდერი*



საქართველო **ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის** და არა აშშ-ში, სადაც ამგვარი რეგულაცია, სიტყვა **„აგენტით“** არ არსებობს.

„ახალი თაობა“

**დმიტრო კულება**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



საქართველოს ხელისუფლება **ნელ-ნელა კლავს** უკრაინის მოქალაქე **მიხეილ სააკაშვილს** — მე მისთვის ვიბრძოლებ.

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



ზელენსკი **პრეზიდენტის როლს დასავლეთის მიერ დაწერილი სცენარით თამაშობს,** თან — ძალიან კარგად.

„საერთო გაზეთი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



ჩვენი ამოცანაა, **მოღალატე ხელისუფლების** გარეშე დავიწყოთ მოლაპარაკებები დასავლეთთან.

„კვირის პალიტრა“

**„გაზაფხულის შემოსვლა, დედის დღე და 8 მარტი მინდა, ქალბატონებს 5 უჩვეულო ქართველი მანდილოსნის წარდგენით მივულოცო, რომელთა მიღწევები შესაძლოა, სულ მალე გინესის რეკორდების წიგნში ჩაიწეროს!“— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ჟურნალისტმა, კარტოგრაფმა და ეკოლოგმა გვანჯი მანიამ, რომელიც უკვე 33 წელია, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობ კავშირ „გიორგის“ ხელმძღვანელობს:**



გვანჯი მანია:

# მსოფლიო უნდა იცნობდეს

— ჩვენი ორგანიზაცია საქართველოში უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებსა და მათ მიღწევებს იკვლევს, რათა შემდეგ მათ შორის ყველაზე წარმატებულები გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის დირექციას წარუდგინოს. გინესის წიგნი მსოფლიოს 10 ქვეყანაში 25 ენაზე გამოიცემა. ტირაჟის მიხედვით, მას ბიბლიისა და ყურანის შემდეგ პირველი ადგილი უკავია. ამ წიგნში ორგანიზაცია „გიორგის“ მიერ წარდგენილი ქართველების მიღწევებიც არის შეტანილი. ორგანიზაცია „გიორგი“ მხოლოდ სიკეთის მომტან, ამაღლებული თემებისა და მნიშვნელობის მიღწევების გამოვლენაზეა ორიენტირებული, რათა მსოფლიოში საქართველო ახალი კუთხით წარმოაჩინოს; ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ არსით უზნეო ეპიზოდების შემცველ რეკორდებს, თუმცა, გინესის წიგნში ასეთებიც მრავლად არის აღწერილი.

**ამჯერად მინდა, გაგაცნოთ გინესის რეკორდების წიგნისთვის წარსადგენი 5 ქალბატონი,** რომელთა ასაკობრივი ჯამი დაახლოებით 450 წელია! მათ შორის ყველაზე ასაკოვანი გახლავთ ინჟინერ-გეოლოგი **ელენე აბაშიძე,** რომელსაც 12 მარტს 101 წელი უსრულდება; ხოლო **ნელი ბერაია** სწორედ ქალთა დღეს, 8 მარტს, ხდება 93 წლის! გაზაფხულზე, 1 აპრილს, იზეიმებს თავის 81-ე დაბადების დღეს **ბელა შალვაშვილი,** თუმცა, ამჯერად ასაკი არაფერ შუაშია, მათ მიღწევებზე მინდა, მოგითხროთ, იმის მიუხედავად, რომ ელენე აბაშიძე, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ტელეწამყვანიც გახლავთ, რომელიც ერთ-ერთ ქართულ ტელევიზიაში საინტერესო საავტორო გადაცემას უძღვება!

**— რა გასაკვირი საქციელი ჩაიდინეს ამ ქალბატონებმა?**

— მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში მსოფლიო მნიშვნელობის სარეკორდო მონაცემები ფიქსირდება. ინჟინერ-გეოლოგი **ელენე აბაშიძე,** იმავდროულად, მუსიკოსი და მწერალიც ბრძანდება. მან 50-წლიანი შრომის და 13.200 ექსპერიმენტის შედეგად გაასწორა ის შეცდომა, რომელსაც გეოლოგია-ჰიდროლოგიის დარგში მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები უშვებდნენ. მან აღმოაჩინა მსოფლიოს მეცნიერთა მრავალი თაობის მიერ იგნორირებული წყლის მოძრაობის სიჩქარის ფაქტორი, რაც უკვე აღიარეს მსოფლიოს მეცნიერულმა წრეებმა! ამ ქალბატონმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 79 წლის ასაკში და ამერიკიდან 52 გამოხმაურება მიიღო. კირქვიან ზონაში მიწისქვეშა წყლების ქიმიური და ფიზიკური მოქმედების მექანიზმი ელენე აბაშიძის დასკვნებამდე მხოლოდ თეორიის დონეზე იყო ცნობილი, არადა, ჰიდროელექტროსადგურების კაშხლების ამოუცნობი მიზეზებით ნგრევას სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებდა. ელენე აბაშიძე თავის დროზე ცნობილი ქართველი ალპინისტის **ალიოშა ჯაფარიძის** მიერ კაცხის სვეტსა და ხვამლის მთაზე მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობდა. მან შეისწავლა კავკასიონის კირქვიანი ზონის ქიმიზმი და ქანების შემადგენლობა, შეისწავლა ქანებში ნაპრალების დროში გაფართოების პროცესი. თურმე, თმის ბეწვის ზომის ნაპრალი 50 წლის განმავლობაში 2,5 სანტიმეტრ სიგანეს აღწევს, რაც შეიძლება კატასტროფის მიზეზი გახდეს.

ელენე აბაშიძის ნაშრომებსა და დასკვნებზე დაყრდნობით, მსოფლიოში ამ პრობლემის დარეგულირების მექანიზმები გამოიკვეთა! მისი მეცნიერული მიღწევა იმსახურებს გინესის რეკორდების წიგნში შეტანას, მაგრამ კავშირი „გიორგი“ მომავლისთვის აპირებს, ელენე აბაშიძე გინესის რეკორდების წიგნის კიდევ ერთ ნომინაციაზე წარადგინოს:

## მან უნდა გააუმჯობესოს მსოფლიოში არსებული ქალთა დღეგრძელობის რეკორდი – 123 წელი, რომელიც ფრანგ ჟანა კალმანს ეკუთვნის!

**— ვინ არის თქვენი ხუთეულის მეორე ნომინანტი?**

— მეორე ნომინანტია პროფესიით ჟურნალისტი, **93 წლის ნელი ბერაია,** რომელიც წლების განმავლობაში ემსახურა სამშობლოს როგორც ჟურნალისტი და მთარგმნელი, მაგრამ საკუთარი რეალიზაციის გამოსავლენად მხატვრობა და თანაც, ხელოვნების ამ დარგში მსოფლიოში ნაკლებად ცნობილი მიმართულება — მძივებით ფერწერა აირჩია. ამ ქალბატონის შემოქმედებას მე და **სიმონ ჯაფარიძემ** მოზაიკური ფერწერა ვუწოდეთ. დიდოსტატი ქალბატონი ქმნის პეიზაჟისა და ნატურმორტის ორიგინალურ კომპოზიციებს, რაც იმავდროულად ქრისტიანული კანონიკური ხატწერის უბადლო ნიმუშებიცაა. მას შესრულებული აქვს წმინდა ქართველი მეფეების — თამარისა და დავით აღმაშენებლის, საქართველოს პატრიარქ ილია მეორის, მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქ კირილეს, ინგლისის დედოფალ ელისაბედ მეორისა და სხვა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები... სულ ახლახან რუსთაველის თეატრის საგამოფენო დარბაზში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

**— რეკორდი რაში მდგომარეობს?**

— მთავარი ის გახლავთ, რომ **ნელი ბერაია** თავის შედევრებს ფერადი მძივების საშუალებით ქმნის, თითოეულ მის ნამუშევარში 10-20 ათასი ასეთი მძივი, ანუ ბისერია დატანებული! ჯამში, მის მიერ შესრულებულ ყველა ნაწარმოებში ნელი ბერაიამ 3 მილიონი ფერადი მძივი გამოიყენა! ქალბატონი მზად არის, გინესის რეკორდების წიგნის დირექციის თანხმობის შემთხვევაში თავისი ნამუშევრების გამოფენა ლონდონში მოაწყოს. საინტერესოა მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ მხატვრობის ნიჭმა მასში 50 წლის ასაკში გაიღვიძა (ამჟამად 93 წლის ბრძანდება), თანაც მას შემდეგ, რაც ღვთისმშობელი გამოეცხადა! **ნელი ბერაია ყვება, რომ მას ღვთისმშობელმა მიუთითა, ჯერ დაეხატა წმინდა თამარ მეფე, ხოლო შემდეგ ბისერის მარცვლებით მოერთო.** ამას მოჰყვა სხვა დიდებული კომპოზიციებიც. ჩვენი ვალია, ქალბატონი ნელი მსოფლიოს გავაცნოთ!

**— მესამე ნომინანტზეც გვითხარით.**

— ის გახლავთ პიანისტი **მანონ ყუბანეიშვილი,** რომელიც 2 წლის ასაკიდან მღერის







ელენე აბაშიძე, ნელი ბერაია, მანონ ყუბანეიშვილი









ნელი ბერაიას მიერ მძივებით შექმნილი ნამუშევრები

## კვირგვინოსნები

**ნანა ფაჩუაშვილი**
*მსახიობი*



ეს იყო ჩემი **იუბილეც და გამოსათხოვარი საღამოც.** ვიცი, მეტყვით, ამის თქმა არ შეიძლებაო, მაგრამ **ადამიანი ყოველთვის ფიქრობ, რომ მიმწუხრის ჟამი მალე დადგება.** ასეა ასაკის მოახლოების შემდეგ. ეს რეალობაა, რომელსაც ვერ გაექცევი.

„სარკე“

**სანდრო მიქუჩაძე-ჯაჯანიძე**
*ჭემალ ჯაჯანიძის შვილიშვილი, მსახიობი*



ჭემალს **რუსთაველის თეატრის თილისმას** ეძახდნენ და მას ეს სახელი ბატონმა რობერტმა შეარქვა. ბოლოს უკვე ვეღარ დადიოდა და **მარტო იმიტომ უნდოდა ფეხზე წამოდგომა, რომ თეატრში დაბრუნებულიყო.** ვუთხარით, იქნებ ეტლით მიგიყვანოთ-მეთქი და არა, მე თეატრს ამას ვერ ვკადრებო, გვიპასუხა.

„თბილისელები“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*ფეხბურთელი*



ყოველდღე ვარჯიშების შემდეგ 3-4 საათი ისევ ფეხბურთს ვთამაშობდი. **მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი,** რადგან ისეთი პატარა ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, გზის გაკვალვა ადვილი არ არის. ჩემი საყვარელი ციფრი არის **7,** ამიტომაც ავირჩიე **77.**

„ახალი თაობა“

**ნინა მამუკაძე**
*იტალიაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი*



**ხვიჩას** გამოჩენამ **ძალიან შეგვიმსუბუქა მდგომარეობა ემიგრანტებს** და, რაც მთავარია, ინტერესი გააჩინა არამარტო მისი პერსონის, როგორც ქართველის, არამედ ყველაფერი იმის მიმართ, რაც ქართულია.

„კვირის პალიტრა“

და ცეკვავს. მამა სამხედრო მფრინავი, ქუთაისის აეროპორტის დირექტორის მოადგილე ჰყავდა, რომელიც ხედავდა რა შვილის გატაცებას, მისი ნიჭის რეალიზაციისთვის, როდესაც, ვთქვათ, დიდ თეატრში მნიშვნელოვანი კონცერტი იმართებოდა, შვილსა და მის მეგობრებს მოსკოვში გადააფრენდა, კონცერტს აყურებინებდა და იმავე დღეს სახლებში აბრუნებდა. ასეთმა მიდგომამ თავისი გაიტანა. მანონ ყუბანეიშვილმა წარმატებით დაამთავრა საქართველოს კონსერვატორიის საფორტეპიანო და ვოკალური ფაკულტეტები.

**— მაგრამ ამაში რა არის გასაკვირი?**

— გინესის რეკორდების წიგნში შესვლას **მანონ ყუბანეიშვილი** თავისი განსაკუთრებული მეხსიერების გამო იმსახურებს. ცნობილია, რომ მსოფლიოში განთქმულ მაესტროთა რეპერტუარები, მაქსიმუმ, 100 ნაწარმოებით შემოიფარგლება, მათგან განსხვავებით, **მანონ ყუბანეიშვილს შეუძლია შეასრულოს 2023 ნაწარმოები და არა მხოლოდ ინსტრუმენტზე დაუკრას, თან დაამღეროს კიდეც!** ეს ქალბატონი ჩვენ 2011 წელს აღმოვაჩინეთ და მასთან დაკავშირებით როურგიის მეფის, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ულალატო თანამშრომელი ბრძანდებოდა, მაგრამ ნიჭი, რომლის გამოც შესაძლოა, ეს ქალბატონი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შევიდეს, მედიცინას არ უკავშირდება. **ასმათ ყურშავიშვილი** თავის მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელიც ქართულ ხალხურ ტრადიციებს ეფუძნება, ნემსით და აბრეშუმის ნაირ-ნაირი ფერის ძაფებით ქმნის. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ის ბრძანდება წმინდა თამარ მეფის ტრადიციების გამგრძელებელი, რომლის გატაცებასაც ხელსაქმე, ქარგვა და ქსოვა წარმოადგენდა. ეს ნიჭი ასმათ ყურშავიშვილმა 90-იან წლებში გამოავლინა და შემოსავლის ერთგვარ წყაროდაც გადააქცია, როდესაც საქართველოში მატერიალურმა სიდუხჭირემ დაისადგურა. მან ამ პერიოდიდან მოყოლებული, შექმნა უნიკალური კომპოზიციები, მათ შორის, ხატები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კანონიკურად ცნო. პირველი ასეთი ნამუშევარია ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში აღმოჩენილი საეკლესიო განძეულის ერთ-ერთი ექსპონატის, რგანის ღვთისმშობლის ჭედური ხატის მხატვრული მოდიფიკაცია. ამ



ხატის დეფორმირებული და გაფერმკრთალებული კონტურები ასმათ ყურშავიშვილმა თავისი საოცარი ნიჭის წყალობით „გააცოცხლა“ და აბრეშუმის ძაფებით ფერებში აამეტყველა. მისი დაქარგული წმინდა სამების ხატი კი კათოლიკოს-პატრიარქთან ინახება. ასმათ ყურშავიშვილის უნიკალურ ნამუშევართა რაოდენობა ორასს აღემატება. მათ მიმართ ძალზე დიდია ინტერესი რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში.

**— საინტერესოა, ვის დაასახელებთ მეხუთე ნომინანტად?**

— აღმოსავლეთმცოდნეს, პოეტსა და „ასავალ-დასავალის“ ღვაწლმოსილ ჟურნალისტ **ბელა შალვაშვილს** ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ **ის ბრძანდება მსოფლიოში ერთადერთი ქალბატონი, რომელმაც მშობლიურ ენაზე სრულად თარგმნა პლანეტაზე ყველაზე ვრცელ პოეტურ ნაწარმოებად აღიარებული სპარსი ავტორის — ფირდოუსის ქმნილება, ირანული ეროვნული ეპოსი „შაჰ ნამე!“** აღსანიშნავია, რომ ეს პოემა სრულად ჯერ მსოფლიოში არამცთუ ქალს, საერთოდ არცერთ მთარგმნელს არ უთარგმნია. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ენაზე, თუნდაც, რუსულად — მოიპოვება ამ პოემის სრული თარგმანი, მაგრამ არცერთი თარგმანი არ შეუსრულებია ერთადერთ მთარგმნელს, თანაც, ქალს! არსებობს მხოლოდ **მთარგმნელთა ჯგუფების** ჯამური ნაშრომები!

**— რამდენი ხანი დასჭირდა ქალბატონ ბელა შალვაშვილს „შაჰ-ნამეს“ გადმოქართულებისთვის?**

— 1970 წლის იანვარში ბელა შალვაშვილი დაუბარებია **ვახუშტი კოტეტიშვილს** და უთქვამს: შავლეგ (ასე ეძახდა იგი ნიჭიერ სტუდენტს)! საქართველოში გამოდის მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეული, რომელშიც 1 ტომი ეთმობა სპარსულ პოეზიას. საჭიროა, რომ მასში ღირსეულად წარმოვაჩინოთ ფირდოუსი! იქვე დაუვალებია, რომ საცდელად პოემის ერთი ნაწილის, სახელად „ბეჟან მანიჟეს“ თარგმანი აგვისტოს ბოლომდე, ანუ 8 თვეში შეესრულებინა და მისთვის მიეტანა. ბელას ამ რთული დავალებისთვის თავი წარმატებით გაურთმევია და პროფესორის თხოვნით თარგმნა გაუგრძელებია. — **„შაჰ-ნამეს“ უნდა შეუდგე ბელა! სულ ცოტა, 30 წელი დაგჭირდება, მაგრამ ისტორიაში დამკვიდრდები!“, —** უთქვამს მისთვის ვახუშტი კოტეტიშვილს. 35 წლის განმავლობაში თარგმნიდა ბელა შალვაშვილი, ჩვენი წელთაღრიცხვით 934 წელს დაბადებულ, „ფირდოუსის“ ფსევდონიმით ცნობილი უდიდესი სპარსი შემოქმედის დაწერილ ამ დიდებულ, მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიარებულ ნაწარმოებს, რომელშიც გადმოცემულია ირანელი ხალხის ისტორია, მათი მეფეების თავგადასავალი. 1000 წლის განმავლობაში საქართველო ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გადმოქართულების საქმეს ვერ მოერია, რომელიც ერთმანეთთან შეწყვილებული სახით ჩამოყალიბებულ 50 ათას ბითს, ანუ 100 ათას სტრიქონს წარმოადგენს, რაც 9 ტომშია თავმოყრილი.

# ამ 5 ქალბატონს!





**ასმათ ყურშავიშვილი, ბელა შალვაშვილი**



**ეს მოახერხა ჩვენმა თანამედროვე პოეტმა ბელა შალვაშვილმა და საქართველოს შეუქმნა მაღალმხატვრულად შესრულებული „შაჰ-ნამე“, რომლის 4 ტომი უკვე გამოცემულია; წელს კიდევ — 3 ტომი, ხოლო მომავალ წელს ბოლო 2 ტომიც გამოვა.**

ნაშრომმა დაიმსახურა ირანის სახელმწიფო პრემია. კავკასიის ერებში აქამდე არცერთ ერს არ უთარგმნია ეს შედევრი და ქალბატონი ბელა შალვაშვილის ღვაწლი უეჭველად აისახება გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

შევიმუშავეთ 3 წლის განმავლობაში დედამიწის გარშემო, 33 ქვეყანაში მანონ ყუბანეიშვილის სოლო კონცერტებით გასტროლების პროექტი. 76 წლის ქალბატონი მზად არის ამ მისიის შესასრულებლად, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში უთუოდ მოხვდება, თუმცა, სამწუხაროდ, ამ წამოწყების დამფინანსებელი ჯერჯერობით ვერ გამოინახა.

**— ვინ არის მეოთხე ნომინანტი?**

— მეოთხე გახლავთ პროფესიით მედიცინის და **ასმათ ყურშავიშვილი,** რომელიც 3 ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რკინიგზის მეორე საავადმყოფოში ქართული ქი-







**ასმათ ყურშავიშვილის მიერ აბრეშუმის ძაფებით შექმნილი ნამუშევრები**

## კვირგვინოსნები

**ტარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



ან **პრო**ევროპული ვიქნებით, ან **პრო**თურქული, ან **პრო**რუსული, ან **პრო**სომხური, ან **პრო**აზერბაიჯანული, მაგრამ მე არცერთი **„პროსი“** არ მჯერა, მჯერა მხოლოდ **პრო**ქართულის. თუ ასეთ გაერთიანებაში გინდა შეხვიდე, მაშინ სადღა გარბიხარ?!

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



მე მყავს 12 წლის შვილი, კოსტა. 2028 წელს **თქვენ აპირებთ, რომ კოსტა ძალით წაიყვანოთ თქვენს დასაცავად ჯარში.** ეს ამბავი არ გამოვა. მხოლოდ ჩემს გვამზე გადაბიჯებით, სხვანაირად გამორიცხულია ეს ამბავი.

„ახალი თაობა“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



იმის თქმა, რომ **სავალდებულო სამხედრო სამსახური** არ გვინდა, დემაგოგია, პოპულიზმი და რაღაც სხვა ინტერესებია. კანონით, 2025 წლიდან სხვა უწყებებში **სავალდებულო სამხედრო სამსახური** აღარ იქნება, როგორც იყო. მომზადებას მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



ჯარში ადამიანების **იძულებით წაყვანა** მონობის სახეობაა.

„რეზონანსი“

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



რეფერენტული ფასის დაწესების შემდეგ **ზოგიერთი მედიკამენტი მკვეთრად გაძვირდა,** სახელმწიფოს პოზიცია იქნება მკაცრი.

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!**

მიხეილ სააკაშვილი მემუარებში ცალკე თავს უთმობს **სენატორ ჯონ მაკკეინს,** რომელიც აგვისტოს ომისას ბუშის რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი გახლდათ და ბევრი დღემდე მიიჩნევს, რომ სააკაშვილი 2008 წლის იმ აგვისტოს დღეებში რუსულ პროვოკაციას მიზანმიმართულად სწორედ **მაკკეინის საპრეზიდენტო კამპანიის** სასარგებლოდ წამოეგო!

თავის თხრობას მაკკეინზე სააკაშვილი ერთობ ამაღლებული ტონით, მისი დასაფლავების აღწერით იწყებს:

*„2018 წლის სექტემბრის ნისლიან დღეს ვაშინგტონში, ნაციონალურ კათედრალში, ამერიკის მთავარ ქრისტიანულ ტაძარში, აღესრულა წირვა ჯონ მაკკეინთან დასამშვიდობებლად. მე ჩავფრინდი ჰოლანდიური მოქალაქეობის არმქონე პირის დოკუმენტით. კიდევ კარგი, რომ გაფრენამდე დღით ადრე ამერიკელებმა ჩამირთეს ვიზა ამ დოკუმენტში...*

*ტაძარში თავი მოეყარა ამერიკის მთელ პოლიტიკურ ელიტას. მათ შორის იყვნენ გენერლები, რომლებიც მაკკეინის კუბოსთან მიდიოდნენ და მხედრულ სალამს აძლევდნენ. იგი უკვე იყო გმირი, რომელიც ამერიკის ისტორიას ეკუთვნოდა, რომელსაც ყველა აქებდა, ადიდებდა...*

*მე ტაძარში დამსვეს მაკკეინის ოჯახის წევრების უკან, ასეთი ყოფილა მისი ბოლო სურვილი, რომ ვმჯდარიყავი მის ოჯახთან ერთად“* (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 361).

ანუ ეს ყველაფერი სააკაშვილმა იმიტომ აღწერა ასე შთაგონებით, თავის სექტემბრის ვაშინგტონის ნისლიანი ფერებით, რომ ეთქვა — აი, როგორი მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ, თვით მაკკეინის უკანასკნელი სურვილით, გასვენებაში მისი ოჯახის უკან ვიჯექი!

არადა, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ **მომაკვდავ მაკკეინს არც მოქალაქეობის არმქონე სააკაშვილი გახსენებია თავის ანდერძში და არც იმაზე შეუწუხებია თავისი ჯალაბობა, უკანასკნელი სურვილი შემისრულეთ და მიშა რომ ჩამოვა ჩემს პანაშვიდზე, უსიკვდილოდ თქვენ უკან დასვითო!**

და სააკაშვილი კიდევ უფრო აკვნესებს სენტიმენტალურ ნოტებს:

*„ერთბაშად გამიელვა ფიქრმა, თუ ვინ იყო ჩემთვის ჯონ მაკკეინი. მეტად უჩვეულო და საინტერესო იყო ჩვენი ურთიერთობა. ის გავიცანი 1994 წელს, როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტში ვიყავი კონგრესის სტიპენდიით, რაც ითვალისწინებდა აგრეთვე ამერიკის კონგრესში სენატორების ოფისების დათვალიერებას. ვიყავით ჯონ მაკკეინის ოფისში, სადაც გათვალისწინებული არ ყოფილა მასთან შეხვედრა, დაგვხვდა მხოლოდ მისი აპარატის უფროსი. მაგრამ შუა შეხვედრის დროს შემოვიდა ჯონ მაკკეინი, ნაუცბათევი საუბარი გამოგვივიდა და, როგორც აღმოჩნდა, დავამახსოვრდი“* (იქვე, გვ. 361).

მაკკეინზე თხრობისას სააკაშვილი ისეა აჟიტირებული, რომ იაფფასიან სენტიმენტალობასაც ვეღარ თოკავს და, მაგალითად, ასეთ ზღაპარს გვიყვება:

***„მახსოვს, ერთხელ, მასთან შეხვედრის შემდეგ, კონგრესიდან გამოვედი, გავაჩერე ტაქსი. მძღოლი შავკანიანი იყო. მან მკითხა — რას ვაკეთებდი კონგრესში. როცა ვუთხარი, ვიყავი მაკკეინთან, მითხრა — ეგ არის კაცი, რომლის წყალობითაც ახლა ცოცხალი ვარო.*** *როცა მაკკეინი ტყვედ ჩაიგდეს, ჩვენი სამხედრო ნაწილი ალყაში იყო, მტრის ხაზის იქით და რუსებს სჭირდებოდათ ჩვენი კოორდინატები, რომელიც მან იცოდა, რადგან ჩვენს დასახმარებლად მოდიოდა. ის აწამეს, აიძულებდნენ, გაეთქვა ჩვენი ნაწილის კოორდინატები.* ***მაკკეინი არ გატყდა და მოგვეცა დრო, ალყიდან გამოვსულიყავით. მე რომ დღეს ცოცხალი ვარ, მხოლოდ მისი წყალობააო, კვლავ გაიმეორა.***

***აი, ეს არის რიგითი ამერიკელის, იმხანად უკვე ასაკში მყოფი ამერიკელი ტაქსისტის ნამდვილი ისტორია“*** (იქვე, გვ. 362).

ანუ სანამ **მაკკეინს** აწამებდნენ, მათ დრო იხელთეს და ალყა გაარღვიეს?!

და **მაკკეინის** წამების გარეშე რომ გაერღვიათ ალყა, ვერა?!

მოკლედ, პატარა ბავშვებს რომ უყვებიან ომზე პრიმიტიულ ზღაპრებს, სწორედ ამას აკეთებს სააკაშვილი, რომელიც, რა თქმა უნდა, არც ასახელებს იმ ტაქსისტის **(რომელსაც, სხვათა შორის, დისკრიმინაციული „შავკანიანი“ და არა — „აფროამერიკელი“ უწოდა)** სახელ-გვარს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაკკეინის გმირობით გადარჩენილი არავითარი ტაქსისტი არ არსებობდა!

მემუარისტი პირდაპირ აღიარებს, რომ **მაკკეინი** აქტიურად იყო ჩართული „ვარდების რევოლუციაში“:

***„მაკკეინთან ჩემი მეგობრობა უფრო განმტკიცდა, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ დროს დიდი ენთუზიაზმით დაგვიჭირა მხარი. იგი არაერთხელ ჩამოვიდა საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“ და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც. მას ძალიან უყვარდა იმ ამბის გახსენება, თუ როგორ აღმომაჩინა როგორც სტუდენტი და მაშინვე როგორ დავმეგობრდით. ამას ამაყად უყვებოდა თავის მეგობარ კონგრესმენებს, სენატორებს, პრეზიდენტებს. თან დასძენდა — კარგი საკადრო გუმანი და ალღო მაქვსო“*** (იქვე, გვ. 362).

ეს სააკაშვილის პირდაპირი აღიარებითი ჩვენებაა, აი, **მაკკეინი** ყველას უყვებოდა, მიშა ჩვენი კადრიაო!

ანუ ერთი ცნობილი ამერიკული გამონათქვამის კვალობაზე, **სააკაშვილი ძაღლიშვილია, მაგრამ — ჩვენი ძაღლიშვილიაო!**

სააკაშვილი იხსენებს, ჯერ კიდევ 2006 წელს როგორ გადაურჩა საქართველო მაკკეინის გამო რუსულ-ამერიკულ დიდ დაპირისპირებას:

***„ერთ-ერთი ვიზიტი იყო 2006 წელს, როცა უკვე ემზადებოდა ამერიკის პრეზიდენტად კენჭის საყრელად. ის მე ამის შესახებ გამენდო, თუმცა, საჯაროდ ჯერ არ აცხადებდა და ჩვენ გავფრინდით ერთად ცხინვალში. სეპარატისტებმა უარი თქვეს ჩემი ვერტმფრენის მიღებაზე, მაგრამ ამერიკელი სენატორები შეუშვეს. ჩემი ვერტმფრენი დაჯდა ცხინვალის მისადგომებთან, ისინი როცა გამობრუნდნენ, უკვე რამდენიმე ვერტმფრენით გეზი სვანეთისკენ ავიღეთ. როდესაც ავფრინდით, სენატორების ვერტმფრენი ჩვენი ეგონათ, შეეშალათ და სწორედ მას ესროლეს ყუმბარმტყორცნიდან. სენატორების ვერტმფრენს ყუმბარამ ძალიან ახლოს გაუარა. გადარჩნენ, მაგრამ საფრთხე ძალიან რეალური იყო. ამერიკის ელჩმა დარეკა და კატეგორიულად დააყენა საკითხი, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ თბილისში, რადგან მგზავრობის შემდგომი გაგრძელება სახიფათო იყო“*** (იქვე, გვ. 363).

მაგრამ **მაკკეინი** აბა, რისი გმირი იყო, რომ მოგზაურობა შეეწყვიტა და მაინც გაფრინდნენ სვანეთისკენ! მაგრამ ეს გმირი მაკკეინი ისე შეაშინეს სვანებმა, რომ იქიდან სასწრაფოდ გამოეცალა:

***„მაკკეინმა ჯიუტად მოითხოვა, მგზავრობა გაგვეგრძელებინა და გავფრინდით მესტიის კოშკების დასათვალიერებლად. ავედით უშგულშიც. მე-4 საუკუნის ტაძრის შესასვლელთან მას გაუშალეს სუფრა უგემრიელესი ტრადიციული კერძებით. სხვა ხუთ სენატორთან ერთად ის იჯდა და ილხენდა. ტაძართან სვანური, მესტიის ხალხური ცეკვა-სიმღერის გუნდმა დაუვიწყარი სანახაობა წარმოადგინა, თანაც დროდადრო გადიოდნენ ტაძრის უკან, მათთვისაც სუფრა გაეშალათ და იქ რახსაც გადაჰკრავდნენ თურმე და გამოდიოდნენ ხალისიანად. მაგრამ რომ ვუყურებდი მათ, თანდათან ვამჩნევდი, სახეები როგორ ეცვლებოდათ და ცოტათი აგრესიულები ხდებოდნენ. აშკარა იყო, ყველაფერი სასმელთან იყო დაკავშირებული.***

***რაღაც პერიოდის შემდეგ მაკკეინი გადმოიხარა ჩემკენ და ჩუმად, ნახევრად ხუმრობით მითხრა: მიშა, მე არ ვარ მშიშარა კაცი, მაგრამ ამ ხალხის სახეები არ მომწონს და მოდი, ახლა დროზე წავიდეთ აქედან, სანამ რაღაც არ დაუშავებიათ ჩვენთვის და თავიანთთვისაცო. ადგა, „ვორგილვოისას“ რიტმის ქვეშ ეცეკვა მათ და ვერტმფრენს მივაშურეთ“*** (იქვე, გვ. 363).

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




# მაკკეინმა ჩუმად მითხრა, მიშა, ამ სვანების სახეები არ მომწონს და მოდი, დროზე წავიდეთ აქედან, სანამ ჩვენთვის რამე დაუშავებიათო!

## კვირგვინოსნები

**გიგა ბუკია**

*ყოფილი პარლამენტარი*



**რაც სააკაშვილი დააპატიმრეს, ნაცმოძრაობაში სხვებმა აიწყვიტეს.** პარტიის კონტროლი, პარტიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომეს **მეორეხარისხოვანმა და მესამეხარისხოვანმა** პოლიტიკოსებმა. ისინი ტორტს ინაწილებენ, თავისკენ ექაჩებიან და თითოეული მათგანი დიდი ნაჭრის „დათრევას“ ცდილობს. **მათ არც პოლიტიკური საქმიანობა აინტერესებთ და არც — ხალხის პრობლემები.**

„ახალი თაობა“

**დავით ზურაბიშვილი**

*პოლიტიკოსი*



ნაცმოძრაობა კარგ დღეში როგორ იქნება?! ჯერ ერთი, რაც ეს ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს, ამით ისინი **მომხრეებს მხოლოდ დაკარგავდნენ და არ მოიმატებდნენ.** მათი ასეთი რადიკალური დამოკიდებულება, რომ, **არიქა, ხვალვე გაათავისუფლონ სააკაშვილი,** მარცხისთვის არის განწირული.

„ახალი თაობა“

**ქეთევან ზარნაძე**

*ყოფილი პოლიტპატიმარი*



გვახსოვს, გვახსოვს და **ვერასდროს დავივიწყებთ** იმ დაწყევლილ ცხრა წელს.

„საერთო გაზეთი“

# ვინ რამდენი კალორია საკვები უნდა მიიღოს?

***ჭარბი წონა, რომელიც ადამიანის ცხოვრების სტილთან და მაღალკალორიულ საკვებთან პირდაპირ კავშირშია, 21-ე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად არის მიჩნეული. რა განსაზღვრავს საკვების კალორიულობას და ვინ რამდენი კალორია საკვები უნდა მიიღოს დღიურად, ამის შესახებ ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი გვესაუბრება:***

## კახა საბახტარიშვილი:

## წყალი არ ასუქებს, რადგან მისი კალორიულობა ნულის ტოლია!





— ყველა პროცესი, რომელიც ორგანიზმში მიმდინარეობს — საჭმლის მონელება, გულისცემა, სუნთქვა, კუნთების მოძრაობა, ფერმენტების გამომუშავება და ფიქრიც კი — გარკვეულ ენერგიას მოითხოვს, რომელსაც ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ საკვებიდან იღებს. ზოგი საკვები მაღალი ენერგეტიკული ღირებულებისაა, ზოგი — დაბალი, რის შესაფასებლადაც არსებობს „კალორიის" ცნება. **კალორია სითბოს ის რაოდენობაა, რომელსაც 1 გრამი საკვები ნივთიერება დაწვის შედეგად გამოყოფს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, კალორია სითბოს ის რაოდენობაა, რომელიც ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში 1 გრამი წყლის 1 გრადუს ცელსიუსით გასათბობად არის საჭირო.**

**— მაინც რა განაპირობებს საკვები პროდუქტის კალორიულობას?**

— საკვები პროდუქტის კალორიულობას მისი ქიმიური შემადგენლობა, კერძოდ, ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ხვედრითი წილი განაპირობებს. **1 გრამი ნახშირწყალი 4 ათას კალორიას, ანუ 4 კილოკალორიას შეიცავს.** ასეთივე კალორიულია 1 გრამი ცილაც, ხოლო **ცხიმი ყველაზე მაღალკალორიულია და 1 გრამი 9 ათას კალორიას, ანუ 9 კილოკალორიას შეიცავს.**

**— საინტერესოა, რამდენად კალორიულია წყალი, რომელმაც მავანის აზრით, შეიძლება გაგვასუქოს?**

— ეს ტყუილია, წყალი არ ასუქებს, რადგან მისი კალორიულობა ნულის ტოლია! საერთოდ, წონაში მატება თუ დაკლება დამოკიდებულია იმაზე, რამდენ კალორიას ვღებულობთ საკვების სახით და რამდენ კალორიას ვხარჯავთ. **მიჩნეულია, რომ მამაკაცმა დღიურად 2700-მდე კილოკალორია საკვები მაინც უნდა მიიღოს, ხოლო ქალმა — 2200-მდე.** თუმცა, ყველაფერი მაინც ინდივიდუალურია... რამდენი კილოკალორია საკვები გვჭირდება, დამოკიდებულია ასაკზე, სიმაღლესა და წონაზე. **არსებობს საგანგებო ფორმულა, რომლის მიხედვითაც ძალიან ადვილად შევძლია, განვსაზღვროთ, თუ რამდენი კილოკალორია გვჭირდება ყოველდღიურად.** უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ, აბსოლუტურად მოდუნებულ მდგომარეობაშიც კი, რამდენ კალორიას ხარჯავს ჩვენი ორგანიზმი სასიცოცხლო ფუნქციების შესასრულებლად. ქალებისთვის ამის გამოსათვლელად არსებობს შემდეგ ფორმულა — **9,99 გამრავლებული წონაზე** (კილოგრამი), **პლუს 6,24 გამრავლებული სიმაღლეზე** (სანტიმეტრი), **მინუს 4,92 გამრავლებული ასაკზე** და **მინუს 161.** მამაკაცებისთვის ყველაფერი იგივეა, მაგრამ ბოლოს გამოკლებული 161-ის ნაცვლად უნდა დავუმატოთ **5,** ანუ ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს — **9,99 გამრავლებული წონაზე (კილოგრამი),** პლუს **6,24 გამრავლებული სიმაღლეზე** (სანტიმეტრი), მინუს **4,92 გამრავლებული ასაკზე** და პლუს **5.** ამას რომ გავიგებთ, შემდეგ უკვე ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, განვსაზღვრავთ, ზუსტად რამდენი კილოკალორია გვჭირდება დღის განმავლობაში.

**ვინც კაბინეტური ცხოვრების წესს მისდევს, ზემოთ მოყვანილი ფორმულების გამოყენებით მიღებული შედეგი უნდა გაამრავლოს 1,2-ზე და დღიურად იმდენი კილოკალორია მიიღოს; ვინც მცირე ფიზიკური აქტიურობით გამოირჩევა, შედეგი 1,375-ზე გაამრავლოს; საშუალო აქტიურობის დროს მამრავლი 1,55 უნდა იყოს, ხოლო, ვისაც მძიმე სამუშაოს შესრულება უწევს ან აქტიურ სპორტს მისდევს, გასამრავლებელი კოეფიციენტი 1,1 უნდა იყოს!**

## „წონაში განსაკუთრებით სწრაფად ვიმატებთ მაშინ, როცა ცილებსა და ნახშირწყლებს ერთდროულად ვღებულობთ!"



## „ხორცის უპუროდ ჭამას თუ მივეჩვევით, წონაში არ მოვიმატებთ!"





## „კატასტროფაა, როცა კარტოფილს მივატანთ ხორცს ან მაკარონს მივატანთ ყველს!"

**— თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო კითხვა — როგორ უნდა შევინარჩუნოთ წონა და რომელი საკვები უნდა მივიღოთ, რათა არ გავსუქდეთ?**

— თუ დღის განმავლობაში იმდენ კალორიას მივიღებთ, რამდენსაც დავხარჯავთ, მაშინ არ გავსუქდებით და წონას მუდმივად შევინარჩუნებთ, ხოლო, თუ მეტ კალორიას მივიღებთ, ვიდრე ვხარჯავთ, მაშინ ზედმეტი კალორიები პირდაპირ ცხიმებად გარდაიქმნება და გავსუქდებით.

საერთოდ, იდეალურია დაბალკალორიული და მრავალფეროვანი საკვების მიღება. ასეთი საკვებია: **ყველა სახის მწვანილი, პარკოსნები, კიტრი, სტაფილო, კომბოსტო, მოხარშული კვერცხი, ქათმისა და ინდაურის მოხარშული თეთრი, უმარილო ხორცი, ფორთოხალი, კივი, ბროწეული, გრეიპფრუტი, ოსპი, ქერი, იოგურტი და ცხიმიანი თევზი...** უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ არსებობს მაღალკალორიული პროდუქტები, რომლის მცირე რაოდენობაც კი სიმაძღრის შეგრძნებას დიდხანს გვიტოვებს და აუცილებელ ნივთიერებებსაც შეიცავს. ასეთია **ქარაქი,** რომელიც დღეში 10-30 გრამის ოდენობით სრულიად საკმარისია. იგივე შეიძლება ითქვას **თხილსა და ნიგოზზეც,** მაგრამ დღიურად 30 გრამზე მეტი არც ერთი და არც მეორე არ მივიღოთ! მაღალკალორიული და სასარგებლოა **ყველი,** ოღონდ დღეში ისიც 30 გრამის ოდენობით. მაღალკალორიულია **შავი შოკოლადიც,** მაგრამ დღეში არაუმეტეს 50 გრამისა. სიმაძღრის შეგრძნებას **სხვადასხვა ხილის ჩირიც** დიდხანს ტოვებს, მაგრამ მისმა დღიურმა რაოდენობამ 100 გრამს არ უნდა გადააჭარბოს. ციმბირში, რუსეთსა და უკრაინაში ყველას აქვს ოჯახში **სალა,** რომელიც მაღალკალორიულია, მაგრამ, თუ დღეში 50 გრამზე მეტს არ შევჭამთ, არ გაგვასუქებს და სიმაძღრის შეგრძნებასაც დიდხანს შეგვინარჩუნებს!

**— ალკოჰოლი და გაზიანი სასმელები, რომლებიც, როგორც წესი, ასუქებს, მაღალკალორიულია თუ რაშია საქმე?**

— ალკოჰოლური და გაზიანი სასმელები მაღალკალორიულიცაა და ადამიანს მადასაც უძლიერებს! აღარაფერს ვამბობ ე.წ. „ფასფუდებსა" და სწრაფი კვების პროდუქტებზე, რომელთა ჭარბმა მოხმარებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლამის სიმსუქნის ეპიდემია განაპირობა. ზედმეტი კალორიების „დასაწვავად" საუკეთესოა სპორტი, განსაკუთრებით ცურვა. რაც გინდა გაგიკვირდეთ, **კიბით სამი-ოთხი სართულის ავლისას ადამიანი იმაზე გევრად მეტ კალორიას წვავს, ვიდრე 15-20 წუთის განმავლობაში სირბილის ან ცურვის დროს.** საერთოდ, წონაში განსაკუთრებით სწრაფად ვიმატებთ მაშინ, როცა ცილებსა და ნახშირწყლებს ერთდროულად ვღებულობთ.

**— ეს რას ნიშნავს?**

— აი, მაგალითად, **კატასტროფაა, როცა კარტოფილს მივატანთ ხორცს ან მაკარონს მივატანთ ყველს!** ამ დროს ჩვენი ორგანიზმი კალორიებს გასაოცარი სისწრაფით იღებს და წონაში ვიმატებთ. ამიტომ ხორცის უპუროდ ჭამას თუ მივეჩვევით, წონაში არ მოვიმატებთ!

**თუ გვინდა, ფორმაში ვიყოთ, კარაქიანი პური საერთოდ დავივიწყოთ და ეს მავნე კომბინაცია საკვებად ბავშვებსაც მოვარიდოთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



რა მნიშვნელობა აქვს გაჭირვებული ადამიანისთვის, **რა ღირს ტელევიზორი ან მუსიკალური ცენტრი.** მისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ **რა ღირს პური, შაქარი, რძის პროდუქტი,** რამდენი უნდა გადაიხადოს ელექტროენერგიაში, გაზში... ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციაზე ფასებს ყოველთვის აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა.

„კვირის პალიტრა"

**გელა ოზბაიძე**
*თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო კომისიის თავმჯდომარე*



**ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპის** დაწყების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია გადასახადის გაზრდის თაობაზე. სრული პასუხისმგებლობით ვიმეორებ დედაქალაქის მერის სიტყვებს, რომ **ტარიფის გადახედვა და, მითუმეტეს, გაზრდა არ იგეგმება.**

„ახალი თაობა"

**მერაბ ჭათირიშვილი**
*მწერალი*



**უკრაინელი დეზერტირები,** რომლებიც, წესით, საკუთარ სამშობლოში უნდა იყვნენ, მას იცავდნენ, ამ დროს აქ ნებივრობენ და ომში ჩართვისკენ ჩვენ მოგვიწოდებენ. თან საქართველოს ხელისუფლებას საყვედურობენ: უკრაინას იარაღს რატომ არ აწვდითო. **შე ოჯახაშენებულო, დაბრუნდი უკრაინაში, იშოვე იარაღი და იომე შენი სამშობლოსთვის, აქ რას წამოწოლილხარ?!**

„საერთო გაზეთი"

**ლადო ვარდოსანიძე**
*არქიტექტორ-ურბანისტი*



თავის დროზე **ხრუშჩოვის** დროინდელი მასობრივი ბინათმშენებლობა **25-30 წელზე** იყო გათვლილი, მაგრამ ზოგი მათგანი უფრო მყარად დგას, ვიდრე, სიტყვაზე, **10-15 წლის წინ** აშენებული კორპუსი. ასაკი არაფერ შუაშია. ვერ ვიტყვით, რომ ასაკოვანი შენობა უვარგისია.

„რეზონანსი"

# გავლენის აგენტები და

***პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ „უცხოეთის გავლენის აგენტებთან“ დაკავშირებულმა კანონპროექტმა თავისი საქმე უკვე გააკეთა და უცხოეთის გავლენის აგენტები ქართული პოლიტიკური ჭაობის ზედაპირზე ერთიანად ამოატივტივა.***







**ნინო ლომჯარია, გიორგი ბურჯანაძე, ეკა გიგაური**

დიახ, პრინციპით — ქურდს ქუდი ეწვის — გაიშიფრა ყველა, ვისაც ეშინია, რომ სახელი **„გავლენის აგენტი“,** რითიც ქართველი ხალხი ისედაც დიდი ხანია, მოიხსენიებს, აწ უკვე ოფიციალურად, საკანონმდებლო დონეზე დაერქმევა!

ესენი არიან **Ე.Წ. ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ,** რომლებიც ევრო-ამერიკული გრანტებით ფინანსდებიან, რათა საქართველოში აწარმოონ კამპანია, მაგალითად, ლგბტ პრაიდების ჩატარებისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მიზნით!

ესენი არიან **Ე.Წ. ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ,** რომლებიც ევრო-ამერიკული გრანტებით ფინანსდებიან, რათა საქართველოში წარმართონ პროპაგანდა, მაგალითად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის „პრორუსულობის“ შესახებ და იბრძოლონ საპატრიარქოში „კრემლის გავლენების“ აღმოსაფხვრელად!

ესენი არიან **Ე.Წ. ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ,** რომლებიც ევრო-ამერიკული გრანტებით ფინანსდებიან, რათა ხელი შეუწყონ საქართველოში ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის, ანუ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას, მაგალითად, საარჩევნო ხმების პარალელური დათვლის მონაცემთა გაყალბების გზით!

დიახ, სწორედ ამ კატეგორიის **ᲐᲡᲝ-ᲔᲑᲘ,** სხვანაირად რომ ვთქვათ, **კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები და მათი პოლიტიკურ მფარველ-მოკავშირენი** იხოკავენ ღაწვებს **„ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ“** შესახებ კანონთან დაკავშირებით, უწოდებენ მას რუსულ კანონს, პუტინისტურ კანონს, საქართველოს ევროპული პერსპექტივის მკვლელ კანონს და ა.შ.

**არავითარი აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, რომ კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტში იხილება, ამერიკაში მოქმედი კანონის პირდაპირი თარგმანია — სტენოგრაფიული ასლი, სადაც მხოლოდ ქვეყნის სახელწოდებაა შეცვლილი და ამერიკის შეერთებული შტატების ნაცვლად საქართველო წერია.**

დიახ, მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია ამაზე აპელირება, რადგან **ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲝᲜᲝᲠᲔᲑᲡ** მაინც არ შერცხვებათ, ამერიკულ კანონს რუსული კანონი დაუძახონ! თვით **ამერიკის ელჩი ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘᲪ** კი აცხადებს — **კანონი, რომელიც ამერიკაში მოქმედებს რუსული კანონიაო** და აბა, ამის შემდეგ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ!

**ელჩებსაც, სენატორებსაც და ევროპარლამენტარებსაც, რომლებიც ამერიკულ კანონს რუსულ კანონად ნათლავენ, ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ** — ნებისმიერ ფასად უნდა შეინარჩუნონ თავიანთი გავლენები საქართველოს შიდა პოლიტიკაზე, ამისათვის კი აუცილებელია, მათ გავლენის აგენტებს **„ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ“** ეწოდებოდეთ და არა — **„ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ“!**

## იმათ შორის, ვინც „უცხოეთის გავლენის აგენტებთან“ დაკავშირებული კანონის წინააღმდეგ პროდასავლური პოზიციიდან ყვირის, ბევრი, სინამდვილეში, რუსეთის გავლენის აგენტია!






**ელენე ხოშტარია „კაგებეს“ კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში ზუსტად იმ დროს სწავლობდა, როცა კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი, დეპუტატი მიხეილ ყაველაშვილი ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატში — ინგლისის პრემიერლიგაში „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას იცავდა!**

საჭიროა, რომ კოლექტიური ლომჯარია-გიგაურისათვის გამოყოფილ მსუყე გრანტებს კეთილშობილური სახელი — **„ქართული დემოკრატიის განვითარებისათვის გამოყოფილი ფული“** ერქვას და არ ჰქონდეს მისი რეალური დანიშნულების შესაბამისი სახელწოდება — **„საქართველოში ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ საბრძოლველად და ნეოლიბერალურ სიბილწეთა დასანერგად დახარჯული მილიონები“.**

მოკლედ, ყველაფერი იმაზე ბევრად მარტივად არის, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება, ჩანდეს!

სხვათაშორის, ევრო-ამერიკული გრანტებით უხვად დაფინანსებულ **კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურებს** პრეტენზია აქვთ, რომ **„ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ“** არიან და ხშირ-ხშირად იმეორებენ — ჩვენ **„ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲔᲜᲯᲔᲝᲔᲑᲘ“** ვართო!

როგორც ჩანს, სიტყვა **„გავლენიანი“** ძალიან მოსწონთ და სიამოვნებთ!

ჰოდა, იქნებ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის ავტორებმა ტერმინი **„გავლენის აგენტები“ „ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ“** შეცვალონ!

აბა, ერთი, გავსინჯოთ, როგორ ჟღერს:

**გავლენიანი აგენტი ᲔᲙᲐ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ!**

**გავლენიანი აგენტი ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ!**

**გავლენიანი აგენტი ᲑᲐᲑᲣᲪᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ...**

ვინ იცის, თავადაც სიამაყით

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ჩვენ გეგმა გვაქვს — **ბრძოლა და მოქმედება!** არის ფიზიკურად საჭიდაო? ვჭიდაობთ.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ**
*პოლიტოლოგი*



დღევანდელი **ოპოზიციის პირობებში** „ქართული ოცნება“ ნებისმიერ არჩევნებს მოიგებს.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲓᲐᲩᲘ ᲑᲔᲠᲐᲘᲐ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რა ვნახეთ პარლამენტში? **ამერიკული კანონიდან სიტყვასიტყვით ნათარგმნ კანონს რუსულს უწოდებდნენ,** ხოლო საკუთარ ისტერიკას ევროპულ ქმედებად ასაღებდნენ.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲑᲔᲠᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲡᲘ**
*ამერიკელი სენატორი*



ჩვენ ვსაუბრობთ **რუსეთზე და პუტინის ოლიგარქიაზე,** არადა, **აშშ-შიც გვაქვს ოლიგარქია.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲛᲘᲒᲐᲚᲘ**
*უკრაინის პრემიერ-მინისტრი*



ჩვენთვის საკმარისი არ არის ნატოს **„ღია კარი“** — ველით კონკრეტიკას ჩვენი პარტნიორებისგან.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲞᲔᲢᲔᲠ ᲡᲘᲘᲐᲠᲢᲝ**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



კარგი იქნებოდა, **ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ** ესაუბრათ, **ეს ომი უნდა დასრულდეს!**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

# გავლენიანი აგენტები





ნინო დოლიძე, ნიკა სიმონიშვილი, ბაია პატარაია

დაეთანხმონ ასეთ დეფინიციას!

ისე, უნდა შევნიშნოთ, რომ **რუსეთის გავლენის აგენტები,** რომლებიც საქართველოში **დასავლეთის გავლენის აგენტებზე** ცოტანი ნამდვილად არ არიან, უფრო გონივრულად იქცევიან და პარლამენტში ინიცირებული კანონის წინააღმდეგ ღიად არ ილაშქრებენ, რათა თავი მთლად ბოლომდე არ გამოიჭენონ!

მეორე მხრივ, იმათ შორის, ვინც **„უცხოეთის გავლენის აგენტებთან“** დაკავშირებული კანონის წინააღმდეგ პროდასავლური პოზიციიდან ყვირის, ბევრი, სინამდვილეში, **რუსეთის გავლენის აგენტია!** მაგალითისთვის თუნდაც **ელენე ხოშტარიას** დასახელება იკმარებს, რომელიც „კაგებეს“ კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში ზუსტად იმ დროს სწავლობდა, როცა კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი, **დეპუტატი მიხეილ ყაველაშვილი** ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატში — ინგლისის პრემიერლიგაში „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას იცავდა!

აქვე, საფეხბურთო ჩემპიონატის ხსენებასა და კოლექტიური დასავლეთიდან წამოსულ მუქარებზე — **„უცხოეთის გავლენის აგენტთა“** შესახებ კანონის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირში არ მივიღებთო — ერთი სახალისო ამბავი მოგვაგონდა, რომელიც ცნობილ ქართველ პოეტს **ტარიელ ჭანტურიას** უკავშირდება. კალმოსანმა, რომელიც თავის დიდებულ პოეზიასთან ერთად დიდებული იუმორითაც გამოირჩევა, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში იხუმრა: **საბჭოთა ხელისუფლებას ახალი კანონი შემოაქვს, რომელიც საფეხბურთო ჩემპიონატის პრინციპზე იქნება დაფუძნებული — როგორც ყველაზე ნაკლები ქულის მქონე აუტსაიდერი გუნდი ვარდება უმაღლესი ლიგიდან, სწორედ ისე გარიცხავენ სსრ კავშირიდან რესპუბლიკებს, რომლებიც ცუდად მოიქცევიანო!**

## დღეს საქართველო ისე ცუდად იქცევა, რომ ევროკავშირში ჯერ არ მიუღიათ და უკვე იქიდან გარიცხვით ემუქრებიან!

თუ საქართველო ასე ცუდად მოქცევას გააგრძელებს, მალე, შესაძლოა, **კუბილიუს-ფოტიგა-ფონ კრამონებმა** კიდევ უფრო სასტიკად დაგვსაჯონ და ჩვენთან მეგობრობაზე სამუდამოდ აიღონ ხელი!

**თუ საქართველო ასე ცუდად მოქცევას არ შეეშვება, შეიძლება, უფრო უარესი რამეც მოხდეს და ნაციონალური მოძრაობა, თავის მოკავშირე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთელ ლიბერასტულ კლასტერთან ერთად, ქართული პოლიტიკის ავანსცენიდან სამუდამოდ გაქრეს!**

რაღა ეშველება მერე **უკუბილიუსოდ, უხაბეიშვილოდ და ულომჯარიოდ** შთენილ ქვეყანას?!

რაღა ფასი ექნება საქართველოს **გავლენის აგენტებისა** თუ **გავლენიანი აგენტების** გარეშე!

**სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, კეზერაშვილს, ახალაიებს, მეგის ქარდავას, რომან შამათავას, „ქილერას“, „მასტერასა“ და „ბოროტას“ ასეთი საქართველოსთვის არ უბრძოლიათ!**

***ჯაბა ხუბუა***

**ტარიელ ჭანტურიამ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში იხუმრა: საბჭოთა ხელისუფლებას ახალი კანონი შემოაქვს, რომელიც საფეხბურთო ჩემპიონატის პრინციპზე იქნება დაფუძნებული — როგორც ყველაზე ნაკლები ქულის მქონე აუტსაიდერი გუნდი ვარდება უმაღლესი ლიგიდან, სწორედ ისე გარიცხავენ სსრ კავშირიდან რესპუბლიკებს, რომლებიც ცუდად მოიქცევიანო!**



მისახედია!

# ბუშები და ბოშები თბილისში სააკაშვილის ნაბუშრების ფონზე

***თბილისის ცენტრში, განსაკუთრებით რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მცირეწლოვანი ბოშები, რომლებსაც, ცხადია, ზურგს უფროსები უმაგრებენ, გუნდებად დაძრწიან და უცხოელ ტურისტებზე ნადირობენ. ისინი უცხოელს ან კარგად ჩაცმულ-დახურულ ქართველს დაიმარტოხელებენ თუ არა, ალყაში მოაქცევენ და საგულდაგულოდ შერჩეულ მსხვერპლს ზოგი ჯიბეში უფათურებს ხელს, ზოგიც ხელჩანთის წაგლეჯას ცდილობს.***



ეს ყველაფერი ხდება უკიდურესი აგრესიისა და, ფაქტობრივად, გაცხადებული ტერორის ფონზე ისე, რომ ხშირად მსხვერპლი, რომელსაც მეუღლე ან მცირეწლოვანი შვილები ახლავს, იმის შიშით, ამ თავზეხელაღებულმა და გადაგვარებულმა მტაცებლებმა ცოლ-შვილს არაფერი დაუშავონო, იძულებულია, ბოშებს ყველაფერი მიუგდოს, რათა საკუთარი თავიც და უახლოესი ადამიანებიც განსაცდელისგან იხსნას. პოლიცია ბოშა ბავშვების მარბიელ ბანდებს ვერაფერს უპირისპირებს, რადგან მცირეწლოვანების გამო პოლიციას მათი დაპატიმრების უფლება ჩამორთმეული აქვს. ეს უბედურება და ჯოჯოხეთი განსაკუთრებით თვალშისაცემია მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, „გალერეა თბილისის“ წინ და ასევე პლეხანოვსა და აბანოთუბანში. მოგეხსენებათ, სამივე ეს წერტილი ტურისტებისთვის გამორჩეული ადგილია, მაგრამ ადგილზე მისულებს რა ხვდებათ? ომი და ჯოჯოხეთი! ხშირად ისინი ებმებიან ნამდვილ ბრძოლაში მაწანწალა ბოშა ბავშვებთან, რათა თავიანთი ქონება, ღირსება და ჯანმრთელობა დაიცვან!

ამას ყურადღება და კანონის გამკაცრება უნდა! სხვა შემთხვევაში საქართველოში დასასვენებლად აღარავინ ჩამოვა. **გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის საელჩომ უკვე გააფრთხილა თავისი მოქალაქეები, რომ რუსთაველის პროსპექტზე, თავისუფლების მოედანზე, აბანოთუბანსა და პლეხანოვზე სეირნობისას განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე გამოიჩინონ!**

თუმცა, **მაწანწალა და არასრულწლოვან ბოშებზე უფრო საშიში შევარდნაძე-სააკაშვილის ის პოლიტიკური ნაბუშრები არიან, რომლებიც საქართველოს დასაქცევად და გადასაჯეგად ამერიკის ორმა პრეზიდენტმა, მამა-შვილმა ბუშმა ორ სხვადასხვა ეპოქაში აკურთხა!** პოლიტიკურ ნაბუშართა შორის ზოგი ცნობილი დამხვრეტი და ციხის ჯალათი **ზაქარია შაშკინ-შაშურკინია,** ზოგიც — პოლიტიკური **შეშა,** რომელიც სადაც გინდა, გადაატრიალო და რომელ ბუხარშიც გინდა, შეუკეთო, მაინც ვერაფერს გაიგებს!

აი, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ცნობილი **შეშა** — სალომე სამადაშვილი ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში იმ დღეს ატეხილი წივილ-კივილის შემდეგ პარლამენტარ **დაჩი ბერაიას გაშეშებასაც** შეეცადა და მეტი რომ ვერაფერი მოიფიქრა, კაცს ისე უჩქმიტა,ააყვირა!

პოლიტიკურ **ნაბუშართა** შორის ზოგს თავი **შუშა** კიტრივით მოაქვს! აი, მაგალითად, **აკია ბარბაქაძემ,** რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ცხელი ტყვია დააჭედა და ქვეყანას თავისნაირ ბანდიტ კიტოვანელებთან ერთად იმაზე მილიარდჯერ მეტად ავნო, ვიდრე მაწანწალა და ბანდიტმა **ბოშა ბავშვებმა,** ამასწინათ გაბედა და ილიასა და აკაკის ძეგლის წინ „ეროვნული მოძრაობის“ დაწყების შესახებ გვამცნო! უბედურება ის არის, რომ აკიას ამ საქმეში მხარი იმათაც აუბეს, რომელთა ხელისუფლებაც სწორედ პრეზიდენტ **ბუშის** ცნობილი განცხადების შემდეგ დაემხო. მოგეხსენებათ, პრეზიდენტ მამა-ბუშის განცხადება ასე ჟღერდა — **„ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“**

ფაქტია, რომ **ერთი ბუშის მიერ** დამხობილები თუ **მეორე ბუშის** მიერ გაქეზებულები, მაგრამ პოლიტიკურად სააკაშვილის ნაბუშრები, თავიანთი გეგმებით ბევრად უფრო საშიში არიან, ვიდრე მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ წინ ან აბანოთუბანსა და პლეხანოვზე ჩასაფრებული ბოშა ბავშვები. სხვათაშორის, პოლიტიკურად სააკაშვილის ერთმა ნაბუშარმა კანალიზატორმა კახა ლომაიამ, რომელიც განათლების მინისტრად დანიშნეს და ქვეყანა დააქცევინეს, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, დაფაზე სიტყვა „ბავშვი“ ვერ დაწერა...

**პოლიტიკური ნაბუშრები, როგორც წესი, გამუდმებით მსუყე შაბაშის მოლოდინში არიან, რათა ქვეყანა დასაკლავად ისევე გაიმეტონ, როგორც აქამდე არაერთხელ გაუმეტებიათ.**

პოლიტიკურ **ნაბუშრებსა** და გაყიდულებს როზგისა და ხალხის რისხვის გარდა სხვა არაფერი აშინებთ! როგორც დავით კლდიაშვილის უკვდავმა გმირებმა — ზენათიმ და გალაქტიონმა ვერ გააწყვეს რამე ბაკულას ღორების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში **შაშა** და მთელი მისი „ნაჩალნიკები“ ჩარიეს, **პოლიტიკურ ნაბუშართა** წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ისეა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების საქმეც! **ღორები და სააკაშვილის პოლიტიკური ნაბუშრები არც პარლამენტში უნდა შეუშვა და არც მარგალიტები უნდა დაუყარო!**

ცნობილია, რომ ჰიტლერი **ბოშების** სტერილიზაციას ითხოვდა, რადგან მისი ავადმყოფური გაგებით, **ბოშებმა** სახელმწიფო ვერ შექმნეს და ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მხოლოდ ცივილიზაციის მუწუკებად იქცნენ!

საქართველოში **ბოშების** სიმღერებს აღმერთებენ და ამ ხალხს ისტორიულად არაფერს ერჩიან, მაგრამ მაწანწალა **ბოშა ბავშვების**ა და **სააკაშვილის პოლიტიკური ნაბუშრების** „ციგნობა“ ყოველგვარ ზღვარს გასცდა!

**დროა, ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს და უახლესი ისტორიის ქარბორიამ ბუშები და პოლიტიკური ნაბუშრები საქართველოშიც ჩარეცხოს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზვიად ტომარაძე**
*„ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელი*



ავსტრალიაში დაახლოებით 5 წლის წინ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, **აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ბინებისა და სახლების შეძენა.** ჩვენთანაც ამ კუთხით რაღაც მოსაფიქრებელია, რადგან ქვეყანაში ეთნიკურ ბალანსს უკვე პრობლემა ექმნება. **მალე შეიძლება, უმცირესობაში მოვექცეთ.**

„რეზონანსი“

**თეა წულუკიანი**
*პოლიტიკოსი*



**მაიდანი! სხვა გზა აღარ რჩება!**

„აიპრესი“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



საქართველომ როცა თქვა — **მე დამოუკიდებელი ქვეყანა ვარ და ჩემს ინტერესებში არ შედის ომი,** სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მის წინააღმდეგ საბოტაჟი.

„პირველი არხი“



# როგორ ამოვიცნოთ ნატურალური შამპუნი?

***ნატურალურმა შამპუნმა პოპულარობა მოიხვეჭა არა მხოლოდ ეკოლოგიური დაინტერესების თვალსაზრისით, არამედ იმის გამოც, რომ ბოსტნეულის ზეთი შეიცავს თმისთვის სასარგებლო პროტეინებს. სწორედ ამის გამო ნებისმიერი შამპუნი, რომელიც თმის ზრდისთვისაა განკუთვნილი, შეიცავს ხორბალს, კალენდულას, ჟასმინს ან შვრიას.***

პრობლემური თმისთვის განკუთვნილი შამპუნის შემადგენლობას მასში შემავალი კომპონენტები განსაზღვრავს. თუ რომელიმე ფაქტორი გათვალისწინებული არ იქნება, შესაძლოა, მოხდეს თმის ან თავის კანის დაავადების პროგრესირება, რაც საბოლოოდ სავალალო შედეგით — თმის გაცვენით დასრულდება. სწორედ ამიტომ თმის ცვენის საწინააღმდეგო შამპუნი უნდა შეიცავდეს წმინდა კოსმეტოლოგიურ ინგრედიენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს თმის სუნს, ბზინვარებას, მოცულობას და ქერტლის საწინააღმდეგო ეფექტს.

***ნატურალური შამპუნის ფსევდონატურალურისგან გასარჩევად სპეციალისტები რამდენიმე მეთოდს გვთავაზობენ. მთავარი განმასხვავებელი ნიშნები შეფუთვა და შემადგენლობა გახლავთ.***



შეფუთვა

**1.** შამპუნის შეფუთვაზე ყოველთვის წაიკითხეთ ეტიკეტი, კერძოდ, შემადგენლობა და ვადა. თუ შამპუნის შენახვის ვადა 3 წელია, მაშინ ის არ არის ნატურალური. გაუხსნელი შამპუნის შენახვის ვადა 1 წელიწადია, ხოლო გახსნილის — რამდენიმე თვე.

**2. სწორად წაიკითხეთ შამპუნის შემადგენლობა, ანუ დაიწყეთ ბოლოდან. სიის დასაწყისში ყოველთვის წერია ის კომპონენტი, რომელსაც მეტი რაოდენობით შეიცავს შამპუნი. თუ რომელიმე ნატურალური კომპონენტი სიის ბოლოში ან ქიმიურ კონსერვანტებს შორის წერია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შემცველობა შამპუნში მხოლოდ 0.01 პროცენტს შეადგენს. ქიმიურ კონსერვანტებთან ურთიერთქმედების შედეგად კი ის კარგავს დადებით თვისებებს და ხდება არაორგანული თვისებების მატარებელი. ასეთი შამპუნი თმას არათუ განკურნავს, მის მდგომარეობას გააუარესებს, შესაძლოა, გამოიწვიოს ალერგია, დერმატოლოგიური პრობლემები, ჰორმონული ფონის დარღვევა, ისეთი ტოქსინების მომრავლება, რომლებსაც გენეტიკის შეცვლაც კი შეუძლიათ.**

**3.** შამპუნი აუცილებლად უნდა იყოს მოთავსებული დამცავ გარსში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარანტიას ვერავინ მოგცემთ, რომ შამპუნის შემადგენლობაში ჰაერი არ შესულა.

**4. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ საცავშია მოთავსებული შამპუნი. კატეგორიულად დაუშვებელია, ის მოთავსდეს რეზინის ან მძაფრი სუნის მქონე პლასტმასის ტუბში. შესანახად საუკეთესო საშუალებაა მინის ჭურჭელი, თუმცა, ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.**

თვისებები:

**1.** ნატურალური შამპუნი არასდროს გამოირჩევა უხვი ქაფით.

**2. არ აქვს მკვეთრი ფერი და სუნი.**

**3.** არ იწვევს კანის გამოშრობის განცდას.

# როგორ გავიკეთოთ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მასაჟი ყინულით?



***ყინულის მასაჟი ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად და ნაოჭების წინააღმდეგ საბრძოლველად რომ შესანიშნავი საშუალებაა, უძველესი დროიდან იცოდნენ ლამაზმანებმა. ყინულის კუბებით შეგვიძლია მასაჟი გავიკეთოთ როგორც სახეზე, ასევე კისრისა და დეკოლტეს მიდამოებშიც. ონკანის წყლის გარდა, რეკომენდებულია, კუბები მომზადდეს გაზგასული მინერალური ან ანადუღარი წყლისგან. ყველაზე კარგი კი ბალახეულისგან მომზადებული კუბებია.***

*ავიღოთ 1 ჩაის კოვზი რომელიმე მცენარე და დავასხათ 1 ჭიქა ანადუღარი წყალი. 30 წუთის შემდეგ ჩავასხათ ყინულისთვის განკუთვნილ ფორმებში და მოვათავსოთ საყინულეში.*

*მცენარეები, რომლებიც შეგვიძლია, ამ მიზნით გამოვიყენოთ: გვირილა, პიტნა, ოხრახუში, ორკბილა, კრაზანა, ცაცხვის ყვავილი, რომლებიც ნებისმიერი ტიპის კანისთვის სასარგებლოა. ნორმალური კანისთვის ასევე შეიძლება, გამოვიყენოთ კატაბალახა, ასფურცელა, ია, კამა; მშრალი კანისთვის — წითელი კენკრის ნახარში; ცხიმიანი კანისთვის — კალენდულა და შვიტა.*

# როგორ გავიკეთოთ სპა-პედიკიური სახლის პირობებში?

**თუ არ გაქვთ საშუალება, პედიკიურის გასაკეთებლად და სპა-პროცედურის ჩასატარებლად სალონს ეწვიოთ, ან, უბრალოდ, გეზარებათ, ამ ყველაფრის გაკეთება სახლშიც შეგიძლიათ.სპა-პედიკიურის პროცედურის დაწყებამდე მოიმარაგეთ საჭირო ნივთები, ინგრედიენტები და დაიწყეთ:**

**1.** ტაშტზე დაასხით 38 გრადუსამდე გამთბარი წყალი და ჩაყარეთ მასში ზღვის მარილი, შეგიძლიათ დაამატოთ სურნელოვანი ზეთიც. თუ ფეხები ძალიან დაღლილი გაქვთ, შეგიძლიათ წყალში ჩაყაროთ კენჭებიც, მათზე დადგომას მასაჟის ეფექტი ექნება.

**2.** კანის დალბობის შემდეგ ფეხი გაიმშრალეთ რბილი პირსახოცით და წაისვით სპეციალური სკრაბი. წრიული მოძრაობით დაიზილეთ ფეხები და ჩამოიბანეთ სკრაბი. ეს პროცედურა ორჯერ გაიმეორეთ.

**3.** ფრჩხილიდან ნუნების მოსაშორებლად, სასურველია, არ გამოიყენოთ მაკრატელი ან სხვა ბასრი საგანი. ნუნებისგან გათავისუფლება შეგიძლიათ სპეციალური ხსნარის მეშვეობით, რომელიც შეიცავს რძის ან ხილის მჟავას და სრულიად უმტკივნეულოდ აშორებს ნუნებს. პროცედურის დასრულების შემდეგ წაისვით ფეხზე სპეციალური ზეთი.

**4.** კარგად დაიზილეთ ფეხის ტერფი, თითები, ქუსლები, ადგილები, რომლებიც სიარულის დროს განსაკუთრებით იღლება.

**5.** პროცედურის დასრულების შემდეგ შეიზილეთ სპეციალური კრემი და დაიწყეთ ლაქის წასმა ფრჩხილებზე. ლაქის პირველი ფენის წასმის შემდეგ კარგად გააშრეთ და შემდეგ წაისვით მეორე ფენა, რომელიც ფრჩხილებს ბზინვარებას მისცემს.



# რომელი კოქტეილები დაგეხმარებათ წონის დაკლებაში?



**კოქტეილები, რომლებიც კალორიებს წვავს, წონის დაკლების შესანიშნავი საშუალებაა. ისინი აჩქარებენ მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლას), აქვეითებენ მადას და ადამიანის ორგანიზმს ვიტამინებითა და მინერალებით ამარაგებენ.**

## გთავაზობთ კოქტეილის რეცეპტებს, რომლებიც კალორიებს წვავს

### რეცეპტი №1

ლიმონისა და პიტნის კოქტეილი საუკეთესოა დღის დასაწყისში. გაგამხნევებთ, ენერგიით აგავსებთ და ჭარბი წონის შემცირებაში დაგეხმარებათ.

**ლიმონი** — 2 ნაჭერი
**პიტნა** — 7 ღერი
**კივი** — 1 ცალი
**ოხრახუში** — 7 ღერი
**წყალი** — 100 მილილიტრი
**თაფლი** — გემოვნების მიხედვით

**როგორ მოვამზადოთ:**

**1.** კივის კანი გააცალეთ და დაჭერით პატარ-პატარა ნაწილებად; ჩაყარეთ ბლენდერში.

**2.** კივის დაამატეთ ლიმონი, ოხრახუში, პიტნა, თაფლი, წყალი და კარგად აურიეთ.

**3.** კოქტეილი დალიეთ მომზადებისთანავე.

### რეცეპტი №2

ეგზოტიკური ხილის მოყვარულებს ძალიან მოეწონებათ ანანასისა და გრეიპფრუტის კოქტეილი. ეს პროდუქტები გოგრის თესლის მარცვლებთან ერთად საუკეთესოა ორგანიზმში ცხიმების დასაწვავად.







**გრეიპფრუტი** — 1/4
**ანანასი** — 5 ნაჭერი
**კეფირი** — 250 მილილიტრი
**გოგრის** თესლი — 30 გრ
**ქოქოსის** ზეთი — 30 მილილიტრი

როგორ მოვამზადოთ:

**1.** გრეიპფრუტი და ანანასი გაფცქვენით, დაჭერით პატარა ნაწილებად და მოათავსეთ ბლენდერში.

**2.** ხილს დაამატეთ კეფირი, გოგრის თესლი, ქოქოსის ზეთი და გულმოდგინედ აურიეთ.



### რეცეპტი №3

თუ გსურთ, რომ საქმეში მძიმე არტილერია ჩართოთ და სწრაფად დაიკლოთ, რამდენიმე დღის განმავლობაში სვით კეფირის, დარიჩინისა და პილპილის კოქტეილი, კეფირი აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობას, სანელებლები კი წვავენ კალორიებს.

**კეფირი** — 250 მილილიტრი
**წითელი პილპილი** — 1/4 ჩაის კოვზი
**კოჭა** — ნახევარი ჩაის კოვზი
**დარიჩინი** — ნახევარი ჩაის კოვზი

როგორ მოვამზადოთ:

**1.** ყველა ინგრედიენტი ბლენდერში ათქვიფეთ.

**2.** დალიეთ მომზადებისთანავე, უმჯობესია ძილის წინ.

### რეცეპტი №4

თუ დიეტის დაცვისას რაღაც ტკბილი მოგინდათ, მოიმზადეთ დესერტი, რომელიც თქვენს ფიგურას არ ავნებს, პირიქით, წონის დაკლებაში დაგეხმარებათ.

**წყალი** — 250 მილილიტრი
**თაფლი** — 1 ჩაის კოვზი
**ვაშლის ძმარი** — 1 ჩაის კოვზი
**დარიჩინი** — ნახევარი ჩაის კოვზი

როგორ მოვამზადოთ:

**1.** წყალი, თაფლი და ვაშლის ძმარი ერთმანეთში კარგად აურიეთ.

**2.** დაამატეთ დარიჩინი. ეს კოქტეილი დილაობით მიირთვით.

# 15 სასარგებლო რჩევა

**იმისათვის, რომ ჯანმრთელი იყოთ, უპირველესად, სწორად უნდა იკვებოთ. განსაკუთრებული ძალისხმევა არ დაგჭირდებათ, თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ!**

## რჩევა 1

იდეალური ვარიანტი — დღე ურძეო ფაფით ან „მიუსლით" დაიწყეთ. თუ საუზმედ მაინცდამაინც სახელდახელოდ შემწვარი ძეხვი გნებავთ, კი ბატონო, ოღონდ მჭლე ძეხვი და ცხიმის დაბალი შემცველობის მქონე პროდუქტები შეიძინეთ. და თუ საუზმე დიდად სასარგებლო არ გამოდგება, ამის კომპენსირება სამხარზე სცადეთ. მაგალითად:

**ა) პომიდვრის წვენი, „მიუსლი" ცხიმგაცლილი რძით, ბანანი;**

**ბ) ფორთოხლის წვენი, ტოსტი ლორის ნაჭრითა და პომიდვრით.**

## რჩევა 2

**ყოველ დილით მიირთვით ერთი ჭიქა ხილის ან ბოსტნეულის წვენი. პატარა ჭიქაც კი იმ ხილისა და ბოსტნეულის მეხუთედად ჩაგეთვლებათ, რომელიც ყოველდღე უნდა მიიღოთ.**

## რჩევა 3

ალკოჰოლი მავნებელი მხოლოდ ალკოჰოლიკებისთვის არის! სარწმუნო მეცნიერული მონაცემები მოწმობს: ადამიანები, რომლებიც ზომიერად სვამენ, ნაკლებად არიან მიდრეკილი გულის დაავადებისადმი და იმათზე მეტხანს ცოცხლობენ, ვინც საერთოდ არ სვამს. მაგრამ აუცილებელია კვირაში, სულ ცოტა, ორი უალკოჰოლო, განტვირთვის დღე.

## რჩევა 4

**შეადგინეთ კვირის მენიუ. უქმე დღეებში რამდენიმე წუთი დახარჯეთ და ყველაფერი ჩაიწერეთ, რის მირთმევასაც მომდევნო შვიდ დღეში აპირებთ. კვირის დაგეგმვა უფრო დაბალანსებულ კვებაში დაგეხმარებათ, შეგიძლიათ, ყველა პროდუქტი ერთად შეიძინოთ. კვირის დაგეგმვა მოდუნების და გზიდან გადახვევის საშუალებას არ მოგცემთ.**

## რჩევა 5

ჯანსაღი კვების სპეციალისტები გირჩევენ, ყოველდღიურად, სულ ცოტა, ექვსი-რვა ჭიქა წყალი დალიოთ. დაიმახსოვრეთ — სწორედ წყალი და არა ყავა, კაკაო ან ჩაი. სცადეთ და მყისვე შეამჩნევთ, როგორ შეიცვლება თქვენი კანის ფერი და მდგომარეობა. ერთი ჭიქა წყალი გაღვიძებისთანავე უნდა დალიოთ და თითო ჭიქა — ჭამის წინ.

**შარდის ფერით ადვილად განსაზღვრავთ, საკმარისი რაოდენობის წყალს იღებთ თუ არა. მუქი ყვითელი ფერი მოწმობს, რომ მეტი წყალი გჭირდებათ, ხოლო თუ შარდი უბრალო წყალს წააგავს — მეტისმეტი მოგსვლიათ.**



## რჩევა 6

სადაც კი შესაძლებელი იქნება, კერძებს ზედმეტი ცხიმი მოაცილეთ. მსუქანი ხორცისაგან დამზადებული წვნიანი ან ბულიონი შეიძლება მაცივარში შედგათ, მერე კი გაყინული ცხიმი მოაშოროთ, სოუსიდან ცხიმის მოსაცილებლად ცხელ კერძში ერთი-ორი ნატეხი ყინული ჩააგდეთ. ცხიმი ყინულის გარშემო მოგროვდება და მას ადვილად მოაშორებთ.



## რჩევა 7

თუ შემწვარი კარტოფილი გიყვართ, ძალიან თხლად დაჭერით. 150 გრამი სიფრიფანა ჩიპსი დაახლოებით 351 კალორიას და 15 გრ ცხიმს შეიცავს. ამავე რაოდენობის სქლად დაჭრილ კარტოფილში კი ორჯერ მეტი ცხიმი და ზედმეტი 195 კალორიაა.

**ვიდრე დაჭრილ კარტოფილს ტაფაზე დაყრიდეთ, დარწმუნდით, რომ ცხიმი კარგად გაცხელდა, მაღალ ტემპერატურაზე კარტოფილის ზედაპირი „ილუქება" და შიგნით ნაკლებ ცხიმს შეიწოვს.**

## რჩევა 8

სცადეთ, კანფეტები ჩირით ან თხილით შეცვალოთ. თქვენი გემოვნებით შეადგინეთ ქიშმიშის, გარგრის ჩირის, თხილის, არაქისის ნარევი.

## რჩევა 9

ბოსტნეულს დიდხანს ნუ ხარშავთ. ზედმეტად მოხარშულ სტაფილოში, ჭარხალსა თუ კომბოსტოში B და C ვიტამინები იშლება. ყველაზე ჯანსაღი მეთოდი ბოსტნეულის ორთქლსაბუღში მომზადებაა.

## რჩევა 10

**გემრიელ სასუსნავს გამოსაჩენ ადგილზე ნუ დატოვებთ. შეინახეთ კანფეტები და ნამცხვარი. გაცილებით ადვილია უარის თქმა იმაზე, რასაც ვერ ხედავთ.**

## რჩევა 11

გინდათ, დარწმუნდეთ, რომ თქვენმა ორგანიზმმა საკმარისი რაოდენობის ვიტამინები მიიღო? იზრუნეთ, რომ თქვენს რაციონში ყველა შესაძლო ფერის ხილი და ბოსტნეული შედიოდეს — წითელიც, მწვანეც, ნარინჯისფერიც. ასეთი მრავალფეროვნება ყველა იმ ნივთიერებით უზრუნველგყოფთ, რომლებიც კიბოს, გულის დაავადების, კატარაქტისა და სხვა სნეულებებისაგან დაგიცავთ.

## რჩევა 12

თუ ტკბილეულზე უარს ვერ ამბობთ, ნატურალური შაქრის ნაცვლად ფრუქტოზა გამოიყენეთ. ის ჩვეულებრივ შაქარზე ერთნახევარჯერ ტკბილია, ამიტომ ნაკლები დაგჭირდებათ. ფრუქტოზა გაცილებით ნელა შეიწოვება სისხლში და მასში შაქრის დონის მკვეთრ ცვლილებებს არ იწვევს.

## რჩევა 13

სცადეთ, რაც შეიძლება მრავალფეროვნად იკვებოთ და ერთი კერძი დღეში მხოლოდ ერთხელ მიირთვათ. უცხოელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ დღეში სასურველია 30 სხვადასხვა სახეობის საკვების მიღება (?!)

## რჩევა 14

**შეიძინეთ დაღერღილი მარცვლის პური. თუ ასეთ პურს დღეში სამჯერ მიირთმევთ, გულის დაავადებათა რისკი სამჯერ შემცირდება, ნაკლები იქნება ინფარქტისა და დიაბეტის საშიშროებაც.**



## რჩევა 15

ყოველდღე მიირთვით თითო კოვზი თაფლი. ის ხელს უწყობს ნივთიერებათა ნორმალური ცვლისთვის აუცილებელი კალციუმის ათვისებას. ჭამიდან 20 წუთის შემდეგ დღეში ერთი კოვზი თაფლის მიღება სისხლში კალციუმის იონების ოპტიმალურ კონცენტრაციას უზრუნველყოფს, რომელიც მთელი დღე-ღამე შენარჩუნდება.

**როგორ მოვუაროთ ავეჯს?** სახეშეცვლილი მოწნული ავეჯი განახლდება და მიმზიდველი გახდება, თუ ჯერ ოლიფით დაფარავთ, შემდეგ კი უფერულ ლაქს გადაუსვამთ.

**როგორ გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე ყვავილებს? შეგიძლიათ, ყვავილები ადრესატთან მიტანამდე ერთი კვირით ადრე იყიდოთ. მაცივარი მას დაჭკნობის საშუალებას არ მისცემს. ყვავილის ღეროები დაასველეთ წყალში და სასურველ სიმაღლეზე მჭრელი დანით ცერად გადაჭერით, თაიგული ჩადეთ ოთახის ტემპერატურის წყალში 2 საათის განმავლობაში. შემდეგ ყვავილები გაზეთის ქაღალდში გაახვიეთ და მაცივრის ქვედა თაროზე შეინახეთ. გაზეთის ქაღალდი ჰაერის ცვლას ხელს არ შეუშლის, ტენის აორთქლებას კი შეამცირებს.**

**როგორ მოვსპოთ პარკეტის ჭრაჭუნი?** უფრო ხშირად ჭრაჭუნი მიანიშნებს, რომ იატაკი და ავეჯი სიმშრალისგან სკდება. ამისგან გათავისუფლებაში ჩვეულებრივი ტალკი დაგეხმარებათ. ის შეამცირებს დეტალებს შორის ხახუნს, რაც უსიამოვნო ბგერების წყაროს წარმოადგენს. ტალკი რეზინის საშხეფში ჩაყარეთ და ავეჯის შენაწევრების ადგილებსა და პარკეტის ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებში ჩააფრქვიეთ. ტალკის ნარჩენი სველი ჩვრით მოაცილეთ.

**როგორ გავრეცხოთ ხალიჩა? ხალიჩა შეგიძლიათ, ასე გაწმინდოთ: მოაბნიეთ მასზე წმინდა მარილი და დაგავეთ წულისა და რომელიმე უნივერსალური სარეცხი საშუალების ნარევში წინასწარ გამოხარშული ცოცხით (ნახევარი ჩაის კოვზი ერთ ლიტრ წყალზე).**

**როგორ გავასუფთაოთ გაზქურა?** გაჭუჭყიანებული გაზქურა იოლად გაიწმინდება და კერძის მიმწვარი ნარჩენები უმალ მოსცილდება, თუ მოაფრქვევთ საჭმელ სოდას, ადუღებულ წყალს დაასხამთ და ცოტა ხანს გააჩერებთ.

**როგორ გავწმინდოთ ჭალი? ბროლის ჭალი კარგად იწმინდება არაყში ან სპირტში დასველებული ჩვრით. წვრილყელიანი მინის ჭურჭლის გარეცხვა არ გაგიჭირდებათ, თუ ჩაფშვნით წყალში კვერცხის ნაჭუჭს, ჩაყრით გაზეთის დანაკუწებულ ქაღალდს ან კარტოფილის ნაფცქვენებს.**





წიწილას შეწვა იოლი ნუ გგონიათ, ხშირად ფერს იცვლის და კანის სითეთრეს არ ინარჩუნებს. ამის თავიდან ასაცილებლად წინასწარ წაუსვით ლიმონის წვენი ან წყალში გარეული ლიმონმჟავა.

**ხორცი შეიწვა თუ არა? — ცნობისმოყვარეობას დეგუსტაციით ნუ დაიკმაყოფილებთ. ხორცს კოვზი დააჭირეთ და თუ მასზე ღრმული არ გაჩნდა — მზად არის!**

ჩვეულებრივი სამედიცინო შპრიცი კარგია ელექტროხელსაწყოების დასაზეთად. ნემსის წვერით ნებისმიერ ადგილს იოლად მიუდგებით.

**ვისაც კბილის ტკივილი ერთხელ მაინც გამოუცდია, შინ უთუოდ უნდა ჰქონდეს ვალიდოლი, ნოშპა, ღორის ქონი ან მრავალძარღვას ფოთოლი. აქედან ერთ-ერთს თუ მტკივანი კბილის ღრძილზე დაიდებთ, ტკივილი უთუოდ დაგიყუჩდებათ.**

ზოგიერთი დიასახლისი პარკეტზე ლაქის წასმას მასტიკას ამჯობინებს, რომლის მოვლა ძალზე შრომატევადია. თუმცა, არის გამოსავალი. პარკეტი იოლად იწმინდება ცხელ წყალში დასველებული, მაგრამ გაწურული ტილოთი და მას მასტიკის წაუსმელად აპრიალებენ. ზომაზე მეტად გაჭუჭყიანებულ პარკეტს კი ჩაიდნიდან ქაფქაფა წყალი უნდა დაასხათ და მშრალი ტილოთი მაშინვე გაწმინდოთ, მასტიკა გაშრობის შემდეგ გადაუსვით.

**კაპრონის ან ნეილონის ფარდების დაუთოება არ დაგჭირდებათ, თუ მათ აკურატულად დაკეცილს მოათავსებთ სარეცხის ფხვნილიან წყალში და გაუწურავად გააშრობთ. შეგიძლიათ, ნახევრად შემშრალი, ტენიანი ფარდა დაკიდოთ თავის ადგილზე, რომელიც გაშრობის შემდეგ ფორმას შეინარჩუნებს.**

ჩრჩილს ნაფტალინი აღარ აშინებს, მაგრამ გახსოვდეთ, ჯერჯერობით „ვერ ეგუება" ფორთოხლის კანს, საპონს, თამბაქოსა და კაკლის ფოთლებს. მათი მოთავსება შეგიძლიათ ტანსაცმლის ჯიბეებშიც.

**დასვენების დღეს, დილით, ტერფებზე წამოიცვით არაყში ოდნავ დასველებული ცელოფნის პარკი, მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ, მშვიდად აკეთოთ საოჯახო საქმე. საღამომდე ნუნები დარბილდება ისე, რომ სოდიან წყალში ჩალბობით დროის დაკარგვა არ მოგიწევთ და პედიკიურის გაკეთება გაგიიოლდებათ.**

ლობიო, ფქვილი, ბურღული კარგად ინახება, თუ მინის ქილებში მოათავსებთ და ნიორს ჩააწყობთ.

**წიგნის ფურცლებიდან ცხიმის ლაქას ასე ამოიყვანთ: დააყარეთ დანაყილი ცარცი, დააფარეთ სუფთა ქაღალდი და ცხელი უთოთი დააუთოეთ.**

ცხვირიდან სისხლი წაგსკდათ და შეჩერებას ვეღარ ახერხებთ? სასწრაფოდ აიღეთ სახლის გასაღები, გამოაბით ძაფი, კისერზე ჩამოიკიდეთ ისე, რომ გასაღები უკან, ბეჭებშუა მოექცეს. ცივი ლითონის შეხებიდან რამდენიმე წამში სისხლდენა შეჩერდება.

**თერმოსის საცობს ცხელი წყლის ორთქლი მალე აფუჭებს. შოკოლადის ფილას რომ გახსნით, ფოლგა არ გადააგდოთ, თერმოსის საცობს ერთ ფენად შემოახვიეთ და უფრო დიდხანს გაძლებს.**

სამზარეულოში ბოსტნეულისა და ხორცის დასამუშავებელი ფიცრის ზედაპირს (დაფას), როცა დიდი ხნის ხმარების შემდეგ დანით დაისერება, გადაუსვით ზუმფარას ქაღალდი. თუ გაიღუნა, ამის გამოსწორებაც შეიძლება: ფიცარი ორ სველ ტილოს შორის მოათავსეთ და დაწნეხეთ. 12 საათში გასწორდება.

**კარადების, საწერი მაგიდების უჯრები იჭედება და მის გაღებას დიდ დროს ანდომებთ? თავისუფლად რომ იმოძრაოს და უსიამოვნება თავიდან აიცილოთ, სასრიალო ფიცარზე საპონი ან პარაფინი წაუსვით.**

ავტოკალმის სათადარიგო ღეროებში პასტა რომ არ გაშრეს, სინჯარაში ჩააწყვეთ ეს ღეროები და საცობით მჭიდროდ დახურეთ.





# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია, მეგობრობა და ზოდიაქოს ნიშნები

*— რომელი ასტროლოგიური სახლი განაგებს ანდა რომელი პლანეტა მართავს მეგობრობასა და მეგობრულ ურთიერთობას? რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდეს და რა შეიმჩნევა ბოლო ხანებში? როგორი მეგობრობა იციან ვერძის ნიშნით დაბადებულებმა? როგორ იქცევიან რთულ სიტუაციაში და რა შეიძლება გაითვალისწინონ მეგობრის შერჩევისას? ურთიერთგაგების, საერთო ინტერესებისა თუ დროს ტარების თვალსაზრისით, რომელი სტიქიის ნიშნის წარმომადგენლები შეეფერებათ? რას ვერ შეეგუებიან და, პერიოდულად, ფეთქებადი ხასიათისა და ცეცხლოვანი ენერგიის გასანეიტრალებლად გვერდით როგორი ადამიანი ესაჭიროებათ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც არაერთხელ აღნიშნეთ, ასტროლოგია ასახავს ადამიანის ცხოვრების მრავალფეროვნებას და ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მათ შორის, ურთიერთობას. კერძოდ, რომელი მონაცემი მიუთითებს პირად ჰოროსკოპში ურთიერთობის რაობაზე?**

— გამომდინარე ურთიერთობის ხასიათიდან, შეგვიძლია, დავასახელოთ რამდენიმე ასტროლოგიური სახლი. ასე, მაგალითად: **მესამე სახლი მიგვითითებს დედმამიშვილებთან, მეზობლებთან, კლასელებთან, ნაცნობებთან ურთიერთობაზე. მეოთხე სახლი — მშობლებთან, ნათესავებთან ურთიერთობაზე. მეხუთე სახლი — შვილებთან, შეყვარებულთან ურთიერთობაზე და ა.შ.**

**— მეგობრებთან ურთიერთობას რომელი ასტროლოგიური სახლი განაგებს?**

— **მეგობრობასა და მეგობრებს მეთერთმეტე სახლი განაგებს, რომელსაც შეესაბამება მერწყულის ზოდიაქო. მმართველად კი მიიჩნევა თავისუფლების მოყვარული, მეამბოხე და ნოვატორი პლანეტა ურანი.** დღეს სწორედ მეგობრულ ურთიერთობაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. ბრძენს უთქვამს: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ". და, ჭეშმარიტად, მეგობრები ხშირად ასახავენ ერთურთს, ერთმანეთის ცხოვრების წესს, ზნეს, სტილს, ინტერესს და ა.შ. ადამიანებმა რომ იმეგობრონ, მათ არამარტო ამის სურვილი უნდა გააჩნდეთ, არამედ მსგავსი ხასიათი, ძლიერი ურთიერთგაგება, ერთმანეთის ნდობა უნდა ჰქონდეთ. ამის გარეშე წარმოუდგენელია წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა. ამგვარი ადამიანის პოვნა კი სულაც არ არის მარტივი. გასათვალისწინებელი გახლავთ ის ფაქტიც, რომ ბოლო ხანებში, სტატისტიკის თანახმად, **მომრავლდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც მეგობრები არ ჰყავთ, სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია უჭირთ და ამის გამო ხშირად ფსიქოლოგს მიმართავენ.** მოგეხსენებათ, მეგობრებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. განსაკუთრებით, მოზარდისთვის, გარდამავალ ასაკში ადამიანის ევოლუცირება-დეგრადირებაც ხშირად დიდწილად მეგობრებზეა დამოკიდებული. ამ საკითხს დეტალურად მომავალში შევეხებით. დღეს კი ვისაუბრებთ იმაზე, თუ ზოგადად ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენლები როგორი მეგობრები არიან და რა ესაჭიროებათ მათ მჭიდრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ტრადიციისამებრ, ვერძის ნიშნით დაბადებულით დავიწყოთ. **1. ვერძთა უმეტესობა კავშირებს ადვილად ამყარებს. იგი სამუდამოდ ირჩევს მეგობრებს და მთელი სიცოცხლე მათთან მეგობრობს. ამ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლებმა მეგობრობაც იციან, ერთგულებაც და მეგობარს მალევე ეჩვევიან და დაშორებასაც მძიმედ განიცდიან. ვერძი** (ტიპური) ზომიერად ცნობისმოყვარეა და მეგობრისგან სრულ გულახდილობას არ ითხოვს და არც აპირებს მისი საიდუმლოებების გამოძიებას. ეს მისთვის არ არის ნდობის ტოლფასი. **ვერძი,** როგორც წესი, მუდმივად რაღაც იდეით არის შეპყრობილი და მის განსახორციელებლად გარისკვაზე უარს არ ამბობს, ამიტომ ირჩევს ისეთ მეგობარს, რომელიც ამ მხრივ გამოადგება კიდეც. თავად დახმარებაზე უარს არ ამბობს, რთულ სიტუაციაში გვერდით დაგიდგებათ. **ურთიერთგაგების საერთო ინტერესების თუ ერთად დროს ტარების თვალსაზრისით კი სამეგობროდ ყველაზე მეტად შეესაბამება ცეცხლის სტიქიის ნიშნის წარმომადგენლები — ლომი და მშვილდოსანი.** ასევე **ჰაერის სტიქიის ტყუპი და მერწყული.** თუმცა, ნიშანდობლივია ისიც, რომ **ვერძი** საკმაოდ ეჭვიანი და ეგოისტია. გარდა ამისა, შესაძლოა, იოლად განაწყენდეს და თავად გაწყვიტოს ურთიერთობა. **ის ვერ შეეგუება მეორე ადგილზე ყოფნას, მუდამ პირველი უნდა იყოს და მეგობრებს უხელმძღვანელოს. მაგრამ პერიოდულად გვერდით ესაჭიროება მშვიდი და სტაბილური ადამიანები, რომლებიც ცოტათი მაინც დაამუხრუჭებენ და დაასტაბილურებენ მის ფეთქებად ხასიათს, იმპულსურობას და გაანეიტრალებენ ცეცხლოვან ენერგიას. ვერძს სჭირდება მეგობრები, რომლებთან საუბრის დროსაც თავისუფლად იგობოქრებს, დაგროვილ ბოლს გამოუშვებს და ემოციებისგან დაიცლება. ასეთად კი, შესაძლოა, მიწის სტიქიის ნიშნების (კურო, ქალწული, თხის რქა) წარმომადგენელი მოიაზრებოდეს.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 6-12 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ეცადეთ, საეჭვო ადამიანებს მოერიდოთ, რათა პროვოკაციის ან კონფლიქტის მონაწილე არ გახდეთ. შორეული გეგმების განსახორციელებლად, შესაძლოა, დამატებითი ცოდნის მიღება ან სანაცნობო წრის გაფართოება გახდეს საჭირო. გადაღლას ერიდეთ, რადგან ავად გახდომის ალბათობა არსებობს. მოგზაურობა-მივლინებების რაოდენობა შეამცირეთ. დრო ხელს არ უწყობს დიდ შენაძენს. სასიყვარულო ურთიერთობა კი მეტად რომანტიკულად განვითარდება.**

**კურო** (21.04-20.05)
**ინტელექტუალური აქტიურობა იმატებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლას, გამოცდების ჩაბარებას და ახალი ინფორმაციის ათვისებას. დახმარებისთვის ახლო ნათესავებს მიმართეთ, ენერგიის გაზრდა დიდი რაოდენობით სამუშაოს შესრულებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასა და ოჯახთან დაკავშირებული საქმეებისთვის. მოუცლელობა შესაძლოა, შეყვარებულის ეჭვიანობის საბაბი გახდეს.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**საქმიან პარტნიორებთან უთანხმოება მცდარი მიზნებისა და შეხედულებების ბრალი იქნება. პირად საქმეში დახმარებას ახლო ნათესავები და ოჯახის წევრები გაგიწევენ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან გაუგებრობისას უხეში ნუ იქნებით და ეცადეთ, კრიზისიდან დროულად გამოსვლის გზა მოიძიოთ. მჭრელი საქნებისა და ტექნიკის გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ, რათა არ დაშავდეთ. მოგზაურობა კი გადადეთ, რადგან ენერგია იწყებს კლებას.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ფინანსური მდგომარეობა თქვენი უნარისა და საქმიანობის სწორ დემონსტრირებაზე იქნება დამოკიდებული. ოჯახში უფროსი თაობის წარმომადგენლებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. მათ შესაძლოა, თქვენი დახმარება დასჭირდეთ. ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ, რადგან მაღალია გაცივებისა და ვირუსით დასნებოვნების ალბათობა. ნებისმიერი ვიზიტი და მივლინება კი სასიკეთოდ ჩაივლის. მიუხედავად ამისა, ეს კვირა არახელსაყრელია შორეული მოგზაურობისთვის და ახალი ცოდნის ასათვისებლად.**

**ლომი** (23.07-23.08)
**სამსახურში ინტრიგების შემთხვევაში ინტუიციას მოუსმინეთ. შესაძლოა, საქმიანი კავშირების გაწყვეტა მოგიწიოთ, რაც ნერვიული აშლილობის მიზეზად იქცევა. შესაძლოა, ასევე მოინდომოთ ყოველივე ძველის დანგრევა და ახალი კავშირების დამყარება, მათ შორის, სასიყვარულო სფეროშიც. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკური დატვირთვა არ არის რეკომენდებული. შორეული მოგზაურობა იქნება დამღლელი და ვერც სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**პრობლემების სიუხვის მიუხედავად, ეცადეთ, ეს პერიოდი გამოიყენოთ არამარტო საქმისთვის, არამედ დასვენებისთვისაც. რთული საკითხების განხილვასა და პროტესტს მოერიდეთ. შეყვარებულმა, შესაძლოა, პრეტენზიები წამოაყენოს, რომელთა დარეგულირებაშიც მეგობრები დაგეხმარებიან. შორეული მოგზაურობა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, თუმცა, დრო ხელს შეუწყობს მიმოწერასა და კავშირების გამყარებას.**

## 6-12 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ემოციურობა დაიოკეთ, რადგან კონფლიქტები პირად ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედებს. ფარული საქმიანობა, მოლაპარაკებანი და გარიგება ნაკლებად წარმატებული იქნება. მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ზღვარგადასულ დროს ტარებასა და არაჯანსაღ ცხოვრებას მოერიდეთ და სახლში მეტი დრო დაჰყავით, რათა ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ. კარგი იქნება, თუ ქალაქიდან რამდენიმე დღით გაემგზავრებით და დაისვენებთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ყველა ჩანაფიქრს ჯერ ვერ განახორციელებთ გარკვეული პრობლემების გამო. არახელსაყრელი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად. სამაგიეროდ, კარგ შედეგს მოგიტანთ ცოდნის გაღრმავება, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი ინფორმაციის დამუშავება. რეფორმატორული იდეები და ორგანიზატორული უნარი ხელმძღვანელ პირთა მხრიდან სათანადოდ დაგიფასდებათ. პირად ურთიერთობებსა და ჯანმრთელობას კი მეტი ყურადღება მიაქციეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**საქმეში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ინტუიცია და საღი აზროვნება დაგეხმარებათ. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობას ნუ მიიღებთ და ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების რისკიც მინიმუმამდე შეამცირეთ. ძალთა ნაკლებობის გამო პარტნიორებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაგიჭირდებათ და განმარტოების სურვილი გაგიჩნდებათ. ეცადეთ, გზებზე ნელა იმოძრაოთ, რათა საკუთარ ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნათ. ხშირად დაისვენეთ და ბევრი იძინეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**სხვა ადამიანებსა და გარემოებაზე დამოკიდებულება დროებით თქვენს თავდაჯერებულობას შეარყევს. საქმეში ინტუიციას დაეყრდენით, ნუ დაუჯერებთ გარშემო მყოფებს და ნუ აიღებთ კრედიტს. ოჯახური თუ სასიყვარულო კონფლიქტთა დაძლევაში ახლობელთა რჩევები დაგეხმარებათ. ხშირად დაისვენეთ. ეცადეთ, გონება არ გადაღალოთ და ჯანმრთელობას არ ავნოთ. შორეული მოგზაურობისთვის არახელსაყრელი პერიოდია, რადგან უეცარი პრობლემები იჩენს თავს.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ფინანსებთან დაკავშირებული საქმეები დადებითად გადაწყდება, თუმცა, თანამშრომლებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. განსაკუთრებით თავი შეიკავეთ ჭორის გავრცელებისა და სხვისი კრიტიკისაგან. მეუღლესთან ან შეყვარებულთან, შესაძლოა, იკამათოთ ტყუილის ან ეჭვიანობის გამო. სხვა ქალაქში გამგზავრებისას კი საბუთები წესრიგში იქონიეთ და ყველასა და ყველაფრის მიმართ ყურადღებით იყავით.**

**თევზები** (19.02-20.03)
**საქმეთა სიუხვის გამო მეუღლესთან, შვილებთან ანდა შეყვარებულთან ურთიერთობისთვის ცოტა დრო დაგრჩებათ. სამაგიეროდ, ფარული მტრების მიზნებს იოლად ამოიცნობთ და თქვენს მომავალს სასიკეთოდ შეცვლით. კარგი პერიოდია საქმიანი კავშირების დასამყარებლად, მაგრამ გარისკვასა და ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ და მელანქოლიას ნუ მიეცემით, რათა კარგი განწყობა და ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 6, 7, 9, 11 და 12 მარტი

**7 მარტი – სავსემთვარეობა,**
**პიკი – 16.43 საათზე;**
**21 მარტი – ახალმთვარეობა,**
**პიკი – 21.27 საათზე;**
**გაზაფხულის ბუნიობა და დღეღამტოლობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 6 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში, ამოდის 07.29 საათზე, ჩადის 18.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.47) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 17.50 საათზე, ჩადის 7 მარტს 07.19 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.51 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.18 საათიდან 07.47 საათამდე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** თავდაჯერებულობა გამოავლინეთ! ემოციები გააკონტროლეთ, პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის დღეა! წვრილმანზე დროსა და ენერგიას ნუ დახარჯავთ. სიტყვები აკონტროლეთ. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, დიეტის დასაწყებად, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ქიმწმენდისთვის, მიწათმოქმედებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, გამოცდის ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედებანი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, ოპალი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 7 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.27 საათზე, ჩადის 18.58 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 18.53 საათზე, ჩადის 8 მარტს 07.42 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.09 საათზე. **სავსემთვარეობაა, პიკი** — 16.43 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: სავსემთვარეობა** განაპირობებს აგრესია-დეპრესიის, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, პედანტურობისა და ტყუილებისკენ მიდრეკილების მაღალ ალბათობას, რაც ყველასგან ითხოვს სიფრთხილეს, წინდახედულობას, ემოციების კონტროლს. დღე მშვიდად გაატარეთ! სასიკეთოა ლოცვა, მიტევება, შენდობა, სახლში სანთელ-საკმევლის შემოტარება. უმჯობესია, მნიშვნელოვანი საქმეები გადადოთ. არ არის სასურველი ქორწინება, ფულის სესხება-გასესხება, სარისკო ქმედება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** გიშერი, მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 8 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 18.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.46) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 19.56 საათზე, ჩადის 9 მარტს 08.02 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 20.26 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.07 საათიდან 18.44 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დიდი კოსმოსური მასწავლებელი, პლანეტა სატურნი გადაინაცვლებს თითქმის 3 წლით თევზების ზოდიაქოში და უფრო მეტად მოგვთხოვს სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბებას, განვითარებას, ადათ-წესების, ტრადიციულობისა და რეფორმების ჰარმონიულ შერწყმას. ამ პერიოდში განსაკუთრებით დასჯადი იქნება უფლისა და რწმენის საწინააღმდეგო მოქმედებანი, ლოთობა და ნარკომანია. იგი აძლიერებს უმაღლესი იდეალების მიმართ რწმენას. დღეს შესაძლებელი იქნება რთული საკითხების გადაჭრა, ურთიერთობის დალაგება. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, არომათერაპიისთვის, კბილების მკურნალობისა და თირკმლების მერიდიანზე წერტილოვანი მასაჟისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 9 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.24 საათზე, ჩადის 19.00 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 20.59 საათზე, ჩადის 10 მარტს 08.22 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 21.45 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ნურაფერს დაგეგმავთ, თავისუფალი გრაფიკით იმოქმედეთ. ურთიერთობისას მაღალია გაუგებრობების ალბათობა. სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია. აგრესიული ნუ იქნებით, ყველა საკითხი მშვიდობიანად, კომპრომისის დაშვებით გადაწყვიტეთ. კარგი დღეა ყოველდღიური, ინტენსიური შრომისთვის, შემოქმედებისთვის, ცეკვისთვის, ქორწინებისთვის, მასაჟისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის, ალერგიული პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 10 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 19.01 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 22.05 საათზე, ჩადის 11 მარტს 08.42 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.06 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ყველა საკითხი მშვიდობიანად, კომპრომისის გზით მოაგვარეთ. მოერიდეთ ინტრიგებს, სხვისთვის თქვენი აზრების თავზე მოხვევას ანდა სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ხელის სათხოვნელად, ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, შემოქმედებისთვის, თანამშრომლობისთვის, ხელოვნების ნიმუშების, მუსიკალური აპარატურის, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, კბილების სამკურნალოდ, თირკმლების მერიდიანსა და ტერფებზე წერტილოვანი მასაჟისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვს, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 11 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.20 საათზე, ჩადის 19.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.02) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 23.13 საათზე, ჩადის 09.04 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.31 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.36 საათიდან 04.06 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ამ დღეებში ორგანიზმში წარმოქმნილი ანთებითი პროცესი ინფექციური ელფერის მატარებელი იქნება. მოერიდეთ ილუზიებსა და ცდუნებებს. ყოველდღიური საქმით შემოიფარგლეთ. არ არის სასურველი სხივური თერაპია, რენტგენი, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სადაზღვევო სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან ურთიერთობა. იმატებს განაწყენება, სიჯიუტე, სარკაზმი, ეჭვიანობა. კარგია დაცვითი, სასიგნალო სისტემების დაყენება, სამეცნიერო კვლევა, მასაჟი, კოსმეტიკური პროცედურები, რეცხვა, ქიმწმენდა, ავტომობილის შეძენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ონიქსი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 12 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 19.04 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 13 მარტს 09.29 საათზე (მთვარის მე-20 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სიფრთხილე გმართებთ, ნუ გადაიღლებით, სველ ზედაპირზე ყურადღებით იყავით. იმატებს ეჭვიანობა, სარკაზმი, უნდობლობა, სიჯიუტე, წყენა. შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე პრობლემა წარმოიშვას, მოთმინება გამოიჩინეთ და ისე გადაწყვიტეთ. არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, ნასვამ ადამიანებთან ურთიერთობა, მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება. კარგი დღეა კომპეტენტურობის გამოსავლენად, რეცხვისთვის, ტექნიკური მოწყობილობებისა და ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, სამღებრო სამუშაოებისთვის. მეტი იმოძრავეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



7 მარტი – ხსენება წმიდათა მოწამეთა ცხრათა ყრმათა კოლაელთა

**6 მარტი. ორშაბათი.** ღირსისა **ტიმოთე სიმვოლელისა; ევსტათისი, ანტიოქიელი** მთავარეპისკოპოსისა; **გიორგისი,** ამასტრიდელი ეპისკოპოსისა; **იოანე სქოლასტიკოსისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; ნეტარისა **ზაქარიასი,** იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსთა **ანდრიასი** და **ანატოლისა,** იერუსალიმელთა; **მაქსიმიანოსისა,** რავენელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **7 მარტი. სამშაბათი. წმიდათა მოწამეთა ცხრათა ყრმათა კოლაელთა;** პოვნა წმიდათა ნაწილთა ევგენიელ მოწამეთა: **მოციქულისა, 70-თაგანისა ანდრონიკესი, იუნიასი** და სხვათა; მოწამეთა **მავრიკისა** და 70-თა მხედართა: **ფოტინისი, თეოდორესი, ფილიპესი** და სხვათა.

✝ **8 მარტი. ოთხშაბათი.** მღვდელმოწამისა **პოლიკარპესი,** ზმირნელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: **იოანესი, ანტიოქესი, ანტონინესი** და **მოსესი;** ღირსთა: **ზევინისი, პოლიქრონისა, მოსესი** და **დამიანესი,** სირიელ მეუდაბნოეთა; ღირსისა **ალექსანდრე** მონაზონისა, „მღვიძარეთა“ სავანის წინამძღვრისა.

✝ **9 მარტი. ხუთშაბათი.** წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა **იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად და მეორედ პოვნა;** ღირსისა **იოანე მომკელისა,** კალაბრიელისა; ღირსისა **ბოიზილ შოტლანდიელისა;** წმიდისა **ეთელბერტისა,** ინგლისის მეფისა.

✝ **10 მარტი. პარასკევი. ტარასისა,** კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა **ალექსანდრესი,** რომელი იწამა დლიზიპარს თრაკიისასა; მოწამისა **აბდალმესია ჰურიისა;** მღვდელმოწამისა **რიგინისა,** სკოპელოსის ეპისკოპოსისა; მოწამისა **ანტონისა;** ნეტარისა **თეოდორე სალოსისა.**

✝ **11 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. პორფირისა,** ღაზელი მთავარეპისკოპოსისა; დიდმოწამისა **ფოტინე სამარიტელისა** და მისთანა მოწამეთა: **ბიქტორისა, იოსესი, ანატოლიასი, ფოტოსი, ფოტიდესი, პარასკევასი, კვირიაკიასი, დომნინასი, სებასტიანესი** და **ქრისტოდულესი;** მოწამისა **თეოკლიტე** მეწამლისა; ხსენება **იოანე ოქროპირის** ხუცესად ხელდასხმისა; წმიდისა **ნიკოლოზ კატოპინელისა;** ახალმოწამე **იოანე კალფასი,** კონსტანტინოპოლელისა.

✝ **12 მარტი. კვირა.** წმიდა **გრიგოლ პალამასი,** თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა; კრება ყოველთა ღირსთა მამათა, კიევის ქვაბთა შინა დავანებულთა; ღირსისა **პროკოპი დეკაპოლელისა,** აღმსარებელისა.


გთავაზობთ მკურნალობას 100-პროცენტიანი შედეგით ხანმოკლე დროში:

წამლები მზადდება ფუტკრის პროდუქტებით ინდივიდუალურად.

კუჭ-ნაწლავის წყლულები და ეროზიები ნებისმიერი სირთულის, ბუასილი, ფალარათი, ქოლეცისტიტი, შებერილობა, პირიდან სუნი, ბრონქიტი, სქესობრივი სისუსტე, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, კონტაქტის შიში, პროსტატიტი, ცისტიტი. სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც — აგრესია, აკვიატება, უიმედობა, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, დეპრესია, მოუსვენარი ძილი, მოზარდებში პრობლემები, ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

599-498-423 ნანა ქიზროწაშვილი

თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. სარკე; 8. კორომი; 11. კალატოზი; 12. პლუსი; 13. ნამჯა; 14. როსინი; 15. კაკაბაძე; 16. ტაიჭი; 17. მანია; 18. ლეონტი; 19. მარადონა; 23. ჟლალი; 24. პირი; 26. ცხაურა; 27. ლაბირინთი; 28. მინა; 30. დრო; 31. ბის; 34. სპორა; 36. რეი; 37. უნისონი; 41. ჯინი; 42. ნემსი; 43. ფიბრა; 44. ტრომბონი; 45. რადიკალი; 48. ბაირამი; 50. კაროლინა; 54. წეროვანი; 56. პომადა; 58. კაბადოკია; 59. ლატავრა; 60. სინატრა; 61. სერაფიმი; 62. სილეზია.

**შვეულად:** 1. საჰარა; 2. პალატა; 3. მონაკო; 4. სინემა; 5. რემონტი; 6. ეპატაჟი; 7. ბურიდანი; 8. კირილიცა; 9. რესტორანი; 10. მონიტორი; 19. მალიბუ; 20. რაბინი; 21. დარიკო; 22. ნუნისი; 24. პინო; 25. რადა; 28. მოლი; 29. ნარიტა; 31. ბინდი; 32. სამბა; 33. სპირიტი; 35. რუბლი; 38. ნორმა; 39. სამბო; 40. ნაომი; 41. ჯარა; 43. ფიბა; 45. რიწა; 46. დერმა; 47. კავსაძე; 49. რომენი; 50. კუკი; 51. რაბლე; 52. ლიდია; 53. ნაკლი; 55. ნორდი; 56. პასი; 57. დატო; 59. ლას.

ფარადეიდარაბატირენომერიტონიკიტრიოდინილოსი
ტაქტიკამერანისანიტარიფიგაროტელექსიკამელია

| ინგლისელი ფიზიკოსი | ფანჯრის ხის საფარი | სასვენი ნიშანი | ოთახი სასტუმროში | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | სამ-ელექტროდიანი ელმილაკი | მდინარე აფრიკაში |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცხვრის ჯოგი | დედის და | ყვავილნარის ზოლი ქუჩის გაყოლებაზე | რეპუტაცია | ყანწის მოყვა-ნილობის სასმისი ძვ. საბერძნეთში | ბოსტნეული | სკანდინავიური უმაღლესი ღვთაება | ცხენირემი |
|---|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 4. მინის ზედაპირი, რომელშიც აისახება მის წინ მყოფი საგნები, ადამიანი; 8. ნარგავი ტყე; 11. ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურის შენობას; 12. მიმატების ნიშანი; 13. მომკილი პურის ღეროები; 14. იტალიელი კომპოზიტორი; 15. ქართველი მხატვარი; 16. კარგი საჯდომი ცხენი, ბედაური; 17. სიტყვის ნაწილი — ნიშნავს ავადმყოფურ მისწრაფებას რაიმესადმი; 18. მე-11 საუკუნის ქართველი მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი ... მროველი; 19. არგენტინელი ექსფეხბურთელი; 23. შავმოწითალო ფერი; 24. იარაღის მჭრელი მხარე; 26. გისოსი; 27. მეფე მინოსის ძნელად გასაგნები შენობა, რომელიც დედალოსმა აუგო; 28. შუშა; 30. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა; 31. ნომრის გამეორების მოთხოვნის შეძახილი; 34. სოკოს გამრავლების ორგანო; 36. მომღერალი ... ჩარლზი; 37. ერთი და იგივე სიმაღლის რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა; 41. ინგლისური არაყი; 42. მკერავის იარაღი; 43. ბოჭკო, ძარღვი; 44. სპილენძის სასულე საკრავი; 45. ამოფესვის ნიშანი (მათ.); 48. მუსლიმანთა დღესასწაული; 50. აშშ-ის შტატი; 54. სოფელი მცხეთის რაიონში; 56. ტუჩის საცხი; 58. წმინდა ნინოს სამშობლო; 59. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 60. ამერიკელი მომღერალი, მსახიობი ფრენკ ...; 61. ექვსფრთიანი ანგელოზი ქრისტიანულ რელიგიაში; 62. პოლონეთის ისტორიული ოლქი.

შვეულად: 1. უდაბნო აფრიკაში; 2. სასახლე, სასახლის დარბაზი (მოძვ.); 3. ევროპის სახელმწიფო; 4. კინოს მოძველებული სახელი; 5. რისამე შეკეთება; 6. საქციელი, რომელიც არღვევს საერთოდ მიღებულ ნორმებს; 7. ფრანგი ფილოსოფოსი; 8. ძველი სლავური ანბანი; 9. ძვირფასი სასადილო; 10. სამხედრო ჯავშნიანი გემი; 19. ოკეანისპირა კურორტი აშშ-ში; 20. ებრაელთა მოძღვარი; 21. ს. დოლიძის ფილმი; 22. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 24. ფრანგული ვაზის ჯიში; 25. უკრაინის პარლამენტი; 28. ველი, მინდორი; 29. აეროპორტი ტოკიოში; 31. ნაწილობრივი სიბნელე დაღამებისას; 32. ბრაზილიური ცეკვა; 33. სპირიტიზმის მიმდევარი; 35. რუსული ფულის ერთეული; 38. დაკანონებული რამ; 39. ჭიდაობის სახეობა; 40. მოდელი ... კემპბელი; 41. პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლსართავენ; 43. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 45. ტბა აფხაზეთში; 46. კანი ბერძნულად; 47. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 49. ბოშათა თეატრი მოსკოვში; 50. ინგლისელი ზღვაოსანი; 51. ფრანგი მწერალი; 52. მცირე აზიის ძველი სახელწოდება; 53. ვისიმე, რისამე ცუდი თვისება, დეფექტი; 55. ჩრდილოეთი; 56. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 57. „დღევანდელი რიცხვით“ (ფინანს.); 59. აშშ-ის ქალაქი ...-ვეგასი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ბრძოლის წარმოების წესები | ტატოს ლექსი | დაბალი მედიცინის მუშაკი | ქალის მოკლე, უსახელო სამოსი | სააბონენტო ტელეგრაფირების საერთაშორისო ქსელი | მარგარეტ გოტიეს საყვარელი ყვავილი |
|---|---|---|---|---|---|

| ზომიერების გრძნობა | კინოს გადასაღები აპარატი | იაპონური ავტო | ნიხრი | დასჯა დახრჩობით ესპანეთში | სიტყვების მარაგი | ქართველი კარდი-ოლოგი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიადისტური

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 6 – 12 მარტი №11 (1475)

გამოდის ორშაბათობით

2009882637296

მეტიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


